აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) სწავლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების შერჩევა და იმ სკოლებში დასაქმება, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა. რესურსცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციით სკოლებში არსებული ვაკანსიების შესახებ დგინდება, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტის სკოლებში ამა თუ იმ საგნის მასწავლებელი საერთოდ არ არსებობს. განსაკუთრებით პრობლემურია ინგლისური ენის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. შესაბამისად, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისათვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2016-2017 სასწავლო წლის ვადით შერჩეულ მასწავლებლებთან გაფორმდება ხელშეკრულება 2017-2018 სასწავლო წლისათვის. დარჩენილ ვაკანსიებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კონკურსის წესით შეარჩევს მასწავლებლებს, რომლებიც იმუშავებენ მუნიციპალიტეტების იმ საჯარო სკოლებში, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა. ქვეპროგრამის მონაწილეები შეირჩევიან ორ ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე, რომელიც შედგება წერითი გამოცდისა და გასაუბრებისაგან, ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა დააკმაყოფილონ „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პირობები. ქვეპროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შეირჩეს რეზერვი მასწავლებლები კონკურსის ჩატარებიდან 6 თვის ვადით, რომლებსაც ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში სამინისტრო შესთავაზებს დასაქმებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული მასწავლებლები დაიტვირთებიან სკოლებში არსებული ვაკანტური საგაკვეთილო საათებით. აღნიშნული საქმიანობისათვის ისინი მიიღებენ ანაზღაურებას 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ ინსტრუქცია“ ბრძანების შესაბამისად. ასევე, შერჩეული მასწავლებლები სრულ და არასრულ თვეზე დამატებით მიიღებენ სახელფასო დანამატს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მასწავლებლის სახელფასო დანამატი (10 თვე)	30	500	150,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			150,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (10 თვე)	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა.	არაუმეტეს 30 მასწავლებელი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

050403

ქვეპროგრამის დასახელება:

სტუდენტთა დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,000,000
სულ ბიუჯეტი:	1,000,000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

1. 2012 წელს შერჩეული ბენეფიციარები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 05 ივნისის N86 განკარგულებით დამტკიცებული 2012 წლის სტუდენტების დახმარების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს – სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.
2. 2013 წელს შერჩეული ბენეფიციარები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 იანვრის N15 განკარგულებით დამტკიცებული 2013 წლის სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს – სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.
3. 2014 წელს შერჩეული ბენეფიციარები - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დამტკიცებული „განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის“ პროგრამის „სტუდენტთა დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს. სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.
4. 2015 წელს შერჩეული ბენეფიციარები - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დამტკიცებული „განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის“ პროგრამის „სტუდენტთა დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს. სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.
5. 2016 წელს შერჩეული ბენეფიციარები - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დამტკიცებული „განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის“ პროგრამის „სტუდენტთა დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს. სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.
6. 2017 წელს შერჩეული ბენეფიციარები - 2014, 2015 და 2016 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები. სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი. 2017 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე (I კვარტალი) მიიღება 2016 წელს ჩარიცხული სტუდენტების საბუთები. მეორე ეტაპზე (III კვარტალი) მიიღება 2014, 2015 და 2016 წელს ჩარიცხული სტუდენტების საბუთები.

2017 წელს ბენეფიციარების შერჩევის წესი

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხით დაფინანსდება 2014, 2015 და 2016 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტი.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება სტუდენტზე გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ სემესტრის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუკი სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვებს სახელმწიფო გრანტის ნაწილობრივ ოდენობას, სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, სამინისტროს მიერ დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს იმ პირმა (შემდგომში სტუდენტი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩარიცხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა სახელმწიფო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და განეკუთვნება ამ პროგრამით დადგენილ ერთ-ერთ კატეგორიას.

აბიტურიენტი, რომელმაც მოიპოვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება, მაგრამ კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჩარიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვერ მიიღებს დაფინანსებას სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში.

2017 წელს შერჩეულ ბენეფიციარებზე თანხის გაცემის წესი (პირველი ეტაპი)

სტუდენტების დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა გადაეცემა შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს: 1. 2016 წელს პირველ (10 ადგილი) და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს (2 ადგილი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო),

2. 2016 წელს პირველ (5 ადგილი) და მეორე საფეხურზე (2 ადგილი) ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო),

3. 2016 წელს პირველ (5 ადგილი) და მეორე საფეხურზე (2 ადგილი) ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი ან მეტი შვილი),

4. 2016 წელს პირველ (20 ადგილი) და მეორე საფეხურზე (4 ადგილი) ჩარიცხულ სტუდენტს, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე.

2017 წელს შერჩეულ ბენეფიციარებზე თანხის გაცემის წესი (მეორე ეტაპი)

სტუდენტების დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა გადაეცემა შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს: 1. 2014, 2015 და 2016 წელს პირველ საფეხურზე (20 ადგილი) და მეორე საფეხურზე (5 ადგილი) ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო),

2. 2014, 2015 და 2016 წელს პირველ საფეხურზე (15 ადგილი) და მეორე საფეხურზე (4 ადგილი) ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო),

3. 2014, 2015 და 2016 წელს პირველ საფეხურზე (15 ადგილი) და მეორე საფეხურზე (4 ადგილი) ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი ან მეტი შვილი),

4. 2014, 2015 და 2016 წელს პირველ საფეხურზე (30 ადგილი) და მეორე საფეხურზე (5 ადგილი) ჩარიცხულ სტუდენტს, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე.

ძირითადი პირობები

იმ სტუდენტის მონაცემები, რომელიც ერთდროულად განეკუთვნება ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ რამოდენიმე კატეგორიას, დაფინანსების მოსაპოვებლად განიხილება ჯერ პირველი კატეგორიის მიხედვით, ხოლო შემდგომ ამ ქვეპროგრამით განსაზღვრული კატეგორიების ფარგლებში თანმიმდევრობის მიხედვით.

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიაში შემავალი 2014, 2015 და 2016 წელს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა (შემდგომში - დასაფინანსებელი სტუდენტი), რომლებიც მონაწილეობენ ამ ქვეპროგრამაში, აღემატება შესაბამისი კატეგორიისათვის გამოყოფილი ადგილების (შემდგომში ადგილი) რაოდენობას, თანხა გაიცემა სტუდენტის წინა სემესტრის (მაგალითად, 2016 წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის გამოყენებულ იქნება 2016-2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების ქულა) საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის საფუძველზე.

თუ სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების ჯამური შედეგების დოკუმენტის საფუძველზე.

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია კატეგორიის მიხედვით განსაზღვრულ რაოდენობაზე, დარჩენილი რაოდენობა დაემატება სხვა კატეგორიას თანმიმდევრობის დაცვით. თუ ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა დარჩება რომელიმე კატეგორიაში ეკონომიის სახით, დარჩენილი თანხა გადანაწილდება ადგილების კატეგორიებში თანაბრად დამატების გზით. თუ ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა დარჩება ეკონომიის სახით, აღნიშნული თანხა გადანაწილდება ადგილების კატეგორიებში თანაბრად დამატების გზით თანხის ამოწურვამდე. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარმოადგენს განცხადებას, განაცხადისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა მტკიცდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

სტუდენტი, რომლის საშუალო აკადემიური მოსწრება არ იქნება 71% დამრგვალების გარეშე ვერ მიიღებს ქვეპროგრამაში მონაწილეობას. თუკი სტუდენტი შეინარჩუნებს 71% და მეტ საშუალო აკადემიურ მოსწრებას ის ავტომატურად ხდება პრეტენდენტი შემდეგი სემესტრის დაფინანსების მიღებაზე. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, დამრგვალების გარეშე.

დაფინანსებული სტუდენტი, რომელსაც ბოლო სემესტრის რომელიმე საგანში ექნება F და FX შეფასება გამოეთიშება პროგრამას. სტუდენტებს, რომლებიც ვერ გადალახავენ აკადემიური მოსწრების ბარიერს, უფლება აქვთ თავიდან გაიარონ კონკურსი სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადებში. სტუდენტს, რომელიც გაემგზავრება გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაფინანსება გაუგრძელდება საზღვარგარეთ სწავლის პერიოდის მანძილზე საზღვარგარეთ გავლილი კრედიტების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებისა და 71% -იანი ბარიერის გადალახვის დოკუმენტების წარმოდგენამდე. სტუდენტს, რომელსაც სტუდენტის სტატუსი შეუჩერდება/შეუწყდება არაუმეტეს 1 წლისა, შეუნარჩუნდება დაფინანსება სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის პროგრამის არსებობის შემთხვევაში. დაფინანსების აღდგენის დროს მხედველობაში მიიღება სტატუსის შეჩერებამდე ბოლო სემესტრის შეფასება.

დაინტერესებულმა პირებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში. მოპოვებული დაფინანსების გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სტუდენტს უფლება აქვს ხელახლა გაიაროს კონკურსი. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაუმჯობესებულ დაფინანსებას, სხვა შემთხვევაში კი შეუნარჩუნდება ძველი დაფინანსება. სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსება ჩაირიცხება სტუდენტის სახელზე უნივერსიტეტის ანგარიშზე სწავლის საფასურის დასაფარად. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში არ მოხდება სტუდენტის სწავლის საფასურის დავალიანებების დაფარვა.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ბენეფიციარის დაფინანსება	889	1125	1,000,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,000,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბენეფიციარის გამოვლენა/დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიციართათვის.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიართათვის.	დაფინანსდება საშუალოდ 889 სტუდენტი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, აკრედიტებული უნივერსიტეტები, სოციალური მომსახურეობის სააგენტო	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 04 04

ქვეპროგრამის დასახელება:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	147,500
სულ ბიუჯეტი:	147,500

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მეცნიერთა მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მუდმივად ან ხელშეკრულებით მომუშავე მეცნიერებს – აკადემიური ხარისხის (მაგისტრი, დოქტორი) ან სამეცნიერო წოდების (მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი) მქონე საქართველოს მოქალაქეებს; აგრეთვე მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, რომლებიც განაცხადის წარდგენის პერიოდში სწავლობენ ზემოთაღნიშნული იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციებში.

დახმარება გაიცემა შემდეგი სახის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად: კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი. უპირატესობა მიენიჭებათ იმ განმცხადებლებს, რომლებიც მონაწილეობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის მონაწილე მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 2500 ლარის ოდენობით ერთჯერადი გასაცემლის სახით, რომელშიც შეიძლება შევიდეს მგზავრობის, ვიზის, ცხოვრებისა და სხვა ხარჯები.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.

საჯარო ლექციები

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ორგანიზებას გაუწევს საჯარო ლექციების მოწყობას აჭარაში. ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე. ლექციები გაიმართება სხვადასხვა აუდიტორიისათვის: სტუდენტები, ლექტორები, მასწავლებლები, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები და სხვ. ლექციების ორგანიზების ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს ჰონორარი, ტრანპორტირების, ღამისთევისა და კვების ხარჯები, თვალსაჩინოებების მომზადების ხარჯები და ა.შ.

კონფერენციის მოწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონფერენცი(ებ)ის მოწყობას. პროექტის წარმოდგენა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ პირებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს/ტრანსპორტირების/კვების ხარჯი;
- კონფერენციის მოსაწყობად საჭირო აპარატურის შესყიდვის ან/და დაქირავების ხარჯი;
- კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო დარბაზის დაქირავების ხარჯები;
- კონფერენციის მასალების დაბეჭდვა;
- სხვა საქონელი და მომსახურება.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.

საზაფხულო სკოლა

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საზაფხულო სკოლ(ებ)ის ორგანიზებას.

პროექტის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს:

- საზაფხულო სკოლის მომხსენებლთა ჰონორარი, სასტუმროს, ტრანსპორტირების და კვების ხარჯი;
- საზაფხულო სკოლის მონაწილეთა სასტუმროს, ტრანსპორტირების და კვების ხარჯი;
- საზაფხულო სკოლისათვის საჭირო ფართის და აპარატურის დაქირავების ხარჯი;
- სხვა საქონლისა და მომსახურების ხარჯი.

საზაფხულო სკოლის მოწყობის თაობაზე პროექტის წარმოდგენა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ პირებს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე. ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, შეფასების კრიტერიუმები და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნას და ბეჭდვას. 2017 წელს დასრულდება 2016 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული ლიტერატურის თარგმნა და დაიბეჭდება აღნიშნული ლიტერატურა. 2017 წელს კონკურსის წესით შეირჩევა და ითარგმნება 2 ახალი ლიტერატურა. ქვეპროგრამაში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საჯარო ლექცია	5	3,000	15,000
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	5	2,500	12,500
კონფერენციის მოწყობა	2	28,000	56,000
საზაფხულო სკოლა	2	14,000	28,000
უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა	4	9,000	36,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			147,500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საჯარო ლექცია	X	X	X	X
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	X	X	X	X
კონფერენციის მოწყობა	X	X	X	X
საზაფხულო სკოლა	X	X	X	X
უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებ ების ორგანიზება ხელმისაწვდომია	საშუალოდ 5 ბენეფიციარის მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებაში; საშუალოდ 5 საჯარო ლექცია, საშუალოდ 2 კონფერენცია, საშუალოდ 2 საზაფხულო სკოლა, საშუალოდ 1 წიგნის ბეჭდვა, საშუალოდ 3 წიგნის თარგმნა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, უნივერსიტეტები.	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

050405

ქვეპროგრამის დასახელება:

უცხოეთში სტაჟირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	10,600
სულ ბიუჯეტი:	10,600

ქვეპროგრამის მიზანი:

უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამის მიზანია კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად ახალგაზრდების მომზადება.

ქვეპროგრამის საქმიანობის აღწერა:

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრებ 18-დან 32 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და ფლობს იმ ქვეყნის სახელმწიფო ენას, სადაც სტაჟირებას გაივლის. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველი უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 3 წლით ადრე განაცხადის შემოტანის დღემდე.

სტაჟირების პერიოდი, რომლის ხანგრძლივობა 3-დან 7 თვემდეა, მოიცავს ერთთვიან უცხო ენის ინტენსიურ კურსს, პროფესიულ პრაქტიკას პროგრამის მონაწილე ევროპის რომელიმე რეგიონის კერძო ან საჯარო სტრუქტურაში და მიმღები რეგიონის მიერ შემუშავებულ კულტურულ პროგრამას. სტაჟიორი ფინანსდება მასპინძელი რეგიონის ბიუჯეტიდან და აკომოდაციისა (შეწყობა/შეთანხმება) და კვების ხარჯების დაფარვის მიზნით, მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას 700-დან 800 ევრომდე. სტაჟიორი დაზღვეული იქნება ევროპის რეგიონთა ასამბლეის მიერ. სტაჟირების პერიოდში, სტაჟიორის მეურვეობას და სტაჟირების მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს მიმღები რეგიონის მიერ დანიშნული ადგილობრივი კოორდინატორი. მიმღები რეგიონი არ აანაზღაურებს სტაჟიორის მგზავრობისა და ვიზის ხარჯებს.

ქვეპროგრამა ემყარება ახალგაზრდების ურთიერთგაცვლის პრინციპს, აქედან გამომდინარე, აჭარის რეგიონში 3 - თვიანი ვადით მოწვეულ იქნება 1 უცხოელი სტაჟიორი, რომელთა მიღების ხარჯები დაიფარება ქვეპროგრამის ბიუჯეტიდან.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- განაცხადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე;
- სამინისტროს მიერ შემუშავებული სპეციალური სააპლიკაციო ფორმა;
- საერთაშორისო პასპორტისა და პირადობის მოწმობის ასლი;
- მოქალაქის საცხოვრებელი მისამართის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- განათლების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4).

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს 2017 წლის 10 იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით. აპლიკანტთა შერჩევა განხორციელდება 2 ეტაპად:

პირველ ეტაპზე, სამინისტროში დარეგისტრირებულ აპლიკანტთა პირად საქმეს შეისწავლის მინისტრის ბრძანებით შექმნილი „უცხოეთში სტაჟირების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გასაგზავნ სტაჟიორთა შესარჩევი კომისია. კომისია განიხილავს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან და აპლიკანტთან ზეპირი გასაუბრების საფუძველზე ამოწმებს მათ მოტივაციას და უცხო ენის ცოდნის დონეს. კომისიის გადაწყვეტილებით, პირველ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატს, უფლება ეძლევა დარეგისტრირდეს პროგრამა ევროოდისეას ვებ-გვერდის (www.eurodysee.eu) მეშვეობით, სააპლიკაციო ანკეტის განთავსების გზით. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კანდიდატის სააპლიკაციო ანკეტის გადაგზავნას პროგრამის ფარგლებში არსებულ ვაკანსიებზე. ქვეპროგრამის ფარგლებში, იმ პირებს რომლებსაც 2015 და 2016 წლებში გაიარეს შერჩევის პირველი ეტაპი 2017 წელს არ მოუწევთ აღნიშნული ეტაპის ხელახლა გავლა.

მეორე ეტაპზე, მიმღები რეგიონის კოორდინატორი, შეისწავლის კანდიდატის სააპლიკაციო ანკეტას და მასთან სატელეფონო გასაუბრების საფუძველზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სტაჟიორის შერჩევასთან დაკავშირებით.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამინისტრო საბოლოოდ შერჩეულ კანდიდატებზე გასცემს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით - 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სტაჟიორის თანადაფინანსების მიზნით ფინანსური დახმარება, ერთჯერადი გასაცემელი	8	950	7,600
უცხოელი სტაჟიორის მიღების ხარჯები (3 თვით)	1	3000	3,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			10,600

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სტაჟიორის თანადაფინანსების მიზნით ფინანსური დახმარება, ერთჯერადი გასაცემელი	X	X	X	X
უცხოელი სტაჟიორის მიღების ხარჯები (3 თვით)	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ სპეციალისტთა რაოდენობა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ევროპის რეგიონებში გაგზავნილია და აჭარის რეგიონში მიღებულია უცხოელი სტაჟიორები	გაგზავნილია საშუალოდ 8 სტაჟიორი; მიღებულია საშუალოდ 1	რაოდენობა	ევროპის რეგიონთა ასამბლეის პროფესიული გაცვლითი პროგრამა „ევროოდისია“	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 04 06

ქვეპროგრამის დასახელება:

სწავლა საზღვარგარეთ

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	325,000
სულ ბიუჯეტი:	325,000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ბოლო სამი წლის მანძილზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი აღებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განთავსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ქვეპროგრამაში მონაწილეობა შეუძლია პირს რომელიც ჩარიცხულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო (21-დან 35 წლამდე ასაკის მოქალაქე) და სადოქტორო (25-დან 45 წლამდე ასაკის მოქალაქე) პროგრამებზე.

განმცხადებელმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სამინისტროში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება;
 - შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
 - ავტობიოგრაფია (CV);
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ცნობა რეგისტრაციის ადგილის შესახებ;
 - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და სტუდენტის სასწავლო ბარათი:
 - მაგისტრანტის შემთხვევაში - ბაკალავრის დიპლომის ასლი და სტუდენტის სასწავლო ბარათი;
 - დოქტორანტის შემთხვევაში - მაგისტრის დიპლომის ასლი და სტუდენტის სასწავლო ბარათი;
 - ორი სარეკომენდაციო წერილი:
 - თ.ა.) ერთი - აკადემიური;
 - თ.ბ.) მეორე - შეიძლება იყოს აკადემიური/პროფესიული.
 - საზღვარგარეთ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი აპლიკანტის აღნიშნულ დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი სწავლის საფასურის ოდენობის შესახებ;
 - დოკუმენტი სტუდენტის შესაბამის ქალაქში ცხოვრების საშუალო ხარჯების შესახებ.
- უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში სამინისტროში წარმოდგენილ უნდა იქნას აპოსტილით დამოწმებული/ლეგალიზებული დოკუმენტი. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე. უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს თან უნდა ერთვოდეს არაოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე. არ არის სავალდებულო დოკუმენტების ნოტარიული წესით დამოწმება.

ქვეპროგრამის მონაწილე სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯების (სწავლის საფასური, ცხოვრების ხარჯები, სამედიცინო დაზღვევა, სასწავლო რესურსების შეძენა და ა.შ.) დაფინანსების მიზნით სამინისტროდან მიიღებს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით საშუალოდ 12 500 ლარის ოდენობით. სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს დაფინანსებას ერთი სემესტრისათვის ავტომატურად ხდება პრეტენდენტი მომდევნო სემესტრის დაფინანსების მიღებაზე, თუკი ის შეინარჩუნებს საშუალო ან მაღალ აკადემიურ მოსწრებას. ფინანსური დახმარება გაიცემა არაუმეტეს 6 სემესტრის დასაფინანსებლად. დაფინანსების აღნიშნული წესი არ ვრცელდება 2014 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სტუდენტებზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე. ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სწავლა საზღვარგარეთ	26	12,500	325,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			325,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სწავლა საზღვარგარეთ	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთ
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთ	26 სტუდენტის საზღვარგარეთ სწავლა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, უნივერსიტეტები.	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა		
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0505	

პროგრამის დასახელება:

განათლების ხარისხის გაუმჯობესება	
პროგრამის განმახორციელებელი:	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	630,000	150,000	160,000	160,000	160,000
სულ ბიუჯეტი:	630,000	150,000	160,000	160,000	160,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2017-2020 წლები
-----------------------------------	-----------------

პროგრამის მიზანი:

განათლების ხარისხის ამაღლება. სწავლისა და სწავლების მოტივაციის გაზრდა.
--

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ხელს შეუწყობს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჩართულობას სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ქვეპროგრამა 1- კონკურსები და ოლიმპიადები	630,000	150,000	160,000	160,000	160,000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	630,000	150,000	160,000	160,000	160,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩა და დაფინანსდა 10 სასკოლო კლუბი; კონკურსებისა და ოლიმპიადების კატეგორიაში ჩატარდა 4 კონკურსი (სახვითი ხელოვნების, ლიტერატურული მართონის და ქართულ ენასა და მათემატიკაში დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის); საგნობრივი ოლიმპიადა ჩატარდა 6 საგანში; მოეწყო ექსკურსიები - კონკურსის წესით შერჩეული 12 მოსწავლისათვის თურქეთის სამეცნიერო ბანაკში და მედალოსანი მოსწავლისათვის შემეცნებითი ექსკურსია.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შერჩეული და დაფინანსებულია არანაკლებ 6 სასკოლო კლუბის ინიციატივა; დაგეგმილ ღონისძიებებში ჩაერთვება არანაკლებ 15000 მოსწავლე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლებიდან;
--

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო;
სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია;
სკოლებში გაზრდილია მასწავლებელთა მოტივაცია;

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია	გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო	არანაკლებ 15 000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში; დაფინანსებულია არანაკლებ 6 სასკოლო კლუბის ინიციატივა;	არანაკლებ 15 000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში; დაფინანსებულია არანაკლებ 6 სასკოლო კლუბის ინიციატივა;	არანაკლებ 15 000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში; დაფინანსებულია არანაკლებ 6 სასკოლო კლუბის ინიციატივა;	არანაკლებ 15 000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში; დაფინანსებულია არანაკლებ 6 სასკოლო კლუბის ინიციატივა;	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხარისხის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

050502

ქვეპროგრამის დასახელება:

კონკურსები და ოლიმპიადები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	150,000
სულ ბიუჯეტი:	150,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სწავლისა და სწავლების მოტივაციის ამაღლება

ქვეპროგრამის აღწერა:

საგნობრივი ოლიმპიადა

2017 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს საგნობრივი ოლიმპიადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგნობრივი ოლიმპიადა ჩატარდება 2 ტურად შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა; მათემატიკა; ფიზიკა; ქიმია და ბიოლოგია. რუსული სექტორის მოსწავლეებისათვის ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში ოლიმპიადა ჩატარდება რუსულ ენაზე. ოლიმპიადის ორივე ტური ჩატარდება ტესტირების ფორმით. საგნობრივ ოლიმპიადაში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

2016 წლის ქვეპროგრამაში კლასების მიხედვით გამოვლენილი საპრიზო ადგილის მფლობელები, წარჩინებული სკოლები და გამორჩეული მასწავლებლები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

ლიტერატურული მარათონი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს ლიტერატურულ მარათონს, რომლის მიზანია კითხვის პოპულარიზაცია მოსწავლეებში.

მარათონში მონაწილეობის მიღება შეეძლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების VII-XII კლასის მოსწავლეებს.

კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. 2016 წლის ქვეპროგრამაში საპრიზო ადგილებზე გასული კონკურსანტები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით

სახვითი ხელოვნების კონკურსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს ხატვის კონკურსს, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების აღმოჩენა და წახალისება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს.

კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. 2016 წლის ქვეპროგრამაში საპრიზო ადგილებზე გასული კონკურსანტები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით

ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს შემეცნებით ტურებს საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ წარჩინებული მოსწავლეებისათვის. წარჩინებულ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ დაათვალიერონ ისტორიული ადგილები, ასევე მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. ექსკურსიებში მონაწილეობის მიღება შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მოსწავლეებს.

კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაატარებს კონკურსს მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (დაწყებითი საფეხური და საბაზო საფეხური) და ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში (საბაზო საფეხური) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. 2016 წლის ქვეპროგრამაში საპრიზო ადგილებზე გასული კონკურსანტები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

სასკოლო კლუბების ინიციატივების დაფინანსება

სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დაფინანსებს სასკოლო კლუბების ინიციატივებს. დაფინანსების მაქსიმალური თანხა შეადგენს 1 000 (ათასი) ლარს.

გამარჯვებული სასკოლო კლუბის პროექტებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია.

შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომლებიც:

1. წარმოადგენენ პროექტის განაცხადს სრული, ორგანიზებული და თანმიმდევრული ფორმით
2. დამაჯერებლად დაასაბუთებენ პროექტის ეფექტურობას
3. ჩართავენ თავიანთ აქტივობებში საზოგადოების სხვადასხვა ფენებს
4. აპლიკანტებს ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებიდან
5. აპლიკანტებს, რომლებსაც სასკოლო კლუბების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში 2015 და 2016 წლებში არ მიუღიათ დაფინანსება

შენიშვნა: შესაძლებელია დაფინანსდეს რამოდენიმე კლუბის ერთობლივი ინიციატივაც. კერძო სკოლების ინიციატივები დაფინანსდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ ერთობლივ პროექტს საჯარო სკოლასთან ერთად. ამ შემთხვევაში თანხა ჩაირიცხება საჯარო სკოლის ანგარიშზე. ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩარიცხული თანხებით სახელმწიფო შესყიდვებს განახორციელებს დაფინანსებული საჯარო სკოლა.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის - მუხლში გათვალისწინებულია 2016 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში საგნობრივი ოლიმპიადაში, ლიტერატურული მარათონში, სახვითი ხელოვნების კონკურსსა და დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოვების ხარჯები.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საგნობრივი ოლიმპიადა	1	40,000	40,000
ლიტერატურული მარათონი; სახვითი ხელოვნების კონკურსი	2	6,000	12,000
ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ		30,000	30,000
კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის	1	30,000	30,000
სასკოლო კლუბების ინიციატივების დაფინანსება	6	1000	6,000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			32,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			150,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საგნობრივი ოლიმპიადა	X	X	X	X
ლიტერატურული მარათონი; სახვითი ხელოვნების კონკურსი	X	X	X	X
ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ		X	X	
კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის	X	X	X	X
სასკოლო კლუბების ინიციატივების დაფინანსება	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სკოლებში გაზრდილია სწავლის და სწავლების მოტივაცია	არანაკლებ 15 000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში; დაფინანსებულია არანაკლებ 6 სასკოლო კლუბის ინიციატივა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0506

პროგრამის დასახელება:

აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	19,580,000	6,020,000	5,520,000	4,020,000	4,020,000
სულ ბიუჯეტი:	19,580,000	6,020,000	5,520,000	4,020,000	4,020,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელშეწყობა და განვითარება.
სასწავლო და სამეცნიერო მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ სამ უმაღლეს სასწავლებელზე, კერძოდ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია და სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, რომლებიც პროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის, უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობისა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	9,600,000	2,400,000	2,400,000	2,400,000	2,400,000
სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	3,480,000	870,000	870,000	870,000	870,000
სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	6,500,000	2,750,000	2,250,000	750,000	750,000
სულ პროგრამა	19,580,000	6,020,000	5,520,000	4,020,000	4,020,000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის ფარგლებში ხელშეწყობილია აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და უმაღლესი განათლების განხორციელება; გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი - შეუფერხებლად ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.	ხელშეწყობილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	ხელშეწყობილია სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობა	ხელშეწყობილია სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობა	ხელშეწყობილია სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობა	რაოდენობა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანგარიში
გაუმჯობესებულია სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.	რეაბილიტირებულია I კორპუსი; I და II კორპუსის სველი წერტილები; მე- 4 კორპუსში რეაბილიტირებულია დარბაზი სტამბის მოსაწყობად; მე-2 კორპუსში მოწყობილია ბიოლოგიის და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიები; უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში სარეაბილიტაციო სამუშაოები; I და III კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოები (ფასადი და სხვა სამუშაოები)				რაოდენობა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანგარიში

გაუმჯობესებულია სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	შემენილია ახალი საწვრთნელ-სასწავლო ლაბორატორია-სიმულატორები					სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ანგარიში
ხელშეწყობილია სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების განხორციელება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	ხელშეწყობილია უმაღლესი განათლება	რაოდენობა	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ანგარიში
დაწყებულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	დაწყებულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	დასრულებულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება				სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ანგარიში

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 06 01

ქვეპროგრამის დასახელება:

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასახელება	2017 წელი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	2,400,000
სულ ბიუჯეტი:	2,400,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში 2015 წლის ნოემბრის თვეში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე ოთხი სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი განისაზღვრა: დამოუკიდებელი სსიპ-ი, სსიპ-ი სსიპ-თან, უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული დამოუკიდებელი კვლევითი ერთეული და ფაკულტეტის შიგნით არსებული სამეცნიერო კვლევითი ერთეული. მათი რანჟირება სამეცნიერო პოტენციალიდან, სამეცნიერო მიღწევებიდან და განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე მოხდება. საფაკულტეტო ან საუნივერსიტეტო სტატუსის მინიჭება დამოუკიდებელი იქნება თავად უნივერსიტეტზე, ხოლო სსიპ-ის სსიპ-თან სტატუსის მინიჭებას გადაწყვეტს მთავრობა. აღნიშნული ცვლილებების ძირითადი იდეა სწავლებისა და კვლევის შერწყმა (სწავლება-კვლევის ინტეგრაცია).

ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18 მუხლის პირველი პუნქტის "ლ.ბ." ქვეპუნქტის შესაბამისად დააფინანსებს უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტსა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში რეგულარულად ხორციელდება კულტურის პროექტები; გაუმჯობესებულია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა; ვითარდება შემოქმედებითი ინდუსტრიები.	კინოსთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ღონისძიებების (ვორკშოფები, მასტერკლასები და სხვა) არანაკლებ რაოდენობა	4	5	6	6	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული ანგარიში; განხორციელებული ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა
	ანიმაციური ფილმების ფესტივალის მაყურებელთა საშუალო რაოდენობა	1500	1500	1600	16000	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიების განმახორციელებელი იურიდიული პირი	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	პროგრამული ანგარიში; განხორციელებული ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა
	აჭარის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული საგანმანათლებლო, სახელოვნებო პროექტების და სხვა აქტივობების არანაკლებ რაოდენობა	8	8	10	10	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; მუნიციპალიტეტების კულტურის ორგანიზაციები	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი, პროგრამული ანგარიში, განხორციელებული აქტივობების ამსახველი ვიზუალური მასალა
	აჭარის რეგიონის, როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ლოკაციის პრომოუშენის მიზნით განხორციელებული აქტივობების რაოდენობა	3	1	1	1	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი;	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; განხორციელებული პროექტის ამსახველი ვიზუალური მასალა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 01 01

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურის ღონისძიებების ორგანიზება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	260,000
სულ ბიუჯეტი:	260,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა, კულტურის ღონისძიებების, ფესტივალების, კონცერტების და კულტურის სფეროს სხვა აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა რეგიონში კულტურის ღონისძიებების, სახელოვნებო პროექტების განხორციელებას და შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას.

1. **ფესტივალების, კონცერტების და სხვა წარმოდგენების ორგანიზება** - ითვალისწინებს საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი თეატრალური, მუსიკალური ფესტივალების, კონცერტების და სხვა წარმოდგენების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას.

2. კულტურის სფეროს დამსახურებული, ღვაწლმოსილი მოღვაწეების შემოქმედებითი სადამოს ორგანიზების ხელშეწყობა; ხანდაზმულ იუბილარ ღვაწლმოსილ მოღვაწეებზე ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა.

3. **სახელოვნებო პროექტი „ბათუმის ეზოს ამბები“** - ითვალისწინებს კულტურული თვალსაზრისით საინტერესო ბათუმური ისტორიების, ქალაქის ყოველდღიურობის, მისი სპეციფიკის ხელოვნების გზით წარმოჩენას. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ან/და უცხოელი ხელოვანები გამართავენ სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ღონისძიებებს ქალაქის ღია სივრცეში, კერძოდ ქუჩებში, სკვერებსა და ეზოებში, რაც გარკვეული დროით სრულიად შეცვლის აღნიშნული სივრცეების იერსახეს.

4. **ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა** მოიცავს ქვეპროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (კონკურსები, პროექტები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა მაგალითად: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შეძენა, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის (კალენდარი, ჭიქა, გულსაბნევი და სხვა) მომზადება, საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში საჭირო ბრენდირებული საკანცელარიო მასალის (ჩანთა, საქაღალდე, ბლოკნოტი, კალამი, ფანქარი, მეხსიერების დისკი, სანიშნე და სხვა) დამზადება და სხვა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფესტივალების, კონცერტების, და სხვა წარმოდგენების ორგანიზების ხელშეწყობა	5	40,000	200,000
კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი, დამსახურებული, მოღვაწეების შემოქმედებითი სადამოს ორგანიზების ხელშეწყობა	1	20,000	20,000
სახელოვნებო პროექტი „ბათუმის ეზოს ამბები“	1	35,000	35,000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			5,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			260,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ფესტივალების, კონცერტების და სხვა წარმოდგენების ორგანიზება	X	X	X	X
კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი, დამსახურებული მოღვაწეების შემოქმედებითი სადამოსების ორგანიზების ხელშეწყობა	X	X	X	X
სახელოვნებო პროექტი „ბათუმის ეზოს ამბები“		X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა. რეგულარულად ხორციელდება ხელოვნებისა და კულტურის პროექტები/ღონისძიებები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გაზრდილია კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობა. რეგულარულად ხორციელდება ხელოვნებისა და კულტურის პროექტები/ღონისძიებები.	ხელოვნებისა და კულტურის არანაკლებ 7 პროექტი/ღონისძიება	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განმახორციელებელი იურიდიული და ფიზიკური პირები	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული ანგარიში; განხორციელებული ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 01 02

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურის თანამედროვე მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	260,000
სულ ბიუჯეტი:	260,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ხელოვნების თანამედროვე მიმართულებების განვითარების, შემოქმედთა ახალი თაობის, ახალი იდეების მხარდაჭერა; ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

2017 წელს ქვეპროგრამა შემდეგი მიმართულებებით განხორციელდება:

1. თავისუფალი პროექტების მხარდაჭერა - ითვალისწინებს ხელოვნების ახალი მიმართულებების, შემოქმედთა ახალი თაობის, ახალი იდეების მხარდაჭერას; ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობას; აქტუალური საკითხების კულტურისა და ხელოვნების გზით წარმოჩენას და საზოგადოებისთვის გაცნობას; ამ მიზნით სამინისტროს მიერ ინიცირებული ღონისძიებების დაფინანსებას; საკონკურსო თანხის ფარგლებში დაფინანსდება ღია კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული პროექტები, ხოლო არასაკონკურსო თანხის ფარგლებში პროექტის დაფინანსების საკითხი, ისევე როგორც საკონკურსო პირობები, დაფინანსების ოდენობა, შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით.

2. სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობა - ითვალისწინებს სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების განვითარების მიზნით გამოფენების, პლენერების და სხვა ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობას; ბეჭდვითი, აუდიო-ვიზუალური მასალების მომზადება/გამოცემას; სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების მხარდაჭერის სხვა აქტივობების განხორციელებას. მათ შორის ფოტო-ფესტივალი, რომელიც ხელს უწყობს რეგიონში ფოტო ხელოვნების განვითარებას, ფოტო ხელოვანთა ახალი თაობების პროფესიულ ზრდას, შემოქმედებით თანამშრომლობას ქართველ და უცხოელ ფოტო-ხელოვანთა შორის. ასევე „Street Art Festival“-ს, რომელიც ხელს უწყობს ურბანული ხელოვნების განვითარებას და ხელოვანების შემოქმედებით თანამშრომლობას. ფესტივალის ფარგლებში მოიხატება ქუჩები ან/და შენობა/ნაგებობების კედლები აჭარის რეგიონში.

3. ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა მოიცავს ქვეპროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (კონკურსები, პროექტები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა მაგალითად: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შეძენა, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის (კალენდარი, ჭიქა, გულსაბნევი და სხვა) მომზადება, საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში საჭირო ბრენდირებული საკანცელარიო მასალის (ჩანთა, საქაღალდე, ბლოკნოტი, კალამი, ფანქარი, მეხსიერების დისკი, სანიშნე და სხვა) დამზადება და სხვა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
თავისუფალი პროექტების მხარდაჭერა	6	20,000	120,000
სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების მხარდაჭერა	5	27,000	135,000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			5,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			260,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
თავისუფალი პროექტების მხარდაჭერა	X	X	X	X
სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების მხარდაჭერა	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

რეგიონში განვითარებულია კულტურის თანამედროვე მიმართულებები; განხორციელებულია ინოვაციური, კრეატიული პროექტები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
რეგიონში განვითარებულია კულტურის თანამედროვე მიმართულებები; განხორციელებულია ინოვაციური, კრეატიული პროექტები.	რეგიონში განხორციელებულია არანაკლებ 11 პროექტი	რაოდენობა	აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; პროექტის განმახორციელებელი იურიდიული ან/და ფიზიკური პირი	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	პროგრამული ანგარიში; მიღება-ჩაბარების აქტი; ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა;

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 01 03

ქვეპროგრამის დასახელება:

აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	260,000
სულ ბიუჯეტი:	260,000

ქვეპროგრამის მიზანი:

რეგიონში კინოხელოვნების განვითარება; კინოწარმოებისა და კინოგანათლების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

1.აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობა: მხატვრული სრულმეტრაჟიანი, მხატვრული მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების (ფილმების სერიების) რეგიონში წარმოების (გადაღებების) დაფინანსება. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების, დაფინანსების წესის გათვალისწინებით სამინისტროს მიერ გაიცემა დაფინანსება კინოწარმოებელზე აჭარის რეგიონში მხატვრული სრულმეტრაჟიანი, მხატვრული მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების წარმოებისათვის გასაწევი ხარჯისთვის.

დაფინანსების გადაწყვეტილების მიღების დროს უპირატესობა მიენიჭება კინოპროექტს, რომელიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების გამოყენებას, აქვს ალტერნატიული თანადაფინანსების და აჭარის რეგიონში კინოწარმოებაზე გასაწევი თანხების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, უზრუნველყოფს რეგიონის კინო პროფესიონალების, სტუდენტების და კინოსთან დაკავშირებული სხვა პროფესიის ადამიანების დასაქმებას და მონაწილეობას კინოწარმოების პროცესში, ხელს შეუწყობს რეგიონის, როგორც კინოწარმოებისთვის მომხიბვლელი ალტერნატიული სივრცის პოპულარიზაციას.

2. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი: ჩატარდება აჭარის რეგიონში და ხელს შეუწყობს მსოფლიო ანიმაციის სამყაროში მიმდინარე ტექნოლოგიური მიღწევების გაშუქებასა და გაცნობას ქართული ანიმაციის წარმომადგენელთათვის. აგრეთვე, კრეატიული აზროვნების, გამოცდილების, ახალი ტექნოლოგიების, მუშაობის თანამედროვე მეთოდოლოგიის გაცნობა-გაზიარებას ახალგაზრდა თაობაში. ფესტივალის ფარგლებში რეგიონის მასშტაბით გაიმართება საბავშვო ანიმაციური ფილმების საკონკურსო ჩვენებები, ასევე ადგილობრივი ან/და უცხოეთიდან მოწვეული ანიმატორების, რეჟისორების მასტერკლასები და ვორკშოპები.

3.აჭარის რეგიონის, როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ლოკაციის პრომოუშენი: აჭარის რეგიონს თავისი ბუნებრივი (ზღვა, მთა, სუბტროპიკები დ ა.შ) და არქიტექტურული (ტრადიციული ქართული, თანამედროვე, ევროპული, აზიური) რესურსებიდან გამომდინარე დიდი პოტენციალი გააჩნია რეგიონში ქართული და უცხოელი კინემატოგრაფისტების მოზიდვისათვის. საქართველოს კინემატოგრაფიის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევებიც ადასტურებს, რომ არქიტექტურულ-ბუნებრივი მრავალფეროვნება და კინოგადაღებებთან დაკავშირებული ხარჯების ხელმისაწვდომობა (აღმოსავეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით) რეგიონის მიმართ უცხოური საპროდიუსერო კომპანიების ინტერესს იწვევს. ქვეპროგრამის ფარგლებში გატარდება რიგი აქტივობები (პრეზენტაციები, ვიდეო და ბეჭდური მასალა, შეხვედრების ორგანიზება წამყვან საპროდიუსერო კომპანიებთან და სხვა), რომლებიც ხელს შეუწყობს აჭარის რეგიონის, როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ლოკაციის ცნობადობის ამაღლებას.

4. კინოგანათლების ხელშეწყობა: მოიცავს საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას, კინოხელოვნებასთან დაკავშირებული პუბლიკაციების საგამომცემლო მხარდაჭერას. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ამ სფეროში მოქმედ სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით დააფინანსებს აქტივობებს, რომელთა მიზანია რეგიონში კინოგანათლების ხელშეწყობა და სტუდენტების, ახალგაზრდების და კინოხელოვნების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება.

5. ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა მოიცავს ქვეპროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (კონკურსები, პროექტები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა მაგალითად: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შეძენა, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის (კალენდარი, ჭიქა, გულსაბნევი და სხვა) მომზადება, საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში საჭირო ბრენდირებული საკანცელარიო მასალის (ჩანთა, საქაღალდე, ბლოკნოტი, კალამი, ფანქარი, მეხსიერების დისკი, სანიშნე და სხვა) დამზადება და სხვა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ.საშ.ფასი	სულ
საკონკურსო კომისიის შრომის ანაზღაურება (4 პიროვნება)	4	1250	5,000
კინოპროექტების დაფინანსება	4	33750	135,000
ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი	1	50000	50,000
აჭარის რეგიონის, როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ლოკაციის პრომოუშენი	1	40000	40,000
კინოგანათლების ხელშეწყობა	1	25000	25,000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ხარჯი			5,000
სულ			260,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამინისტროში განაცხადების მიღება და განხილვა	X	X		
საკონკურსო კომისიის შრომის ანაზღაურება (4 პიროვნება)	X	X	X	
კინოპროექტების დაფინანსება (ფილმებისა და ვიდეოჩანაწერების წარმოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა)	X	X	X	X
ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი		X	X	X
აჭარის რეგიონის, როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ლოკაციის პრომოუშენი	X	X	X	X
კინოგანათლების ხელშეწყობა	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ხარჯი	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

აჭარის რეგიონში დასაქმებულია კინო პროფესიონალები, სტუდენტები და სხვა მომიჯნავე პროფესიის ადამიანები, გაზრდილია მათი კვალიფიკაციის დონე. რეგიონში ვითარდება კინოხელოვნება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
აჭარის რეგიონში დასაქმებულია კინო პროფესიონალები, სტუდენტები და სხვა მომიჯნავე პროფესიის ადამიანები, გაზრდილია მათი კვალიფიკაციის დონე. რეგიონში ვითარდება კინოხელოვნება.	აჭარის რეგიონში განხორციელდება არანაკლებ 4 კინოპროექტი	რაოდენობა	ხელშეკრულება კინომწარმოებელსა და სამინისტროს შორის; სტუდენტები; კულტურის დეპარტამენტი	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; კინომწარმოებლის ანგარიში;
	პროგრამის ფარგლებში კინოპროექტებში დასაქმდება/ჩაერთვება არანაკლებ 40 ფიზ/იურ პირი/სტუდენტი	რაოდენობა	ხელშეკრულება კინომწარმოებელსა და სამინისტროს შორის; კულტურის დეპარტამენტი.	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; კინომწარმოებლის ანგარიში.
	აჭარის რეგიონში ჩატარდება არანაკლებ 1 საგანმანათლებლო აქტივობა	რაოდენობა	ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასა და სამინისტროს შორის; კულტურის დეპარტამენტი.	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის ანგარიში
	აჭარის რეგიონის, როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ლოკაციის პრომოუშენის მიზნით განხორციელდება არანაკლებ 1 ღონისძიება	რაოდენობა	ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასა და სამინისტროს შორის; კულტურის დეპარტამენტი.	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის ანგარიში
	ფესტივალს დაესწრება საშუალოდ 1500 ადამიანი	რაოდენობა	ხელშეკრულება პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციასა და სამინისტროს შორის; კულტურის დეპარტამენტი.	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის ანგარიში.
	ფესტივალის ფარგლებში გაიმართება არანაკლებ 3 ვორკშოპი/მასტერკლასი	რაოდენობა	ხელშეკრულება პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციასა და სამინისტროს შორის; კულტურის დეპარტამენტი;	ფესტივალის მიმდინარეობის ას	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის ანგარიში.

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის პოპულარიზაცია და
შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 01 04

ქვეპროგრამის დასახელება:

ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია სოფლად

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	50,000
სულ ბიუჯეტი:	50,000

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტებში არსებული კულტურული რესურსების რეალიზების ხელშეწყობა და მოსახლეობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო, სახელოვნებო ღონისძიებებით; მუნიციპალიტეტების კულტურის ორგანიზაციებში (კულტურის ცენტრები, კულტურის სახლები, სასოფლო კლუბები) საქმიანობის ხელშეწყობა და გააქტიურება;

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის მუნიციპალიტეტებში 2015 წელს განხორციელებული კულტურის რესურსებისა და საჭიროებათა კვლევის საფუძველზე შექმნილი რეკომენდაციების დოკუმენტის საპასუხოდ 2017 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საგანმანათლებლო, სახელოვნებო პროექტების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში კულტურული რესურსების რეალიზებას, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მოსახლეობის უზრუნველყოფას კულტურულ-სახელოვნებო აქტივობებით. როგორც კვლევამ ცხადყო, მუნიციპალური კულტურის ორგანიზაციების - კულტურის ცენტრები, კულტურის სახლები და სასოფლო კლუბები, მთავარი გამოწვევა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემების დანერგვა და მენეჯმენტის გაუმჯობესებაა, ამ გამოწვევის საპასუხოდ ჩატარდება ტრენინგები/ვორკშოპები აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, რის ფარგლებშიც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და პოლონეთის ზემო სილეზიის სავოევოდოს რეგიონის თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების განვითარების შესახებ დადებული შეთანხმების საფუძველზე, მოხდება პოლონური გამოცდილების გაზიარება.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა მოიცავს ქვეპროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (კონკურსები, პროექტები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა მაგალითად: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შეძენა, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის (კალენდარი, ჭიქა, გულსაბნევი და სხვა) მომზადება, საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში საჭირო ბრენდირებული საკანცელარიო მასალის (ჩანთა, საქაღალდე, ბლოკნოტი, კალამი, ფანქარი, მეხსიერების დისკი, სანიშნე და სხვა) დამზადება და სხვა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მუნიციპალიტეტების კულტურის ორგანიზაციების (კულტურის ცენტრები, კულტურის სახლები და სასოფლო კლუბები) საქმიანობის ხელშეწყობა და გააქტიურება	3	10000	30,000
საგანმანათლებლო, სახელოვნებო ღონისძიებები	5	3,000	15,000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			5,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			50,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მუნიციპალიტეტების კულტურის ორგანიზაციების (კულტურის ცენტრები, კულტურის სახლები და სასოფლო კლუბები) საქმიანობის ხელშეწყობა და გააქტიურება	X	X	X	X
საგანმანათლებლო, სახელოვნებო ღონისძიებები	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გააქტიურდა მუნიციპალიტეტების კულტურის ორგანიზაციების საქმიანობა. განხორციელდა აქტივობები, რომელთა შედეგად ხელი შეეწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში კულტურული რესურსების რეალიზებას და მოსახლეობის უზრუნველყოფას საგანმანათლებლო, სახელოვნებო ღონისძიებებით;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გააქტიურდა მუნიციპალიტეტების კულტურის ორგანიზაციების საქმიანობა. განხორციელდა აქტივობები, რომელთა შედეგად ხელი შეეწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში კულტურული რესურსების რეალიზებას და მოსახლეობის უზრუნველყოფას საგანმანათლებლო, სახელოვნებო ღონისძიებებით;	განხორციელებული არანაკლებ 5 საგანმანათლებლო, სახელოვნებო პროექტი	რაოდენობა	აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, მუნიციპალიტეტების კულტურის ორგანიზაციები	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი, პროგრამული ანგარიში, განხორციელებული აქტივობების ამსახველი ვიზუალური მასალა
	მუნიციპალიტეტების კულტურის ორგანიზაციების (კულტურის ცენტრები, კულტურის სახლები და სასოფლო კლუბები) საქმიანობის ხელშეწყობისა და გააქტიურების მიზნით განხორციელებული არანაკლებ 3 აქტივობა					

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 02

პროგრამის დასახელება:

კულტურის ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,486,000	186,000	400,000	450,000	450,000
სულ ბიუჯეტი:	1,486,000	186,000	400,000	450,000	450,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

კულტურის ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა;

პროგრამის აღწერა:

2017 წელს პროგრამა განხორციელდება სამი ძირითადი მიმართულებით:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედ თეატრებში და ბათუმის მუსიკალურ ცენტრში მართვითი და შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესება - რაც ითვალისწინებს ბრიტანეთის და აჭარის თეატრებისა (სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი, სსიპ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი) და სსიპ მუსიკალური ცენტრის თანამშრომლობას, რომელიც განხორციელდება პროფესიული განვითარების და შემოქმედებითი მიმართულებით. ბრიტანელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდება ვორკშოფი, რომლის ფარგლებშიც აჭარის თეატრებისა და მუსიკალური ცენტრის წარმომადგენლები გაეცნობიან საზოგადოებასთან მუშაობის ბრიტანულ გამოცდილებას, მეგობართა კლუბთან, საზოგადოებებთან და ასოციაციებთან, უშუალოდ თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობის მეთოდებსა და სტრატეგიებს. განხორციელდება საგანმანათლებლო ვიზიტი ედინბურგის ფრინჯ ფესტივალზე, შეიქმნება ბრიტანულ-ქართული ერთობლივი სპექტაკლი (კო-პროდუქცია) და შედგება ბრიტანული კომპანიის გასტროლი აჭარაში.

2. სამუზეუმო საქმიანობის განვითარება: ითვალისწინებს ვიზიტორებისათვის შეთავაზებული პროდუქტის გამრავალფეროვნებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ტრენინგების /მასტერკლასების/ ვორკშოფების და სხვა აქტივობების განხორციელებას ისეთ თემებზე, როგორიცაა მუზეუმების საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა, ფონდების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია. ასევე პოლონელ პარტნიორებთან ერთად ჩატარდება ღონისძიებები პოლონური გამოცდილების გაზიარებისა და სამუზეუმო მარკეტინგის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
თეატრებსა და მუსიკალურ ცენტრში მენეჯმენტისა და შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობა	911,000	101,000	250,000	280,000	280,000
სამუზეუმო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა	575,000	85,000	150,000	170,000	170,000
სულ	1,486,000	186,000	400,000	450,000	450,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2016 წელს აჭარის რეგიონში მოქმედი თეატრებისა და სსიპ ბათუმის მუსიკალური ცენტრის წარმომადგენელთათვის პროგრამის „სამშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა“ ფარგლებში ჩატარდა სამი პროფესიული განვითარების ღონისძიება თემებზე: შეფასების ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა; სახელოვნებო პროექტის დაგეგმვა და მენეჯმენტი; პროგრამირება და პროდიუსირება კულტურის ორგანიზაციებისთვის; ასევე შეიქმნა ბრიტანულ-ქართული ერთობლივი სპექტაკლი და შედგა ბრიტანული თეატრალური კომპანიის გასტროლი აჭარაში. სამუზეუმო საქმიანობის მიმართულებით განხორციელდა მუზეუმებში საგანმანათლებლო საქმიანობის გააქტიურების ხელშეწყობი ერთი პროექტი და პოლონელი ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ვორკშოფი რეგიონში მოქმედი მუზეუმების წარმომადგენელთათვის. შედგა სამუშაო შეხვედრა ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ საგრანტო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების თემატიკაზე.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ქვეპროგრამის „თეატრებსა და მუსიკალურ ცენტრში მენეჯმენტისა და შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესება“ ფარგლებში ბრიტანელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა ვორკშოფი თემაზე „საზოგადოების ჩართულობა თეატრის ცხოვრებაში“, შეიქმნა ბრიტანულ-ქართული ერთობლივი სპექტაკლი (კო-პროდუქცია) და შედგა ბრიტანული კომპანიის გასტროლი აჭარაში. **ქვეპროგრამის** „სამუზეუმო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები /მასტერკლასები/ ვორკშოფები თემებზე - მუზეუმების საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობა, ფონდების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია. პოლონელი პარტნიორების მონაწილეობით ერთად ჩატარდება ღონისძიებები სამუზეუმო მარკეტინგის გაუმჯობესების მიზნით.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს კულტურის ორგანიზაციების ინსტიტუციურ განვითარებას;

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს კულტურის ორგანიზაციების ინსტიტუციურ განვითარებას;	აჭარის თეატრებისა და სსიპ ბათუმის მუსიკალური ცენტრის წარმომადგენლებისათვის ჩატარებული პროფესიული განვითარებისა და შემოქმედებითი ღონისძიების არანაკლები რაოდენობა	2	4	5	5	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; ბრიტანეთის საბჭო საქართველოში	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული ანგარიში; განხორციელებული ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა
	ჩატარებულ პროფესიული განვითარებისა და შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილე აჭარის თეატრებისა და სსიპ ბათუმის მუსიკალური ცენტრის წარმომადგენელთა არანაკლებ რაოდენობა	30	30	35	35	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; ბრიტანეთის საბჭო საქართველოში	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	პროგრამული ანგარიში; განხორციელებული ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა
	განხორციელებული პროექტების არანაკლებ რაოდენობა, რომლებიც ხელს უწყობს სამუზეუმო საქმიანობის განვითარებას, ვიზიტორებისათვის შეთავაზებული პროდუქტის გამრავალფეროვნებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.	6	9	10	10	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, პროექტში ჩართული მუზეუმები;	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; განხორციელებული ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 02 01

ქვეპროგრამის დასახელება:

თეატრებსა და მუსიკალურ ცენტრში მენეჯმენტისა და შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესების ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	101,000
სულ ბიუჯეტი:	101,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედ თეატრებში და ბათუმის მუსიკალურ ცენტრში მართვითი და შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა მოიცავს ბრიტანეთის და აჭარის თეატრების (სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი, სსიპ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი) და სსიპ მუსიკალური ცენტრის თანამშრომლობას, რომელიც განხორციელდება პროფესიული განვითარების და შემოქმედებითი მიმართულებით. ქვეპროგრამის ფარგლებში პროფესიული განვითარების მიმართულებით განხორციელდება:

1. საზოგადოების ჩართულობა თეატრის ცხოვრებაში: აუდიტორიის მოზიდვის, ერთგული მაყურებლის შენარჩუნებისა და მაყურებელთა ახალი სეგმენტის დაინტერესების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს თეატრის ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობა წარმოადგენს. ბათუმის თეატრების მიერ ჩატარებულმა აუდიტორიის მცირე მასშტაბიანმა კვლევებმაც დაადასტურა, რომ ადგილობრივი მაყურებლის დიდი ნაწილი სწორედ მეგობრის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ან/და რეკომენდაციით ესწრება ღონისძიებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ბრიტანელი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდება ტრენინგი/ვორკშოფი, რომლის ფარგლებშიც აჭარის თეატრებისა და მუსიკალური ცენტრის წარმომადგენლები გაეცნობიან საზოგადოებასთან მუშაობის ბრიტანულ გამოცდილებას, მეგობართა კლუბთან, საზოგადოებებთან და ასოციაციებთან, უშუალოდ თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობის მეთოდებსა და სტრატეგიებს.

2. ქართულ-ბრიტანული ერთობლივი სპექტაკლი (კო-პროდუქცია)- ამ მიზნით ბრიტანულ მხარესთან ერთად შეირჩევა თანამედროვე ბრიტანული თეატრალური კომპანია/ ახალი თაობის ბრიტანელი რეჟისორი, რომელიც აჭარაში მოქმედ თეატრთან, ადგილობრივ მსახიობებთან და რეჟისორთან თანამშრომლობით განახორციელებს ერთობლივ სპექტაკლს (კო-პროდუქციას).

ქვეპროგრამის ფარგლებში შემოქმედებითი მიმართულებით განხორციელებული პროექტის მეშვეობით ადგილობრივი მაყურებელი გაეცნობა თანამედროვე ბრიტანული თეატრის ტენდენციებს, ხოლო მსახიობები და რეჟისორები გაიზიარებენ ბრიტანული თეატრის გამოცდილებას, გაეცნობიან სასცენო ხელოვნების თანამედროვე მიმდინარეობებს, მუშაობის სპეციფიკასა და თავისებურებებს, რაც ხელს შეუწყობს აჭარაში საშემსრულებლო ხელოვნების წარმომადგენელთა პროფესიული ღონის ამაღლებას და საერთო შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესებას. ბრიტანეთის საბჭო საქართველოში უზრუნველყოფს ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისათვის პარტნიორების, ტრენერების, კონსულტანტების, ხელოვანების მოძიებას და მათთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას, ანგარიშგებისა და საფინანსო საკითხების შესაბამისი სტანდარტების დაცვას; ადმინისტრაციულ საკითხებში დახმარების და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ შესაბამისი ინფორმაციების და რეკომენდაციების მიწოდებას. ბრიტანეთის საბჭო საქართველოში 2017 წლის ქვეპროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებს გაუწევს თანადაფინანსებას.

3. ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა მოიცავს ქვეპროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (კონკურსები, პროექტები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა მაგალითად: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შეძენა, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის (კალენდარი, ჭიქა, გულსაბნევი და სხვა) მომზადება, საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში საჭირო ბრენდირებული საკანცელარიო მასალის (ჩანთა, საქაღალდე, ბლოკნოტი, კალამი, ფანქარი, მეხსიერების დისკი, სანიშნე და სხვა) დამზადება და სხვა.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ.საშ.ფასი	სულ
პროფესიული განვითარების ღონისძიება	ტრენინგი/ ვორკშოფი: საზოგადოების ჩართულობა თეატრის ცხოვრებაში	1	16,000	16,000
შემოქმედებითი ღონისძიება	ქართულ-ბრიტანული ერთობლივი სპექტაკლი (კო-პროდუქცია)	1	80,000	80,000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა				5,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი:				101,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
პროფესიული განვითარების ღონისძიება	x	x		
შემოქმედებითი ღონისძიებება		x	x	x
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამაში ჩართულ ადგილობრივ კულტურის ორგანიზაციებში გაუმჯობესდა მართვითი და შემოქმედებითი პროცესები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამაში ჩართულ ადგილობრივ კულტურის ორგანიზაციებში გაუმჯობესდა მართვითი და შემოქმედებითი პროცესები.	ჩატარდა არანაკლებ ერთი პროფესიული განვითარებისა და ერთი შემოქმედებითი ღონისძიება	რაოდენობა	აჭარის რეგიონში არსებული თეატრები; მუსიკალური ცენტრი კულტურის დეპარტამენტი; ბრიტანეთის საბჭო საქართველოში;	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;	ბრიტანეთის საბჭოს ანგარიში; მიღება-ჩაბარების აქტი; განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ვიზუალური მასალა.
	ჩატარებულ პროფესიული განვითარებისა და შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობდა აჭარის თეატრებისა და სსიპ ბათუმის მუსიკალური ცენტრის არანაკლებ 30 წარმომადგენელი	რაოდენობა	აჭარის რეგიონში არსებული თეატრები; მუსიკალური ცენტრი კულტურის დეპარტამენტი; ბრიტანეთის საბჭო საქართველოში;	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;	ბრიტანეთის საბჭოს ანგარიში; მიღება-ჩაბარების აქტი; განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ვიზუალური მასალა.

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურის ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 02 02

ქვეპროგრამის დასახელება:

სამუზეუმო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	85,000
სულ ბიუჯეტი:	85,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სამუზეუმო საქმიანობის განვითარება, ვიზიტორებისათვის შეთავაზებული პროდუქტის გამრავალფეროვნება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

<p>2017 წელს ქვეპროგრამა შემდეგი მიმართულებებით განხორციელდება:</p> <p>1. სამუზეუმო მარკეტინგის გაუმჯობესება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და პოლონეთის ზემო სილეზიის საგოგონოს რეგიონის შორის გაფორმებული თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების განვითარების შეთანხმების საფუძველზე 2016 წელს პოლონური გამოცდილების გაზიარებისა და სამუზეუმო მენეჯმენტის განვითარების მიზნით ბათუმში შედგა პოლონელ ექსპერტთა ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა გაცნობითი ხასიათის ტური რეგიონის მუზეუმებში და ვორკშოფი. სამუშაო შეხვედრის ფარგლებში გაანალიზდა რეგიონში არსებული მუზეუმების საჭიროებები და შესაძლებლობები. განვითარების სტრატეგიები. გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ 2017 წელს სილეზიის მხარესთან აქტიური თანამშრომლობით ჩატარდება ტრენინგები/ვორკშოფები მუზეუმის სამარკეტინგო საქმიანობის ისეთ ასპექტებზე, როგორიცაა ბაზრის არსებული და პოტენციური სეგმენტების გამოვლენა და მათთან ეფექტური თანამშრომლობა; მუზეუმის მომსახურებისა და პროდუქციის მუდმივი გაუმჯობესების აუცილებლობა;</p>
<p>2. საექსპოზიციო საქმიანობის ხელშეწყობა: ითვალისწინებს ტრენინგების /ვორკშოფების და სხვა აქტივობების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს სამუზეუმო საექსპოზიციო საქმიანობის ახალი ინოვაციური მეთოდების, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით წარმართვასა და საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას, რაც ვიზიტორთა რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდას, ვიზიტორებისათვის შეთავაზებული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.</p>
<p>3. ფონდების მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა: ფონდები და კოლექციები მუზეუმის მთავარი განმსაზღვრელი ატრიბუტია, ხოლო ფონდების მართვის პოლიტიკა არსებითად განსაზღვრავს მუზეუმის მართვის ეფექტურობას. ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარაში მოქმედი მუზეუმების თანამშრომლებისათვის ჩატარდება ტრენინგები/ვორკშოფები, რომელთა ფარგლებშიც ფონდის მცველები (და ფონდების მართვაზე პასუხისმგებელი სხვა პირები) გაეცნობიან ფონდის/სამუზეუმო კოლექციის განვითარების თანამედროვე სტრატეგიებსა და მართვის მეთოდოლოგიას, თანამედროვე სამუზეუმო საინფორმაციო სისტემებსა და დოკუმენტწარმოებას.</p>

4. საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა: მუზეუმის, როგორც საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ცენტრის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა სახის სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, საბავშვო პროგრამების, შემუშავებისა და დანერგვის მხარდაჭერა კულტურის სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციაა. 2016 წლის პროგრამების ფარგლებში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით რეგიონში მოქმედ მუზეუმებში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/დანერგვის მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები. არსებული რეალობის ანალიზი ცხადყოფს აღნიშნული მიმართულებით პროექტების განხორციელების აუცილებლობას. 2017 წლის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტრენინგების/ ვორკშოპების და სხვა აქტივობების განხორციელებას აჭარის რეგიონში მოქმედ მუზეუმებში საგანმანათლებლო პროგრამების თემატური მრავალფეროვნების, მეთოდოლოგიური დახვეწის და მუზეუმების მიერ შემოთავაზებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

5. ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა მოიცავს ქვეპროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (კონკურსები, პროექტები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა მაგალითად: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შეძენა, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის (კალენდარი, ჭიქა, გულსაბნევი და სხვა) მომზადება, საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში საჭირო ბრენდირებული საკანცელარიო მასალის (ჩანთა, საქაღალდე, ბლოკნოტი, კალამი, ფანქარი, მეხსიერების დისკი, სანიშნე და სხვა) დამზადება და სხვა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამუზეუმო მარკეტინგის გაუმჯობესება	1	15,000	15,000
საექსპოზიციო საქმიანობის ხელშეწყობა	1	20,000	20,000
ფონდების მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა	2	12,500	25,000
საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	2	10,000	20,000
ქვეპროგრამის მხარდაჭერის ხარჯი			5,000
სულ			85,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამუზეუმო მარკეტინგის გაუმჯობესება	X	X	X	
საექსპოზიციო საქმიანობის ხელშეწყობა	X	X	X	X
ფონდების მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა		X	X	X
საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა	X	X		X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

განვითარებულია სამუზეუმო საქმიანობა, გამრავალფეროვნებულია ვიზიტორებისათვის შეთავაზებული პროდუქტი, გაუმჯობესებულია მომსახურების ხარისხი.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
განვითარებულია სამუზეუმო საქმიანობა, გამრავალფეროვნებულია ვიზიტორებისათვის შეთავაზებული პროდუქტი, გაუმჯობესებულია მომსახურების ხარისხი.	განხორციელებული პროექტების რაოდენობა (არანაკლებ 6)	რაოდენობა	აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; პროექტში ჩართული მუზეუმები;	წლის განმავლობაში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ვიზუალური მასალა

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 03

პროგრამის დასახელება:

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,300,000	270,000	330,000	350,000	350,000
სულ ბიუჯეტი:	1,300,000	270,000	330,000	350,000	350,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა: მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის მისი იდენტიფიკაცია, დოკუმენტირება, კვლევა, შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია, მისი როლის ამაღლება და მისი გადაცემა თაობებისთვის უმთავრესად არაფორმალური განათლების მეშვეობით, აგრეთვე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის აღორძინება.

პროგრამის აღწერა:

საქართველომ 2007 წლის 4 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის N 5535 – II ს დადგენილებით რატიფიცირება გაუკეთა პარიზის კონვენციას „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ შესახებ და აიღო ვალდებულება მიიღოს აუცილებელი ზომები მის ტერიტორიაზე არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველსაყოფად; ჩვენი რეგიონი გამოირჩევა რეწვის ტრადიციების, ადათ-წესების, ფოლკლორის, არტეფაქტების მრავალფეროვნებით, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და მუდმივ განახლებას განიცდის გარემო პირობების, ისტორიის შესაბამისად. ამ თვითმყოფადი მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია ხელს უწყობს კულტურათა მრავალფეროვნებასა და ადამიანის შემოქმედების პატივისცემას. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ისეთი სფეროების დაცვის მიზნით, როგორიცაა:

ა) საშემსრულებლო ხელოვნება;

ბ) ხელოსნობის ტრადიციულ დარგებთან დაკავშირებული ცოდნა და ჩვევები;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1. აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადი: ოლიმპიადის მიზანია ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წარმოჩენა და პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში, ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა და მონაწილეთა შორის შემოქმედებით სიახლეთა გაზიარება. ოლიმპიადის მიზანია მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების, კულტურის ცენტრებისა და სახელოვნებო სკოლების სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს;

2-3. სასცენო კოსტიუმებითა და აქსესუარებით უზრუნველყოფა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ფოლკლორული ანსამბლები, რომელთა დიდი ნაწილი საჭიროებს სასცენო კოსტიუმებისა და აქსესუარების განახლებას. ყოველწლიურად აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ტარდება სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადი. აღნიშნული ოლიმპიადის შედეგად გამოვლინდა არაერთი წარმატებული მონაწილე, რომელთაც პროგრამის ფარგლებში, ანსამბლის საჭიროებების შესაბამისად გადაეცემათ სასცენო კოსტიუმები და აქსესუარები.

ავთენტური ქართული ნაციონალური სამოსის ტრადიციების შენარჩუნებისა და ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ესთეტიკის უკეთ წარმოჩენის მიზნით, სასცენო კოსტიუმები და აქსესუარები, ანსამბლების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, მუნიციპალიტეტების მოთხოვნის საფუძველზე ასევე გადაეცემათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის ცენტრებთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლებს.

4. ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნება: აჭარის რეგიონი გამოირჩევა ხალხური რეწვის ტრადიციების მრავალფეროვნებით, თუმცა ამჟამად დარგის მთავარ გამოწვევად ტრადიციული რეწვის კადრების გადამზადებისა და პროფესიული სწავლების განვითარების პროგრამების სიმწირე რჩება, რაც თავისთავად ქმნის რეწვის უძველესი, ავთენტური, რეგიონისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგიების დავიწყება-დაკარგვის საფრთხეს. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, ქართული ხალხური რეწვის ხელშეწყობის, რეგიონში არსებული რეწვის უძველესი ტექნოლოგიების შენარჩუნების, ცოცხალი და მივიწყებული ტრადიციების რესურსის რეალიზების მიზნით მოხდება რეგიონში ოსტატთა მოძიება და რეწვის სტუდია-სახელოსნოების განვითარების მხარდაჭერა;

5. ხალხური რეწვის პროდუქციის განვითარება: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განვითარება-პოპულარიზაციის მიმართულებით ერთ-ერთ გამოწვევას რეწვის პროდუქციის განვითარებასთან დაკავშირებული გადამზადების პროგრამების (დიზაინის, ხარისხის, შეფუთვის, ფასწარმოქმნის და ა.შ. მიმართულებით), ასევე რეწვის ბიზნესის წარმოების საფუძვლების სწავლების (მარკეტინგული გეგმები, ბიზნეს პროექტების წერა და ა.შ.) არარსებობა წარმოადგენს. დარგის განვითარებაზე ასევე უარყოფითად აისახება ტრადიციული რეწვის ოსტატების სუსტი კავშირი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებთან, კავშირებთან და ასოციაციებთან და ზოგადად ხალხური რეწვის პროდუქციის დაბალი პოპულარიზაცია (არასაკმარისია რეგიონთაშორისი გამოფენების, ფესტივალების ჩატარება; ოსტატთა ნამუშევრების რეკლამა, კატალოგების გამოცემა). აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ რეგიონში განხორციელდება საგანმანათლებლო და სახელოვნებო პროექტები ხალხური რეწვის პროდუქციის განვითარებისათვის.

6. აჭარული ხალხური სიმღერების კრებულისა და აუდიოალბომის გამოცემა: 2016 წელს საქართველოს ფოლკლორის ცენტრმა პროექტის „ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნიმუშების დაფიქსირება - საარქივო მასალების შექმნა“ ფარგლებში მოაწყო კომპლექსური ექსპედიცია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში. აჭარაში ექსპედიციების შემდეგ ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტები უზრუნველყოფენ ჩაწერილი უნიკალური ნიმუშების დამუშავებასა და მათი მომზადებას წიგნის ელექტრონული ვერსიისა და აუდიოალბომის შესაქმნელად. აღნიშნული წიგნისა და აუდიოალბომის გამოცემა ხელს შეუწყობს რეგიონის საარქივო მასალების შექმნასა და დაფიქსირებას, მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციების შენარჩუნებას და მის პოპულარიზაციას. პროექტი განხორციელდება საქართველოს ფოლკლორის ცენტრთან თანამშრომლობით.

7. პროგრამის განხორციელების მხარდაჭერა მოიცავს პროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (კონკურსები, პროექტები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა მაგალითად: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შეძენა, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის (კალენდარი, ჭიქა, გულსაბნევი და სხვა) მომზადება, საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში საჭირო ბრენდირებული საკანცელარიო მასალის (ჩანთა, საქაღალდე, ბლოკნოტი, კალამი, ფანქარი, მეხსიერების დისკი, სანიშნე და სხვა) დამზადება და სხვა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადი	1	30,000	30,000
სასცენო კოსტიუმებისა და აქსესუარების შეძენა (ოლიმპიადაში გამარჯვებული არანაკლებ 12 ანსამბლი)	12		100,000
სასცენო კოსტიუმებისა და აქსესუარების შეძენა (მუნიციპალიტეტებში კულტურის ცენტრებთან არსებული არანაკლებ 5 ანსამბლი)	5		50,000
ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნება	5	6,000	30,000
ხალხური რეწვის პროდუქციის განვითარება	1	30,000	30,000
წიგნი და აუდიო ალბომის - შუახევის ფოლკლორი გამოცემა			25,000
პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი			5,000
სულ პროგრამა			270,000

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
აჭარის კულტურის ცენტრებთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლების სასცენო კოსტიუმებით და აქსესუარებით უზრუნველყოფა (ტენდერის გამოცხადება, შესყიდვა)	X	X	X	
აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადი	X	X		
აჭარის ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო კოსტიუმებით და აქსესუარებით უზრუნველყოფა		X	X	X
პროექტები ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებისთვის	X	X	X	X
პროექტები ხალხური რეწვის პროდუქციის განვითარებისთვის	X	X	X	X
წიგნის და აუდიო ალბომის გამოცემა - შუახევის ფოლკლორი		X	X	X
პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი	X	X	X	X

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2016 წელს პროგრამის - „ფოლკლორის ხელშეწყობა“ ფარგლებში ჩატარდა აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადი, სადაც მონაწილეობა მიიღო 102-მა ვოკალურმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, 2 000-ზე მეტმა შემსრულებელმა.

სასცენო კოსტიუმები და აქსესუარები გადაეცათ:

ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის კულტურის ცენტრებთან არსებულ 18 ფოლკლორულ ანსამბლს (205 შემსრულებელს);

აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებულ ანსამბლებს და ინდივიდუალურ შემსრულებლებს.

გამოიცა აჭარული ხალხური სიმღერების კრებული და აუდიო-ალბომი.

2017 წელს პროგრამის - „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში:

- ჩატარდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, სადაც მონაწილეობა მიიღო არანაკლებ 70 ანსამბლმა და 1600 შემსრულებელმა.

სასცენო კოსტიუმები და აქსესუარები გადაეცა:

- ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის კულტურის ცენტრებთან არსებულ არანაკლებ 5 ფოლკლორულ ანსამბლს და შემსრულებლებს;
- აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებულ არანაკლებ 12 ანსამბლს და შემსრულებლებს გადაეცემათ სასცენო კოსტიუმები და აქსესუარები;
- განხორციელდა პროექტები ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებისთვის;
- განხორციელდა პროექტი ხალხური რეწვის პროდუქციის განვითარებისთვის;
- გამოიცა წიგნი და აუდიო ალბომი - შუახევის ფოლკლორი;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გატარებულია ღონისძიებები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
გატარებულია ღონისძიებები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით	ოლიმპიადაში მონაწილე ანსამბლების არანაკლებ რაოდენობა; ოლიმპიადაში მონაწილე ბავშვების არანაკლებ რაოდენობა.	70 ანსამბლი; 1600 მონაწილე	70 ანსამბლი; 1600 მონაწილე	70 ანსამბლი; 1600 მონაწილე	70 ანსამბლი; 1600 მონაწილე	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები; ტერიტორიული ორგანოები - საგანმანათლებლო რესურსცენტრები;	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი
	სასცენო კოსტიუმებითა და აქსესუარებით აღჭურვილი ანსამბლების არანაკლებ რაოდენობა	17	20	24	25	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი
	ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებისთვის განხორციელებული პროექტების არანაკლებ რაოდენობა	5	5	6	6	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები; პროექტის მონაწილე ორგანიზაციები;	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი
	ხალხური რეწვის პროდუქციის განვითარებისთვის განხორციელებული პროექტების არანაკლებ რაოდენობა	1	2	2	2	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; პროექტის მონაწილე ორგანიზაციები;	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი
	გამოცემული წიგნის და აუდიოალბომის არანაკლებ რაოდენობა	2	2	2	2	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; საქართველოს ფოლკლორის ცენტრი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 08

პროგრამის დასახელება:

კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,141,800	240,000	270,600	290,600	340,600
სულ ბიუჯეტი:	1,141,800	240,000	270,600	290,600	340,600

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

აჭარის რეგიონში მოღვაწე კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა; კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა; ქართული მხატვრობისა და თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა; შემოქმედებითი პროცესების გააქტიურება.

პროგრამის აღწერა:

საქართველო 2008 წლის 20 ოქტომბრიდან მიუერთდა იუნესკოს კონვენციას „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ“, რომლის IV თავის „მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებები“ მუხლი 6. მონაწილეთა უფლებები სახელმწიფო დონეზე ზ) ქვეპუნქტით სახელმწიფოს ვალდებულებაა გაატაროს „ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შემოქმედებითი მუშაკების და კულტურული თვითგამოხატვის საქმიანობაში ჩართული ადამიანების წახალისებასა და მხარდაჭერას“, რაც თავისთავად გულისხმობს მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. აჭარის რეგიონში ფუნქციონირებს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში არსებული კულტურის ორგანიზაციები, ასევე მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფი კულტურის ცენტრები, გარდა ამისა რეგიონში მოქმედებს სხვადასხვა კერძო სამართლის იურიდიული პირი, ინდივიდუალური შემსრულებლები, ხელოვანები, რომლებიც აჭარის რეგიონში ახორციელებენ მრავალფეროვან სახელოვნებო პროექტებს. რეგიონში შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესებისა და კულტურის პროექტების წარმატებული განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია პერმანენტულად პროფესიული განვითარების ღონისძიებების გატარება, კულტურის ორგანიზაციების, ინდივიდუალური შემსრულებლებისა და ხელოვანების ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

1. საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა - ითვალისწინებს წლის განმავლობაში აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მონაწილეობის ხელშეწყობას საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ხელოვანთა შემოქმედებითი განვითარების, ასევე კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მხრივ. საკონკურსო თანხის ფარგლებში დაფინანსდება კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებულები, ხოლო არასაკონკურსო თანხის ფარგლებში აპლიკანტების დაფინანსების საკითხი, ისევე როგორც საკონკურსო პირობები, დაფინანსების ოდენობა, შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით.

2. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - ითვალისწინებს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა და მოსწავლეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობას; ტრენინგებში, მასტერკლასებში, ვორკშოპებსა და სხვა სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობას; სახელოვნებო ლიტერატურის ბეჭდვითი მასალების მომზადება-გამოცემის ხელშეწყობას;

3. პროფესიული განვითარების ღონისძიება სადადგმო ჯგუფისთვის - აღნიშნული პუნქტი ითვალისწინებს კადრების (სადადგმო ჯგუფი) გადამზადებას აჭარის რეგიონში მოქმედი კულტურის ორგანიზაციების გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოთხოვნების შესაბამისად.

4. ფესტივალების ორგანიზება და მართვა - რეგიონში ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის საერთაშორისო ფესტივალი, რომლებსაც ორგანიზებას უწევს სახელმწიფო ან კერძო სექტორის კულტურის ორგანიზაცია, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ფესტივალის მენეჯმენტი აგებულია მხოლოდ პირად გამოცდილებასა და პერსონალურ უნარ-ჩვევებზე. აღნიშნულ ფესტივალებს განვითარებისა და არა მხოლოდ შემოქმედებითი, არამედ ეკონომიკური უკუგების დიდი პოტენციალი აქვთ, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს აჭარის რეგიონის და განსაკუთრებით ბათუმის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდას და კულტურული ტურიზმის განვითარებას. რეგიონში არსებული საფესტივალო ლანდშაფტის შესწავლისა და საჭიროებათა განსაზღვრის მიზნით 2016 წელს გაიმართა სამუშაო შეხვედრები ბრიტანელი ექსპერტის მონაწილეობით, მომზადდა ანგარიში და შემუშავდა რეკომენდაციები. ფესტივალების ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესების, ერთიანი კულტურული კალენდარის შემუშავებისა და მათი პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდება ვორკშოპი, რომლის ფარგლებშიც მოხდება ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტთა გამოცდილებისა და რეკომენდაციების გაზიარება, ამავდროულად შედგება დიალოგი არსებული ფესტივალების ორგანიზატორთა შორის და ხელი შეეწყობა მათ პროფესიულ განვითარებას.

5. შემოქმედებითი კავშირების მხარდაჭერა - ითვალისწინებს მხატვართა ადგილობრივი შემოქმედებითი კავშირის და ა(ა)იპ „აჭარის თეატრალური საზოგადოების“ შემოქმედებითი და საგანმომცემლო საქმიანობის, ასევე გამოფენების, პლენერებისა და გასტროლების ორგანიზების ხელშეწყობას.

6. პროგრამის განხორციელების მხარდაჭერა მოიცავს პროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (კონკურსები, პროექტები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა მაგალითად: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შეძენა, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის (კალენდარი, ჭიქა, გულსაბნევი და სხვა) მომზადება, საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში საჭირო ბრენდირებული საკანცელარიო მასალის (ჩანთა, საქაღალდე, ბლოკნოტი, კალამი, ფანქარი, მეხსიერების დისკი, სანიშნე და სხვა) დამზადება და სხვა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა	10	10,500	105,000
სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	4	5,000	20,000
პროფესიული განვითარების ღონისძიება სადადგმო ჯგუფისთვის	1	10,000	10,000
ფესტივალების ორგანიზება და მართვა	1	60,000	60,000
შემოქმედებითი კავშირების მხარდაჭერა	2	20,000	40,000
პროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ხარჯი			5,000
სულ			240,000

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა	X	X	X	X
სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	X	X	X	X
პროფესიული განვითარების ღონისძიება სადადგმო ჯგუფისთვის	X	X	X	X
ფესტივალების ორგანიზება და მართვა		X	X	X
შემოქმედებითი კავშირების მხარდაჭერა	X	X	X	X
პროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ხარჯი	X	X	X	X

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში აჭარის რეგიონში 2016 წელს განხორციელდა ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. განხორციელდა სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები და უზრუნველყოფილ იქნა მათი სხვადასხვა ტრენინგებში, მასტერკლასებში, ვორკშოფებსა და სხვა სახელოვნებო განათლების ხელშეწყობ ღონისძიებებში მონაწილეობა. ჩატარდა ვორკშოფები საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთათვის. განხორციელდა მხატვართა ადგილობრივი შემოქმედებითი კავშირის და ა(ა)იპ „აჭარის თეატრალური საზოგადოების“ პროექტები.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. გაიმართება კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები. შემოქმედებითი კავშირების მხარდაჭერის ფარგლებში გამოიცემა ადგილობრივი მხატვრების შემოქმედების ამსახველი კატალოგი, ა(ა)იპ „აჭარის თეატრალური საზოგადოების“ ჟურნალი „აფსაროსი“; მოეწყობა გამოფენები, პლენერები; განხორციელდება გასტროლები და სხვა ღონისძიებები. სულ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საშუალოდ 18 პროექტი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გატარებულია ღონისძიებები აჭარის ადმინისტრაციული ტერიტორიაზე მოქმედი სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების (როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები) პროფესიული დონის ამაღლებისა და კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიზნით; შენარჩუნებულია ქართული სამხატვრო და თეატრალური ხელოვნების მემკვიდრეობა და ტრადიციები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
გატარებულია ღონისძიებები აჭარის ადმინისტრაციული ტერიტორიაზე მოქმედი სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების (როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები) პროფესიული ღონისძიებებისა და კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიზნით; შენარჩუნებულია ქართული სამხატვრო და თეატრალური ხელოვნების მემკვიდრეობა და ტრადიციები.	პროგრამის ფარგლებში საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით დაფინანსებული სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების (ფიზიკური ან/და იურიდიული პირები) არანაკლები რაოდენობა	10	11	12	13	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ფიზიკური ან/და იურიდიული პირი	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული ანგარიში; განხორციელებული ღონისძიების ფოტო დოკუმენტაცია.
	პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სახელოვნებო განათლების ხელშეწყობი ღონისძიებები	4	6	6	7	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განმახორციელებელი იურიდიული პირი	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული ანგარიში; განხორციელებული პროფესიული განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების ფოტო დოკუმენტაცია.
	პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროფესიული განვითარების ღონისძიებების არანაკლები რაოდენობა	2	2	2	4	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განმახორციელებელი იურიდიული პირი	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული ანგარიში; განხორციელებული მასტერკლასების, ვორკშოპების და ტრენინგების ფოტო დოკუმენტაცია.
	პროგრამის ფარგლებში შემოქმედებითი კავშირების მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობა	2	2	2	2	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, მხატვართა ადგილობრივი შემოქმედებითი კავშირი, ა(ა)იპ "აჭარის თეატრალური საზოგადოება"	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი, პროგრამული ანგარიში, განხორციელებული პროექტების ფოტო დოკუმენტაცია.

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 09

პროგრამის დასახელება:

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,945,000	345,000	500,000	550,000	550,000
სულ ბიუჯეტი:	1,945,000	345,000	500,000	550,000	550,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარებას; რეგიონის ცნობადობის გაზრდას და მის პოპულარიზაციას.

პროგრამა აღნიშნული მიმართულებით მოიცავს შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

1. საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის, რეგიონის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით საზღვარგარეთ დაგეგმილი ოფიციალური ტურების ფარგლებში კულტურის ღონისძიებათა ორგანიზება - ითვალისწინებს წლის განმავლობაში აჭარის მთავრობის, სამინისტროების, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ საზღვარგარეთ დაგეგმილი სხვადასხვა ფორმატის ოფიციალური ვიზიტების ფარგლებში კულტურის ღონისძიებათა ორგანიზებას ადგილობრივი ხელოვანებისა და ფოლკლორის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. კონცერტები ტურისტულ სეზონზე - ვინაიდან კულტურული ტურიზმის როლი მეტად მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონის განვითარებისთვის, ტურისტულ სეზონზე მოეწყობა კონცერტები ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით, რაც ერთი მხრივ უფრო მიმზიდველს გახდის რეგიონს და ხელს შეუწყობს კულტურული ტურიზმის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ დაეხმარება ადგილობრივ არტ ბაზარს განვითარებაში.

3. პროგრამის განხორციელების მხარდაჭერა მოიცავს პროგრამის პოპულარიზაციისა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ (კონკურსები, პროექტები და სხვა) ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, როგორცაა მაგალითად: სააგენტოების საინფორმაციო მომსახურების შეძენა, ბრენდირებული სასაჩუქრე პაკეტის (კალენდარი, ჭიქა, გულსაბნევი და სხვა) მომზადება, საგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში საჭირო ბრენდირებული საკანცელარიო მასალის (ჩანთა, საქაღალდე, ბლოკნოტი, კალამი, ფანქარი, მეხსიერების დისკი, სანიშნე და სხვა) დამზადება და სხვა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის საშ. ფასი	სულ (ლარი)
საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის, რეგიონის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით საზღვარგარეთ დაგეგმილი ოფიციალური ტურების ფარგლებში კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზება	5	50,000	250,000
კონცერტები ტურისტულ სეზონზე	4	22,500	90,000
პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი			5,000
სულ			345,000

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის, რეგიონის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით საზღვარგარეთ დაგეგმილი ოფიციალური ტურების ფარგლებში კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზება	X	X	X	X
კონცერტები ტურისტულ სეზონზე		X	X	X
პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი	X	X	X	X

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში აჭარის რეგიონში იმართება ხელოვნებისა და კულტურის არაერთი ღონისძიება, მათ შორის ფესტივალები, კონცერტები და სხვა, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს რეგიონში კულტურის მიმართულებით პროცესების გააქტიურების, რაც თავისთავად ზრდის აჭარის ცნობადობას და მიმზიდველობას ტურისტული თვალსაზრისით. რეგიონის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიზნით ოფიციალური ტურების ფარგლებში იმართებოდა კულტურის ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის უკეთ წარმოჩენას.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2017 წლის განმავლობაში აჭარის რეგიონში გაიმართება უკვე ტრადიციად ქცეული „შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი“, რაც თავისი მასშტაბებითა და ცნობადობის ხარისხით დადებითად აისახება ბათუმის ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესებაზე. ტურისტულ სეზონზე ასევე გაიმართება კონცერტები ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით, რაც ერთი მხრივ უფრო მიმზიდველს გახდის რეგიონს და ხელს შეუწყობს კულტურის ტურიზმის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ დაეხმარება ადგილობრივ არტ ბაზარს განვითარებაში. წლის განმავლობაში აჭარის მთავრობის, სამინისტროების, ტურიზმისა და კურორტების დერპარტამენტის მიერ საზღვარგარეთ დაგეგმილ საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის, რეგიონის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით საზღვარგარეთ დაგეგმილი ოფიციალური ტურების ფარგლებში გაიმართება კულტურის ღონისძიებები ადგილობრივი ხელოვნებისა და ფოლკლორის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

განხორციელებულია ღონისძიებები კულტურული ტურიზმის განვითარების მიზნით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
განხორციელებულია ღონისძიებები კულტურული ტურიზმის განვითარების მიზნით.	პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად განხორციელებული კულტურის ღონისძიებების არანაკლებ რაოდენობა	9	12	13	13	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი; ღონისძიების განმახორციელებელი ფიზ/იურ. პირები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება- ჩაბარების აქტი; ღონისძიების ამსახველი ვიზუალური მასალა

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 10

პროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	10,989,050	3,062,750	2,642,100	2,642,100	2,642,100
სულ ბიუჯეტი:	10,989,050	3,062,750	2,642,100	2,642,100	2,642,100

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

პროგრამის აღწერა:

სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება, ასევე არსებული მუზეუმების რეაბილიტაცია, პოპულარიზაცია და სამუზეუმო ქსელის გაფართოება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
კულტურული მემკვიდრეობის მართვა	2,736,050	677,750	686,100	686,100	686,100
კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	8,253,000	2,385,000	1,956,000	1,956,000	1,956,000
სულ პროგრამა	10,989,050	3,062,750	2,642,100	2,642,100	2,642,100

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

რეაბილიტირებული პეტრას ციხე, ხიხანის ციხის მესამე კოშკი და სასახლე, ე.წ. "საბაევის" სახლი, მახინჯაურში ჯინჭარაძის ქუჩაზე მდებარე ძეგლი და მახოს ხიდი; ჩატარებულია აჭარაში (გარდა ბათუმისა) არსებული ძეგლების ინვენტარიზაცია.

დასრულდება გონიოს ციხის ინფრასტრუქტურული მოწყობა; შეძენილია პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული მოწყობის პროექტი; შესყიდულია ბათუმის ისტორიის მუზეუმის სარემონტო სამუშაოები.

მოწყობილია ოთხი არქეოლოგიური ექსპედიცია; გამოცემულია 1000 ცალი წიგნი 2014 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ და მომზადებული ფიჭვნარის არქეოლოგიური ველის ტოპოგრაფიული გეგმა.

მომზადებული და გამოცემულია რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გზამკვლევი; ორგანიზებულია 20 საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიება;

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ხიხანის ციხე და ხინოს ნაეკლესიარის რეაბილიტაცია; აჭარის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების საინფორმაციო ბანერების დამზადება; ბათუმისა და ქობულეთის ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შეძენა. ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების შეძენა.

გონიოს და პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული მოწყობის სამუშაოების დასრულება; ბათუმის ისტორიის მუზეუმის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა, ასევე ძმები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმში კაფისა და დამატებითი სამუზეუმო სივრცის მოწყობა, ასევე ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების დასრულება.

ოთხი არქეოლოგიური ექსპედიციის მოწყობა;

500 ცალი წიგნის გამოცემა 2015 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ; ასევე 1 არქეოლოგიური ველის ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თაობაზე სარეკლამო-საინფორმაციო მასალების ბეჭდვა და 20 საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიების ორგანიზება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარაში დასრულებულია ხიდების რეაბილიტაცია, რეაბილიტაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა აჭარაში არსებულ საინჟინრო, საკულტო და საფორტიფიკაციო ძეგლების 35 %; არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალები უაღრესად საინტერესო ინფორმაციას მოგვცემს ჩვენი მხარის ისტორიის და კულტურის შესასწავლად და ასევე გაამდიდრებს სამუზეუმო კოლექციებს და ფონდებს.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
რეაბილიტაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა აჭარაში არსებული საინჟინრო, საკულტო და საფორტიფიკაციო ძეგლების 35 %; ინფრასტრუქტურით მოწყობილი იქნება 2 ციხე ; არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალები უაღრესად საინტერესო ინფორმაციას მოგვცემს ჩვენი მხარის ისტორიის და კულტურის შესასწავლად და ასევე გაამდიდრებს სამუზეუმო კოლექციებს და ფონდებს. გაიზრდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცნობადობა და ამაღლება საზოგადოების ცნობიერება	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	2	2	2	2	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი; მუნიციპალიტეტები დან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	სსიპ - "აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო"	მიღება- ჩაბარების აქტი
	ინფრასტრუქტურით მოწყობილი ციხე	2	1	1	1	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი; მუნიციპალიტეტები დან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები		მიღება- ჩაბარების აქტი
	არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა	4	4	4	4	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი		მიღება- ჩაბარების აქტი
	არქეოლოგიური ველის ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა	1	1	0	0	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი		მიღება- ჩაბარების აქტი
	რეაბილიტირებულია ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების ფასადები	4	4	4	4	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი		მიღება- ჩაბარების აქტი
	კეთილმოწყობილია მუზეუმები	2				რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი		მიღება- ჩაბარების აქტი
	ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ წიგნის გამოცემა	500	500	500	500	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი		მიღება- ჩაბარების აქტი

	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თაობაზე სარეკლამო- საინფორმაციო მასალების ბეჭდვა	2000	2000	2000	2000	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი		მიღება- ჩაბარების აქტი
	საინფორმაციო- მარკეტინგული ღონისძიებები	20	20	20	20	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი		მიღება- ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 10 02

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2,385,000
სულ ბიუჯეტი:	2,385,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება;

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაცია და კონსერვაცია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საჭიროებს რეაბილიტაციას. სააგენტო ყოველწლიურად ახდენს პრიორიტეტების მიხედვით სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას. უკვე რეაბილიტირებულია რეგიონში არსებული თაღვანი ხიდები, კონსერვირებულია არქეოლოგიური უბნები, შეძენილია სხვადასხვა კატეგორიის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები. 2017 წლისათვის რეაბილიტაციის მიმართულებით პრიორიტეტებად განისაზღვრა ხიხანის ციხე, ხინოს ნაეკლესიარი და აჭარის ტერიტორიაზე არსებული ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლები. ზემოაღნიშნული უძრავი ძეგლების რეაბილიტაციის აუცილებლობა განპირობებულია ამ ობიექტების კულტურული ფასეულობებიდან გამომდინარე. ისინი ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს წარმოადგენს და მათი რეაბილიტაციის პროექტები უკვე შეძენილია.

მუზეუმების მშენებლობა-რეაბილიტაცია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ტურისტების რიცხვის ზრდა იწვევს აუცილებლობას რათა რეგიონში არსებული მუზეუმები შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს. ამ მიზნით უკვე რეაბილიტირებულია სხვადასხვა მუზეუმები, რომლებსაც შეუძლია მოიზიდოს სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორები. სააგენტოს მართვაში იმყოფება გონიოსა და პეტრას ციხე. აღნიშნულ ციხეებს სტუმრობს უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორები, თუმცა არსებული ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისი ტურისტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ამავდროულად შემოსავლების გასაზრდელად. 2017 წელს დაგეგმილია პეტრასა და გონიოს ციხეების ინფრასტრუქტურული მოწყობის სამუშაოები, „ბათუმის ისტორიის მუზეუმის“ მოწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვის სამუშაოები, ასევე ძეგლები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმში კაფისა და დამატებითი სამუზეუმო, სივრცის მოწყობა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება აჭარაში:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობს არქეოლოგიური სამუშაოები. 2012 წლიდან არქეოლოგიური გათხრების დაფინანსება და ორგანიზებას ახდენს სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო. გასულ წლებში არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა ბათუმის ციხეზე, ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამაროვანზე, გონიო-აფსაროსის ციხის შიდა ტერიტორიაზე, ჩაქვში ჩაისუბანის ტერიტორიაზე, შუახევის მუნიციპალიტეტში სოფ. ფურტიოში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში-მახოში, თხილნარსა და სიმონეთში. ხულოს მუნიციპალიტეტში-ხიხანის ციხეზე. მოპოვებულია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა. სამუზეუმო საგანძური გამდიდრდა უახლესი მონაპოვრებით. შეიქმნა ძვირფასი, მეტად საშური წყაროთ-მცოდ-ნეობითი ბაზა მხარის ძველი ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის. გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია თუ სხვა სახის ნაშრომი; ბევრი მათგანი უცხოურ ენებზეც. აღნიშნული გათხრების დაფინანსებას სააგენტო ახდენდა კულტურული მემკვიდრეობის მართვის ქვეპროგრამის ფარგლებში. 2017 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა არანაკლებ 4 ექსპედიცია, მათ შორის გაგრძელდება არქეოლოგიური გათხრები ხიხანის ციხეზე, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში და პეტრას ციხეზე.

ძეგლების პოპულარიზაცია და მარკეტინგული მხარდაჭერა:

2011 წლიდან აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო გონიოსა და ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმების ბაზაზე ახორციელებს საგანმანათლებლო-შემეცნებით გაკვეთილებს ბათუმის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის. საპილოტე ფორმატმა აჩვენა, რომ ინტერაქციული, საპრეზენტაციო მასალით მიწოდებული გაკვეთილის ფორმატში მნიშვნელოვნად იზრდება მოზარდის ინტერესი ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობის და სამუზეუმო სივრცის მიმართ. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით სააგენტო გეგმავს საგანმანათლებლო საქმიანობის გაფართოებას აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში. ამიტომ შემუშავებული იქნა ახალი ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს როგორც თეორიულ სწავლებას, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას კულტურული მემკვიდრეობის პრეზენტაციების მოწყობის კუთხით. საგანმანათლებლო ფორმატი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ინფორმირების ხარისხის გაზრდას კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში და ცნობიერების ამაღლებას.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაცია და კონსერვაცია	ხიხანის ციხის რეაბილიტაცია-კონსერვაცია	1	150,000	150,000
	ბათუმისა და ქობულეთის ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო პროექტების შესყიდვა	6	48,667	292,000
	ხინოს ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	1	240,000	240,000
	ე.წ. „საბავეის სახლის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი	1	150,000	150,000
	ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა	4	8,750	35,000
	აჭარაში არსებული ძეგლების ბანერების დამზადების მომსახურების შესყიდვა	1	60,000	60,000
მუზეუმების მშენებლობა-რეაბილიტაცია	პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული მოწყობა	1	420,000	420,000
	პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვა	1	80,000	80,000
	ძმები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმში კაფისა და დამატებითი სამუზეუმო, სივრცის მოწყობა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება	1	240,000	240,000
	გონიოს მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურული მოწყობა	1	444,000	444,000
	ბათუმის ისტორიის მუზეუმის მოწყობის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვის სამუშაოების შესყიდვა	1	100,000	100,000
	არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა	4	21,250	85,000
არქეოლოგიური კვლევა-ძიება აჭარაში	არქეოლოგიური ველის ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა	1	5,000	5,000
	2015 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ წიგნის გამოცემა (500 ცალი ტირაჟი)	500	28	14,000

ძეგლების პოპულარიზაცია და მარკეტინგული მხარდაჭერა	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თაობაზე სარეკლამო-საინფორმაციო მასალების ბეჭდვა	2000	5	10,000
	საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიებები	20	3,000	60,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				2,385,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ხიხანის ციხის რეაბილიტაცია-კონსერვაცია		X	X	
ე.წ. „საბაგვის სახლის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი		X	X	
ბათუმისა და ქობულეთის ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო პროექტების შესყიდვა		X	X	
ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა		X	X	X
ხინოს ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა		X	X	X
აჭარაში არსებული ძეგლების ბანერების დამზადების მომსახურების შესყიდვა		X	X	X
პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული მოწყობა		X	X	X
პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვა		X	X	
ძმები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმში კაფისა და დამატებითი სამუზეუმო, სივრცის მოწყობა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება		X	X	X
გონიოს მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურული მოწყობა		X	X	X

ბათუმის ისტორიის მუზეუმის მოწყობის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვის სამუშაოების შესყიდვა		X	X	X
არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა		X	X	X
არქეოლოგიური ველის ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა		X	X	X
2015 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ წიგნის გამოცემა (500 ცალი ტირაჟი)		X	X	
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თაობაზე სარეკლამო- საინფორმაციო მასალების ბეჭდვა		X	X	
საინფორმაციო- მარკეტინგული ღონისძიებები		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

რეაბილიტირებული ხიხანის ციხე და ხინოს ნაეკლესიარი; დამზადებულია აჭარის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების საინფორმაციო ბანერები; შეძენილია ბათუმისა და ქობულეთის ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები. რეაბილიტირებულია ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების ფასადები; დასრულებულია გონიოს და პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული მოწყობა; შესყიდულია ბათუმის ისტორიის მუზეუმის მოწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვის სამუშაოები, მძევი ნობელების ბათუმის ტექნოლოგიურ მეუზეუმში მოწყობილია კაფე, დამატებითი სამუზეუმო სივრცე და დასრულებულია ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები; მოწყობილია ოთხი არქეოლოგიური ექსპედიცია; გამოცემულია 500 ცალი წიგნი 2015 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ; შედგენილია 1 არქეოლოგიური ველის ტოპოგრაფიული გეგმა; დაბეჭდილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თაობაზე სარეკლამო-საინფორმაციო მასალები; ორგანიზებულია 20 საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიება;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაცია და კონსერვაცია	რეაბილიტირებული ა საფორტიფიკაციო ნაგებობა (ხიხანის ციხე)	1 ციხე-სიმაგრის (ხიხანის ციხე) 2/9 ნაწილი	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი
	ავარიულ მდგომარეობაში არსებული ძეგლების რეაბილიტაციის პროექტი	6 შენობა-ძეგლი	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი
	რეაბილიტირებული ფასადები ურბანული მემკვიდრეობის ძეგლების	4 შენობის ფასადი	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი
	რეაბილიტირებული საკულტო ნაგებობა (ხინოს ეკლესია)	1 ეკლესია	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი
მუზეუმების მშენებლობა- რეაბილიტაცია	მუზეუმის კეთილმოწყობა (ბათუმის ისტორიის მუზეუმი და ძმები ნობელელების ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი)	2 შენობა	სააგენტოს მონიტორინგი	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი
	საფორტიფიკაციო ნაგებობების ინფრასტრუქტურული მოწყობა (გონიოს და პეტრას ციხე)	2 ციხე	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი

არქეოლოგიური გათხრების გზით მუზეუმის ფონდების შეესება და ისტორიული მტკიცებულებების მოძიება	არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა	4 ექსპედიცია	სააგენტოს მონიტორინგი	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი
	ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა	1 არქეოლოგიური ველი	სააგენტოს მონიტორინგი	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი
	2015 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ წიგნის გამოცემა	500 ცალი ტირაჟი	სააგენტოს მონიტორინგი	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი
ძეგლების პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება	საინფორმაციო- მარკეტინგული ღონისძიებები	20 ღონისძიება	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი
	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თაობაზე სარეკლამო- საინფორმაციო მასალები	2000 ცალი (ტირაჟი)	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება- ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 11

პროგრამის დასახელება:

მუზეუმებისა და გალერეების განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ „აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი“;

სსიპ „ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი“;

სსიპ „აჭარის ხელოვნების მუზეუმი“

ა(ა)იპ „თანამედროვე ხელოვნების სივრცე“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	6,593,605	1,711,905	1,591,500	1,591,500	1,698,700
სულ ბიუჯეტი:	6,593,605	1,711,905	1,591,500	1,591,500	1,698,700

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად და მუზეუმებში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

სამუზეუმო ექსპონატების შეგროვება, მეცნიერული შესწავლა, დაცვა;

• სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების ჩატარება;

• გასვლითი გამოფენების მოწყობა;

• არქეოლოგიური ექსპედიციების წარმოება;

• ექსპოზიციების რეგულარული განახლება;

• მრავალფეროვანი სინთეზური პროექტების (გამოფენები, კამერული კონცერტები, თეატრალიზებული წარმოდგენები, დოკუმენტური ფილმების ჩვენება) განხორციელება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
სსიპ „აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი“;	2,709,700	680,800	676,300	676,300	676,300
სსიპ „ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი“;	2,457,840	675,740	558,300	558,300	665,500
სსიპ „აჭარის ხელოვნების მუზეუმი“	922,345	229,345	231,000	231,000	231,000
ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცე	503,720	126,020	125,900	125,900	125,900
სულ პროგრამა	6,593,605	1,711,905	1,591,500	1,591,500	1,698,700

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

მუზეუმებში მოწყობილი გამოფენებისა და ექსპოზიციების ვიზიტორთა 20%-ით ზრდა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

- . ჩატარდება არანაკლებ 1 კონფერენცია;
- . მოეწყობა არანაკლებ 40 გამოფენა;
- . მოეწყობა არანაკლებ ორი ექსპედიცია;
- . გამოიცემა არანაკლებ ორი ბუკლეტი;
- . მოეწყობა საერთაშორისო სიმპოზიუმი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

- გააქტიურებულია მუზეუმებისა და გალერეების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობა;
- განვითარებულია კულტურული ტურიზმი.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
მუზეუმებში გამოფენების, ექსპოზიციები და სხვა შესაბამისი ღონისძიებების მოწყობა.	ა(ა)იპ აჭარის ხარტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი	მოეწყობა 6 გამოფენა; 8 ღონისძიება და მუზეუმს ეყოლება არანაკლებ 25 000 დამთვალიერებელი	მოეწყობა 6 გამოფენა; 8 ღონისძიება და მუზეუმს ეყოლება არანაკლებ 25 000 დამთვალიერებელი	მოეწყობა 6 გამოფენა; 8 ღონისძიება და მუზეუმს ეყოლება არანაკლებ 25 000 დამთვალიერებელი	მოეწყობა 6 გამოფენა; 8 ღონისძიება და მუზეუმს ეყოლება არანაკლებ 25 000 დამთვალიერებელი	რაოდენობა	ტურისტული სააგენტოები; დამთვალიერე ბლუბი;	ა(ა)იპ აჭარის ხარტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი	ხელშეკრულებები
	სსიპ აჭარის ხელოვნების მუზეუმი	მოეწყობა არანაკლებ 12 გამოფენა, მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 5 000 დამთვალიერებელი.	მოეწყობა არანაკლებ 15 გამოფენა, მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 8 000 დამთვალიერებელი.	მოეწყობა არანაკლებ 15 გამოფენა, მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 8 000 დამთვალიერებელი.	მოეწყობა არანაკლებ 15 გამოფენა, მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 8 000 დამთვალიერებელი.	რაოდენობა	ტურისტული სააგენტოები; დამთვალიერე ბლუბი;	სსიპ აჭარის ხელოვნების მუზეუმი	ხელშეკრულებები
	ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცე	მოეწყობა არანაკლებ 20 გამოფენა/ღონისძიება	მოეწყობა არანაკლებ 20 გამოფენა/ღონისძიება	მოეწყობა არანაკლებ 20 გამოფენა/ღონისძიება	მოეწყობა არანაკლებ 20 გამოფენა/ღონისძიება	რაოდენობა	ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცე; დამთვალიერებელი; ტურისტული სააგენტო	ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცე	ხელშეკრულება; მიღება ჩაბარების აქტი
	სსიპ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი	მოეწყობა არანაკლებ 2 საერთო გამოფენა; მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 7 000 დამთვალიერებელი.	მოეწყობა არანაკლებ 2 საერთო გამოფენა; მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 7 000 დამთვალიერებელი.	მოეწყობა არანაკლებ 2 საერთო გამოფენა; მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 7 000 დამთვალიერებელი.	მოეწყობა არანაკლებ 2 საერთო გამოფენა; მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 7 000 დამთვალიერებელი.	რაოდენობა	ტურისტული სააგენტოები; დამთვალიერე ბლუბი;	სსიპ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი	ხელშეკრულებები

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 12

პროგრამის დასახელება:

სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“;
 სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი“;
 სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი“;
 სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი“;
 სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი ბათუმი“;
 სსიპ „აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხორუმი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	37,210,940	9,505,040	9,235,300	9,235,300	9,235,300
სულ ბიუჯეტი:	37,210,940	9,505,040	9,235,300	9,235,300	9,235,300

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017 - 2020 წლები

პროგრამის მიზანი:

სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უზრუნველყოფს სასცენო, სამუსიკო და თეატრალური ხელოვნების სფეროში პოლიტიკის განხორციელებას, განვითარების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას. ასევე სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარებას; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების გასტროლებს, უცხოური დასების აჭარაში მიღებას და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

პროგრამის აღწერა:

- ახალი და მაღალმხატვრული ღირებულების თეატრალური და საოპერო სპექტაკლების დადგმა;
- თეატრის რეპერტუარის განახლება;
- კლასიკური მუსიკის, საგუნდო და საოპერო კონცერტების გამართვა;
- ქართული ხალხური ცეკვებისა და სიმღერების საუკეთესო ნიმუშების დადგმა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“	2,582,010	705,510	625,500	625,500	625,500
სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი“	5,758,300	1,520,800	1,412,500	1,412,500	1,412,500
სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი“	15,642,370	3,910,570	3,910,600	3,910,600	3,910,600
სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი“	8,068,080	2,017,080	2,017,000	2,017,000	2,017,000

სსიპ „აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი ბათუმი“	2,526,940	654,940	624,000	624,000	624,000
სსიპ „აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხორუმი“	2,633,240	696,140	645,700	645,700	645,700
სულ პროგრამა	37,210,940	9,505,040	9,235,300	9,235,300	9,235,300

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაიდგა 14 ახალი სპექტაკლი; განხორციელდა გასტროლები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ; შეიქმნა 3 ახალი სიმღერა; ჩატარდა 5 ფესტივალი; გაზრდილია მაყურებელთა რაოდენობა.
--

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაიდგა 14 ახალი სპექტაკლი, მათ შორის 2 ოპერა; ჩატარდა 5 ფესტივალი; გაზრდილია მაყურებელთა რაოდენობა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

<ul style="list-style-type: none"> • შენარჩუნებულია ქართული ხალხური ფოლკლორი; • შენარჩუნებულია ქორეოგრაფიული ხელოვნება, მუსიკალური კულტურა, თეატრალური ხელოვნება, ეროვნული ტრადიციები.
--

248

სსიპ „აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხორუმი“	ჩატარდება არანაკლებ ორი კონცერტის; დაესწრება არანაკლებ 60000 მაყურებელი; საქართველოში მოეწყობა არანაკლებ 2 გასტროლი; საზღვარგარეთ მოეწყობა არანაკლებ 2 გასტროლი. არანაკლებ 4 ცეკვის განახლება	დაესწრება არანაკლებ 60000 მაყურებელი; საქართველოში მოეწყობა არანაკლებ 4 გასტროლი; საზღვარგარეთ მოეწყობა არანაკლებ 2 გასტროლი. არანაკლებ 4 ცეკვის განახლება	დაესწრება არანაკლებ 60000 მაყურებელი; საქართველოში მოეწყობა არანაკლებ 4 გასტროლი; საზღვარგარეთ მოეწყობა არანაკლებ 2 გასტროლი. არანაკლებ 4 ცეკვის განახლება	დაესწრება არანაკლებ 60000 მაყურებელი; საქართველოში მოეწყობა არანაკლებ 4 გასტროლი; საზღვარგარეთ მოეწყობა არანაკლებ 2 გასტროლი. არანაკლებ 4 ცეკვის განახლება	რაოდენობა	სსიპ „აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხორუმი“; გასტოლზე მომწვევი მხარე; მაყურებელი	სსიპ „აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხორუმი“	ხელშეკრულები
--	---	--	--	--	-----------	--	---	--------------

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 12 14

პროგრამის დასახელება:

ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ მწერალთა სახლი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	521,340	130,335	130,335	130,335	130,335
სულ ბიუჯეტი:	521,340	130,335	130,335	130,335	130,335

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017 - 2020 წლები

პროგრამის მიზანი:

ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ცხოვრების განვითარებისათვის ხელშეწყობი პირობების შექმნა

პროგრამის აღწერა:

ჟურნალ „ჭოროხისა“ და აჭარაში მოღვაწე მწერლების წიგნების გამოცემა, სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა; ლიტერატურული სადამოებლის მოწყობა, ახლად გამოცემული წიგნების პრეზენტაციები, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების პროფესიონალურ დაოსტატებაში ხელის შეწყობა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
შრომის ანაზღაურება	348,940	87,235	87,235	87,235	87,235
საქონელი და მომსახურება	124,000	31,000	31,000	31,000	31,000
არაფინანსური აქტივები	48,400	12,100	12,100	12,100	12,100
სულ პროგრამა	521,340	130,335	130,335	130,335	130,335

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ქართული სამწერლო მემკვიდრეობისა და ტრადიციების შენარჩუნება;
ქართული მხატვრული სიტყვის განვითარებისათვის ზრუნვა

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
ქართული სამწერლო მემკვიდრეობისა და ტრადიციების შენარჩუნება;	ჟურნალ „ჭოროხის“ დაბეჭდვა, მხატვრული ლიტერატურის გამოცემა და ღონისძიებების ჩატარება	ჟურნალ „ჭოროხის“ გამოცემა	ჟურნალ „ჭოროხის“ გამოცემა	ჟურნალ „ჭოროხის“ გამოცემა	ჟურნალ „ჭოროხის“ გამოცემა	რაოდენობა	ა(ა)იპ „მწერალთა სახლი“	ა(ა)იპ „მწერალთა სახლი“	ხელშეკრულებები
		მხატვრული ლიტერატურის გამოცემა	მხატვრული ლიტერატურის გამოცემა	მხატვრული ლიტერატურის გამოცემა	მხატვრული ლიტერატურის გამოცემა	რაოდენობა			ხელშეკრულებები
		ღონისძიებების გამართვა	ღონისძიებების გამართვა	ღონისძიებების გამართვა	ღონისძიებების გამართვა	რაოდენობა			ხელშეკრულებები

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

04 04

პროგრამის დასახელება:

საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

შპს " გაზეთი აჭარა და ადჟარია "

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	895,040	223,760	223,760	223,760	223,760
სულ ბიუჯეტი:	895,040	223,760	223,760	223,760	223,760

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება – მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის საჭიროება დაუდგა. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება სოციალურად დაუცველ და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობას.

გულის ქირურგია – გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით, გულის იშემიური დაავადებით, გულის სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დროულად მიწოდებული კარდიოქირურგიული დახმარება მნიშვნელოვნად ამცირებს სიკვდილობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის რისკს, ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მოზრდილი მოსახლეობისათვის კარდიოქირურგიული დახმარების ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სახსრების ენდოპროთეზირება – უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მოიმატა სახსრების ართროზით დაავადებულ მოქალაქეთა მომართვიანობამ. პაციენტები საჭიროებენ რესურსტევად ოპერაციულ ჩარევას ენდოპროთეზირების სახით. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ უზრუნველყოს აღნიშნული პათოლოგიის ქირურგიული სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება სოციალურად დაუცველ და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობას.

ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკური კვლევა – მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელი რჩება, მაშინ როდესაც მთელი რიგი დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება – ონკოლოგიურ პაციენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით, მაგრამ ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება, რაც ონკოლოგიური პაციენტთა დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელი რჩება.

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება – მოსახლეობის ნაწილს, მცირე შემოსავლების გამო არა აქვს საშუალება დაფაროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით. განსაკუთრებით დახმარებას საჭიროებენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული შემდეგი სოციალური კატეგორიის მოსახლეობა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (მათ შორის შშმ ბავშვები), ასაკით პენსიონერები, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია – განხორციელდება პაციენტის ნებისმიერი ორგანოს სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული უუნარობის ფუნქციის აღდგენა და შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლება. პაციენტისათვის ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მოპოვება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	6,830,000	1,600,000	1,600,000	1,700,000	1,930,000
გულის ქირურგია	6,700,000	1,600,000	1,600,000	1,700,000	1,800,000
სახსრების ენდოპროთეზირება	1,360,000	300,000	300,000	360,000	400,000
ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა	2,550,000	600,000	600,000	650,000	700,000
ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება	3,350,000	800,000	800,000	850,000	900,000
ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	1,200,000	250,000	250,000	350,000	350,000
მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია	1,505,000	350,000	350,000	385,000	420,000
სულ პროგრამა	23,495,000	5,500,000	5,500,000	5,995,000	6,500,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაცული იქნა ბენეფიციარები მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან. შეუნარჩუნდათ ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით 2016 წელს დაფინანსდა 4200-ზე მეტი ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და სიცოცხლის შენარჩუნება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	4,839	4904	5700	6200	ბენეფიციართა რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060201

ქვეპროგრამის დასახელება:

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,600,000
სულ ბიუჯეტი:	1,600,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო, არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის საჭიროება დაუდგა. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების მიღება მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი რჩება, რის შედეგად იზრდება გართულებულ შემთხვევათა რაოდენობა, შრომისუუნარობისა და სიკვდილიანობის რისკი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშგაქტურის საფუძველზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

პაციენტები სტიქიური მოვლენების და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; მარტოხელა მშობელი და მისი არასრულწლოვანი შვილები, ტრეპინგისა და ძალადობის მსხვერპლი ქალები და პაციენტები, რომლებსაც ამ დროისთვის არა აქვთ მინიჭებული 200 000-მდე სარეიტინგო ქულა, მაგრამ მათი მატერიალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას დააფინანსოს აუცილებელი სამედიცინო მომსახურება, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან წარმოდგენილი შუამდგომლობით.

გადაწყვეტილებას ბენეფიციართა მკურნალობის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, (შემდეგ- კომისია) რომლის შემადგენლობა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

<p>ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:</p> <ul style="list-style-type: none"> - განცხადება; - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; - ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი; - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად); - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა. 	
<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მკურნალობა დაფინანსდება ფაქტური ხარჯით შემდეგი პროპორციებით:</p> <p>მკურნალობის ღირებულება _ 1000 ლარის ჩათვლით _ 100%-ით;</p> <p>მკურნალობის ღირებულება _ 1000 ლარზე მეტი _ 2000 ლარის ჩათვლით _ 90%-ით;</p> <p>მკურნალობის ღირებულება _ 2000 ლარზე მეტი _ 3000 ლარის ჩათვლით _ 80%-ით;</p> <p>მკურნალობის ღირებულება _ 3000 ლარზე მეტი _ 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 7000 ლარისა.</p> <p>პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დაფინანსდება სრულად არაუმეტეს 10 000 ლარისა;</p> <p>აჭარის რეგიონში არსებული უმწეოთა თავშესაფარის კონტიგენტის და უსახლკაროების მკურნალობა დაფინანსდება სრული მოცულობით თანაგადახდის გარეშე ზღვრული ტარიფით არაუმეტეს 3000 ლარისა.</p> <p>ქვეპროგრამით პირველი რიგის პრიორიტეტი ენიჭებათ სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების დროს დაზიანებულებს, 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, მოქალაქეებს, რომელთა ოჯახებს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.</p> <p>ქვეპროგრამის მაღალი რესურსტევადობის გამო გეგმიური სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისას გამოყენებული იქნება რიგითობისა და მოცდის პრინციპი.</p> <p>სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ პაციენტმა ან მისმა წარმომადგენელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მიმართოს პაციენტის სამედიცინო მომსახურების დაწყებამდე ან სამედიცინო მომსახურების პროცესში (სტაციონარიდან გაწერამდე).</p> <p>იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი, მისი ან მისი წარმომადგენლის მოთხოვნით გადაჰყავთ ქვეპროგრამაში მონაწილე სხვა სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ სამედიცინო ვაუჩერით დაიფარება მკურნალობის ხარჯები მათ მიერ არჩეულ ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში, მეორე სტაციონარში მკურნალობის ხარჯებს სრული მოცულობით ფარავს პაციენტი.</p> <p>დაუშვებელია ქვეპროგრამის მოსარგებლის მკურნალობის ერთსა და იმავე ეპიზოდზე ერთი და იგივე ნოზოლოგიური კოდის სხვადასხვა კლინიკაში დაფინანსება ან მკურნალობის გახანგრძლივების შემთხვევაში განმეორებით დაფინანსება.</p> <p>სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე მყოფი (სამედიცინო მომსახურება, რომელიც საჭიროებს პაციენტის სტაციონარში 24 (ოცდაოთხი) საათზე მეტი დროით მოთავსებას და რომელიც არ წარმოადგენს დღის სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას) პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში დაფინანსების საკითხის განხილვის მიზნით პაციენტის წარმომადგენლებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მომართონ გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.</p> <p>საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლები ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით (არსებული პროპორციების დაცვით) ისარგებლებენ შესაბამისი ლიმიტის ამოწურვის შემდეგ. ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურების წლიური ლიმიტი შეადგენს 5 000 ლარს. ანალოგიურ შემთხვევაში სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით პაციენტები წლის განმავლობაში დაფინანსდება არაუმეტეს 10 000 ლარით სრულად (თანაგადახდის გარეშე);</p> <p>საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 01 იანვრის მდგომარეობით უწყვეტად არიან რეგისტრირებულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და საჭიროებენ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ჩატარებას (საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში) დაფინანსდებიან ერთჯერადად 50 000 ლარის ფარგლებში. წლის განმავლობაში ღვიძლის ტრანსპლანტაციის ხარჯები დაუფინანსდება 5 პაციენტს რიგითობისა და მოცდის პრინციპის გათვალისწინებით.</p> <p>ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება</p> <ol style="list-style-type: none"> სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა; ამბულატორიული მკურნალობისათვის მედიკამენტების ხარჯები; საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; სანატორიულ-კურორტული მკურნალობა; ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა; ე. გენეტიკური გამოკვლევები და ამბულატორიულად ჩატარებული სისხლის, შარდის, განავლის ნებისმიერი სახის კლინიკო-დიაგნოსტიკური და ბაქტერიოლოგიური კვლევები; სექსუალური დარღვევების, უმელობის მკურნალობის (მათ შორის ხელოვნური განაყოფიერების) ხარჯები; აივ-ინფექციის/შიდსის, ქრონიკული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები; თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაზავების, კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის ან ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებული ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, ასევე ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქვევითი აშლილობების მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები. ორგანოთა ტრანსპლანტაციის ხარჯები; (გარდა საქართველოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ჩატარებული ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსებისა); უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება(პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ); <p>მოქმედი ადგილობრივი პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება გარდა ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურებისა;</p> <p>მ) სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.</p>	

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	1000	1600	1,600,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,600,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციარების სიცოცხლისა შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1,600	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	1,000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060202

ქვეპროგრამის დასახელება:

გულის ქირურგია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება

2017 წელი

ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები

1,600,000

სულ ბიუჯეტი:

1,600,000

ქვეპროგრამის მიზანი:

18-წლის ასაკიდან მოსახლეობის (რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით) კარდიოქირურგიული მკურნალობა, გულის დაავადებების მძიმე ფორმებით გამოწვეული ლეტალობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება

ქვეპროგრამის აღწერა:

გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით, გულის იშემიური დაავადებით, გულის სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დროულად მიწოდებული კარდიოქირურგიული დახმარება მნიშვნელოვნად ამცირებს სიკვდილობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის რისკს, რაც დღის წესრიგში აყენებს მოზრდილი მოსახლეობისათვის კარდიოქირურგიული დახმარების ფინანსურ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- _ მოქალაქის განცხადება;
- _ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ _ ფორმა NIV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- _ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა;
- _ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- _ ამონაწერი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზიდან“- სარეიტინგო ქულის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამის მოსარგებლედ განსაზღვრება საქართველოს მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე და არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული გულის ქირურგიის სამედიცინო მომსახურებით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაფინანსდება მიმწოდებლის მიერ გაცემული ანგარიშფაქტურის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფისა, შემდეგი პროპორციებით:

- 1) 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს დაუფინანსდებათ ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფის - 90 %;
 - 2) ყველა სხვა კატეგორიის პაციენტს, დაუფინანსდებათ ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფის - 80 %.
- გარდა ვეტერანებისა, რომელთაც ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, როცა სამედიცინო მომსახურების ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ტარიფზე ზემოაღნიშნული პროპორციებით განსაზღვრული მაჩვენებლები გაითვლება წარმოდგენილი ღირებულებიდან.

პაციენტისთვის ორი კოდის მინიჭების შემთხვევაში ძვირადღირებული კოდი დაფინანსდება ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციების მიხედვით, ხოლო მეორე კოდი დაფინანსდება ქვეპროგრამით აღებული ვალდებულების 50%-ით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება არ ვრცელდება:

სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებულ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მოსარგებლეებზე.

ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლეების მკურნალობა პირველ რიგში დაფინანსდება სადაზღვევო ლიმიტის ზღვრული ტარიფით, დარჩენილი თანხის დაფარვაზე გავრცელდება ქვეპროგრამა შესაბამისი პროპორციების დაცვით. ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება საზღვარგარეთ მკურნალობა, ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ) და მოქმედი სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დანართი 1			1,600,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,600,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	7,079	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	226	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

N	საქმიანობის აღწერა	ერთეულის დასახელება	სულ პაციენტთა რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)	თანაგადახდა 1) 100 000 - ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები - 10 % 2) ყველა სხვა კატეგორიის პაციენტისათვის - 20 %		ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი
2017 წელი								
						1	2	
1	გულის თანდაყოლილი მანკები		25					301,714
ა)	ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევით	პაციენტი	10	17,155	171,550	8,578	17,155	145,818
ბ)	ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გარეშე	პაციენტი	15	11,992	179,880	11,992	11,992	155,896
2	ენდოვასკულური ოპერაციები		27					128,138
ა)	ამპლაცერი/პეისმეიკერი	პაციენტი	12	8,551	102,612	6,841	6,841	88,930
ბ)	ვალვულოპლასტიკა/რაშკინდი	პაციენტი	15	3,016	45,240	3,016	3,016	39,208
3	გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიები:		40					322,000
ა)	იშემიური დაავადებების, გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა	პაციენტი	40	9,200	368,000	27,600	18,400	322,000
ბ)	შეძენილი მანკები		27					340,853
ბ.ა)	ერთი სარქელის / აღმავალი აორტის / აორტის რკალის პროთეზირება / პლასტიკა	პაციენტი	10	12,000	120,000	7,200	9,600	103,200
ბ.ბ)	ბიოლოგიური სარქველი	პაციენტი	10	17,185	171,850	8,593	17,185	146,073
ბ.გ)	ბენტალი / მწვავე მანკი / ინფარქტის შემდგომი გართულებები: სარქელოვანი პათოლოგია, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, მარცხენა პარკუჭის ანევრიზმა	პაციენტი	4	16,000	64,000	3,200	6,400	54,400
ბ.დ)	ორი სარქელის / სარქელის და აღმავალი აორტის პროთეზირება	პაციენტი	3	14,300	42,900	2,860	2,860	37,180
4	კორონარული ანგიოპლასტიკა		81					131,666
ა)	კორონარული ანგიოპლასტიკა ერთი სტენტით	პაციენტი	53	1,800	95,400	5,580	7,920	81,900
ბ)	კორონარული ანგიოპლასტიკა ორი ან მეტი სტენტით	პაციენტი	28	2,100	58,800	2,730	6,300	49,766
5	მუდმივი კარდიოვერტერდეფიბრილატორი		26					375,630
ა)	ერთკამერიანი	პაციენტი	8	14,600	116,800	7,300	8,760	100,740
ბ)	ორკამერიანი	პაციენტი	9	16,500	148,500	8,250	13,200	127,050
ბ)	სამკამერიანი (რესინქრონიზატორი)	პაციენტი	9	19,200	172,800	9,600	15,360	147,840
სულ ჯამი			226					1,600,000

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060203

ქვეპროგრამის დასახელება:

სახსრების ენდოპროთეზირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	300,000
სულ ბიუჯეტი:	300,000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მოიმატა სახსრების ართროზით დაავადებულ მოქალაქეთა მომართვიანობამ. პაციენტები საჭიროებენ რესურსტევად ოპერაციულ ჩარევას ენდოპროთეზირების სახით. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ უზრუნველყოს აღნიშნული პათოლოგიის ქირურგიული სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რის გამოც იზრდება დაავადებათა გართულებების რაოდენობა, დროებითი და მყარი შრომისუუნარობის შემთხვევები. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით.

ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშგაქტურის საფუძველზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით. ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქვეპროგრამის მოსარგებლის მკურნალობის დაფინანსების ზღვრული თანხა ერთ შემთხვევაზე შეადგენს 4000 ლარს.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება: 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებისათვის ფაქტიური ხარჯის 90 %-ით, სხვა ბენეფიციარებისათვის (რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილეები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები) ფაქტიური ხარჯის 80%-ით, სხვა დანარჩენი მოქალაქეებისათვის 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 4000 ლარისა. სამედიცინო მომსახურების ღირებულების დარჩენილი ნაწილი დაიფარება პაციენტის მიერ.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის მოსარგებლები, ასევე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ქირურგიულ მკურნალობას.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება უკვე ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ), საზღვარგარეთ მკურნალობა და ასევე არ დაფინანსდება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან. ბენეფიციარების დასაფინანსებლად გამოყენებული იქნება რიგითობისა და მოცდის პრინციპი.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-გაქტურა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	80	3750	300,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			300,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება სახსრების ენდოპროთეზირებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	80	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	3750	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060204

ქვეპროგრამის დასახელება:

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	600,000
სულ ბიუჯეტი:	600,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელი რჩება, მაშინ როდესაც მთელი რიგი დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ქვეპროგრამით განხორციელებული მომსახურება დაფინანსდება მიმწოდებლის მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამაში გათვალისწინებული ღირებულებისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულების (პროპორციების) მოცულობით:

1) 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები, ასევე 200 000 - ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები - 100 %-ით.

2) 70 001-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები - 90 %-ით..

3) 100 001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები - 80%-ით.

იმ შემთხვევაში, როცა გამოკვლევების ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხაზე, ზემოაღნიშნული პროპორციებით განსაზღვრული მაჩვენებლები გაითვლება წარმოდგენილი ღირებულებიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მიმწოდებლის ტარიფი აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღირებულებას, მაგრამ პაციენტი მოითხოვს გამოკვლევების ჩატარებას ამ მიმწოდებელთან, გამოკვლევები დაფინანსდება ქვეპროგრამის ტარიფით დადგენილი დაფინანსების პროპორციებით. განსხვავებას ღირებულებასა და სამინისტროს მიერ დასაფინანსებელ თანხას შორის ფარავს პაციენტი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია საჭიროებისას (ექიმის დანიშნულებით) პაციენტისათვის ორი ან მეტი გამოკვლევების დაფინანსება.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ:

- საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

- ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“

რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები.

- ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ სადიაგნოსტიკო კვლევას.

ბენეფიციარების პროგრამაში ჩასართველად გამოყენებული იქნება რიგითობისა და მოცდის პრინციპი.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ა (პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);

- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია.

- ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი - ამონაწერი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზიდან“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის შესახებ.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება საზღვარგარეთ ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევა და ასევე, უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურეობა. ასევე არ დაფინანსდება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

№	დასახელება	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
1	კომპიუტერული ტომოგრაფია	541		101,100
1.1	გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია	26	150	3,900
1.2	გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	35	220	7,700
1.3	მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია	30	150	4,500
1.4	მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	50	220	11,000
1.5	თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია	60	150	9,000
1.6	თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	36	220	7,920
1.7	სინუსების-პარანაზალური წიაღების, ყურისა და დრვილისებრი მორჩების კომპიუტერული ტომოგრაფია	55	100	5,500
1.8	კიდურების ძვლოვანი კომპიუტერული ტომოგრაფია რბილქსოვილოვანი წარმონაქმნების დროს.	34	150	5,100
1.9	ხერხემლის 1 სეგმენტის კომპიუტერული ტომოგრაფია	30	150	4,500
1.10	მცირე მენჯის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია	40	150	6,000
1.11	მცირე მენჯის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	29	220	6,380
1.12	სხვა ორგანოების კომპიუტერული ტომოგრაფია	36	200	7,200
1.13	სხვა ორგანოების კომპიუტერული ტომოგრაფია (კონტრასტირებით)	39	280	10,920
1.14	საშარდე გზების კტ	41	280	11,480
2	ანგიოგრაფიები:	287		104,450
2.1	თავის ტვინის ანგიოგრაფია კონტრასტით	42	350	14,700
2.2	კისრის სისხლძარღვების ანგიოგრაფია	36	350	12,600
2.3	გულმკერდის ანგიოგრაფია	31	350	10,850
2.4	მუცლის ღრუს ანგიოგრაფია	35	400	14,000
2.5	ქვემო კიდურების ანგიოგრაფია	45	400	18,000
2.7	ლვიძლის ანგიოგრაფია	48	350	16,800
2.8	სხვა სისხლძარღვების ანგიოგრაფია	50	350	17,500
3	მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	923		280,150
3.1	თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	61	250	15,250
3.2	თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	50	397	19,850
3.3	თავის ტვინის სისხლძარღვების უკონტრასტო ანგიოგრაფია	42	280	11,760
3.4	ექსტრაკრანიალური სისხლძარღვების კისრის უკონტრასტო ანგიოგრაფია	45	150	6,750
3.5	გულმკერდის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	50	250	12,500

3.6	გულმკერდის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	55	400	22,000
3.7	მუცლის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	40	250	10,000
3.8	მუცლის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	60	400	24,000
3.9	ცხვირის დანამატების ღრუების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	51	150	7,650
3.10	კისრის მალეზის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	50	250	12,500
3.11	მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	45	250	11,250
3.12	მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	40	400	16,000
3.13	ხერხემლის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	40	450	18,000
3.14	წელის მალეზის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	44	250	11,000
3.15	წელის მალეზის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	42	377	15,834
3.16	კიდურების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	55	225	12,375
3.17	კიდურების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	65	375	24,375
3.18	სხვა ორგანოების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	40	250	10,000
3.19	სხვა ორგანოების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია (კონტრასტირებით)	48	397	19,056
4	ანესთეზია	65	80	5200
5	კორონაროგრაფია/ვენტრიკულოგრაფია	70	850	59,500
6	სისხლძარღვების ინვაზიურ რენტგენო-კონტრასტული ანგიოგრაფია	62	800	49,600
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				600,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდში დაავადებათა დაგვიანებული დიაგნოსტიკით გამოწვეული გართულების პრევენცია მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსახლეობის ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდში დაავადებათა დაგვიანებული დიაგნოსტიკით გამოწვეული გართულების პრევენცია მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	1,883	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	308	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060208

ქვეპროგრამის დასახელება:

ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	800,000
სულ ბიუჯეტი:	800,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ონკოლოგიურ პაციენტთათვის (დადასტურებული დიაგნოზით) დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ონკოლოგიურ პაციენტთა სამედიცინო მომსახურება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით, მაგრამ მიუხედავად ამისა ონკოლოგიურ პაციენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (არის მინიმალური პაკეტის მფლობელი, სარგებლობს ინდივიდუალური ან კორპორაციული დაზღვევით, მაგრამ ამოწურული აქვს ლიმიტი), ან ესაჭიროებათ ისეთი სამედიცინო მომსახურება, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული არ არის, ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და ონკოლოგიური პაციენტთა დიდი ნაწილისათვის ხილმი-უწყდომილი რჩება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენს ონკოლოგიური პაციენტები დადასტურებული დიაგნოზით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველია:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მკურნალობა დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით შემდეგი პროპორციებით:

მკურნალობის ღირებულება _ 1000 ლარის ჩათვლით _ 100%-ით;

მკურნალობის ღირებულება _ 1000 ლარზე მეტი _ 2000 ლარის ჩათვლით _ 90%-ით;

მკურნალობის ღირებულება _ 2000 ლარზე მეტი _ 3000 ლარის ჩათვლით _ 80%-ით;

მკურნალობის ღირებულება _ 3000 ლარზე მეტი _ 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა.

ონკოლოგიურ პაციენტთა სამედიცინო მომსახურება ტარგენტული (გარდა მედიკამენტ ტრასტუზუმაბისა (ჰერცეპტინი), იმუნოთერაპიული და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტებით დაფინანსდება სამკურნალო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით თითოეულ მომართვაზე არაუმეტეს 5000 ლარისა, წლიური ლიმიტი შეადგენს 10 000 ლარს.

- ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლეები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ სამედიცინო მომსახურებას. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლეები ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით (არსებული პროპორციების დაცვით) ისარგებლებენ შესაბამისი ლიმიტის ამოწურვის შემდეგ. ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობის წლიური ლიმიტი შეადგენს 5 000 ლარს.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება, უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება. ასევე არ დაფინანსდება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	800	1,000	800,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			800,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ონკოლოგიური პაციენტების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ონკოლოგიური პაციენტების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	800	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1,000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060209

ქვეპროგრამის დასახელება:

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	250,000
სულ ბიუჯეტი:	250,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, ქიმიოთერაპიული, ჰორმონოთერაპიული და სხივური თერაპიული სამედიცინო მომსახურების თანაგადახდის სრულად დაფინანსება სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში. და ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტ ტრასტუზუმაბით (პერცეპტინით) თანაგადახდის სრულად დაფარვა „რეფერალური მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში.

ქვეპროგრამის აღწერა:

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მთელი რიგი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით, მაინც მოსახლეობის ნაწილს, მცირე შემოსავლების გამო, არა აქვთ საშუალება დაფაროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც სრულად არ იფარება მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით. განსაკუთრებით დახმარებას საჭიროებენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული შემდეგი სოციალური კატეგორიის მოსახლეობა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ასაკით პენსიონერები, 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირები;

ასაკით პენსიონერები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;

0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;

შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვები 18 წლამდე;

ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირები;

ონკოლოგიური პაციენტები დადასტურებული დიაგნოზით (დაუფინანსდებამთ გეგმიური ქირურგიული ოპერაციები);

ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, ქიმიოთერაპიული, ჰორმონოთერაპიული და სხივური თერაპიული სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა სრულად სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში და ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტ ტრასტუზუმაბით (ჰერცეპტინით) თანაგადახდა სრულად, „რეფერალური მომსახურების“ პროგრამის ფარგლებში. (ასაკით პენსიონერებს- 10%-ით; 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვები 18 წლამდე და მკვეთრად შეზღუდულ შშმ პირებს 20% -ით; სხვა დანარჩენ ბენეფიციარს: 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდულ შშმ პირებს, ონკოლოგიურ პაციენტებს დადასტურებული დიაგნოზით დაუფინანსდება 30% იანი თანაგადახდა სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში (გარდა ქიმიოთერაპიული, სხივური თერაპიული და ჰორმონო თერაპიული მკურნალობისა).

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ა (პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა;
- საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაცემული მიმართვა (ვაუჩერი) ასანაზღაურებელი თანხის მითითებით; (ქიმიოთერაპიისა და ჰორმონოთერაპიის შემთხვევაში ელექტრონული რეცეპტი)
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ტარიფის ლიმიტის თანაგადახდის ღირებულებაზე მეტად მოთხოვნილი თანხა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	500	500	250,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			250,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	500	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ს ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	500	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060210

ქვეპროგრამის დასახელება:

მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	350,000
სულ ბიუჯეტი:	350,000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოზრდილი მოსახლეობის (18 წლის ზემოთ) ნებისმიერი ორგანული სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული უუნარობის ფუნქციის აღდგენა და შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

მოზრდილი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენა/რეაბილიტაცია, რომელთაც გადატანილი დაავადებით ან ტრავმით შეზღუდული აქვთ ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებული არ არის და მვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება. მოსახლეობის ნაწილს, მცირე შემოსავლების გამო, არა აქვთ საშუალება დაფაროს აღნიშნული სამედიცინო მომსახურების ხარჯები. რეაბილიტაციისა და ფიზიკური მედიცინის სამიზნე პათოლოგიებს განეკუთვნება ნევროლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ძვალ-კუნთოვანი და ონკოლოგიური პათოლოგიები, ტრავმები, მწვავე და ქრონიკული ტკივილის სინდრომი და სხვა. ქვეპროგრამის ფარგლებში თითოეულ პაციენტს მკურნალობისათვის ინდივიდუალურად შემუშავებული გეგმის მიხედვით მიეწოდება კომპლექსური სერვისი - ფიზიკური თერაპიის, რეაბილიტოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიის, ლოგოპედიის, შრომითი თერაპიის, ოკუპაციური თერაპიის და სხვა საჭირო სპეციალისტების მომსახურება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ:

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა;

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები;

ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები;

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- მოქალაქის განცხადება;

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ა (პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);

- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;

- ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მკურნალობა დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით შემდეგი პროპორციებით:

მკურნალობის ღირებულება _ 1000 ლარის ჩათვლით _ 100%-ით;

მკურნალობის ღირებულება _ 1000 ლარზე მეტი _ 90%-ით; მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარისა;

წლის განმავლობაში არაუმეტეს 4000 ლარისა

ბენეფიციარების დასაფინანსებლად გამოყენებული იქნება რიგითობისა და მოცდის პრინციპი.

სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ პაციენტმა ან მისმა წარმომადგენელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მიმართოს პაციენტის სამედიცინო მომსახურების დაწყებამდე.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ სამედიცინო მომსახურებას. ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება. საზღვარგარეთ ჩატარებული სამედიცინო მომსახურება და ასევე არ დაფინანსდება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	350	1000	350,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			350,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დაავადებული პაციენტის ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის აღდგენა/გაუმჯობესება, ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მოპოვება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	350	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ს ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1,000	ქვეპროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0603

პროგრამის დასახელება:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,330,000	520,000	270,000	270,000	270,000
სულ ბიუჯეტი:	1,330,000	520,000	270,000	270,000	270,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2017–2020 წლები

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესება და მობილურობის გაზრდა; სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;

პროგრამის აღწერა:

სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ექიმების დეფიციტისა და მაღალი დენადობის გამო სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. საექიმო კადრების სოფლებში დამაგრების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი მატერიალური სტიმულირება ხელფასის დანამატის დანიშვნით.

სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესებისა და მობილურობის გაზრდის მიზნით განხორციელებს მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენას.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება	1,080,000	270,000	270,000	270,000	270,000
სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა	250,000	250,000	-	-	-
სულ პროგრამა	1,330,000	520,000	270,000	270,000	270,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებს გადაეცათ მაღალი გამავლობის ავტომანქანები. სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნა უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურებით.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებს მობილურობის გაზრდის მიზნით გადაეცემათ მაღალი გამავლობის ავტომანქანები. გაუმჯობესდება პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისები, სოფლის მოსახლეობას მიეწოდება მაღალხარისხიანი, უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესება. სოფლის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი, უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესება. სოფლის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი, უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდება.	სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება მატერიალური სტიმულირების გზით	107	107	107	107	რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი
	მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა	13				რაოდენობა	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060303

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	270,000
სულ ბიუჯეტი:	270,000

ქვეპროგრამის მიზანი:

საექიმო კადრების სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის სოფლის ექიმების მატერიალური სტიმულირება მათთვის ხელფასის დანამატის დანიშვნით, მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმებისათვის – 300 ლარი, ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 150 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ექიმების დეფიციტისა და მაღალი დენადობის გამო სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. საექიმო კადრების სოფლებში დამაგრების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი მატერიალური სტიმულირება ხელფასის დანამატის დანიშვნით.

ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის ექიმები. დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქვეპროგრამაში სამედიცინო პერსონალის ჩართვა განხორციელდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და მუნიციპალიტეტების გამგებლების მომართვის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმების ხელფასის დანამატი	43	300	154,800
ქობულეთისა და ხელვაჩაურის სოფლის ექიმების ხელფასის დანამატი	64	150	115,200
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			270,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ხელფასის დანამატი	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება, სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი ბაზისური, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება.	სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება	მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის რაოდენობა – 43 ქობულეთის და ხელვაჩაურის სოფლის ექიმები– 64	მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია დასაქმებული სოფლის ექიმებისა და მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ	ყოველთვიურად	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაციისა და სოფლის ექიმების მიერ ჩატარებული მუშაობის ყოველთვიური ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060304

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	250,000
სულ ბიუჯეტი:	250,000

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ა.რ მუნიციპალიტეტების სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობის გაზრდის მიზნით მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აჭარის ა.რ მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესებისა და მობილურობის გაზრდის მიზნით განახორციელებს მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენას.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
აჭარის ა.რ მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა	13	19,231	250,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			250,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
აჭარის ა.რ მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაიზრდება აჭარის ა.რ მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობა. მოსახლეობას დროულად მიეწოდება სამედიცინო მომსახურება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული (რაოდენობა)	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
აჭარის ა.რ მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა	პირველადი ჯანდაცვის ცენტრების უზრუნველყოფა ავტომანქანებით	13	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შესრულებული სამუშაოს ანალიზი წლის ბოლოს

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0604

პროგრამის დასახელება:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4,943,358	1,247,100	1,232,086	1,232,086	1,232,086
სულ ბიუჯეტი:	4,943,358	1,247,100	1,232,086	1,232,086	1,232,086

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017–2020 წლები

პროგრამის მიზანი:

რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნისა და დროული რეაგირების გზით, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების დონის გაზრდა და ჩართულობა. დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა.

პროგრამის აღწერა:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმატიულობის ზრდა, ჩართულობა.

შერჩეულ სამიზნე ჯგუფში სამედიცინო სკრინინგული გამოკვლევების განხორციელება დაავადების ადრეული გამოვლენის მიზნით;

ც ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა - „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებისთვის მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი გამოკვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევების ჩატარების თანაგადახდის უზრუნველყოფა.

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა ორსულებში (ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების 0–200 000 მდე სარეიტინგო ქულის მქონე ორსულები), ორსულებში გართულებათა თავიდან აცილებისა და ჯანსაღი თაობის ფორმირების მიზნით.

კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში.

ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ახალშობილთა სმენის სკრინინგი.

იმუნოპროფილაქტიკის ხელშეწყობა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა.

სახელმწიფო სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა შეკრება და გადაცემა;

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება	2,308,998	588,510	573,496	573,496	573,496
დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა	2,634,360	658,590	658,590	658,590	658,590
სულ პროგრამა	4,943,358	1,247,100	1,232,086	1,232,086	1,232,086

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

გასულ წელს ეპიდზედამხედველობის სისტემაში მოექცა გადამდები დაავადების 30 695 შემთხვევა, სასწრაფო შეტყობინებას დაექვემდებარა 3846 შემთხვევა, რომელთა 40%-ში განხორციელდა ეპიდკვლევა.

- სამედიცინო-სკრინინგული გამოკვლევა ჩაუტარდა რეგიონის სკოლის 1–8 კლასის მოსწავლეთა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა 90%-ზე მეტს, გამოკვლეულ ბენეფიციართა 30 %-ში გამოვლენილ იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები, რომელთა მესამედი ნაწილი სიცოცხლეში პირველად იქნა დიაგნოსტიკებული.
- ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით რეგიონში უფასო სამედიცინო მომსახურება გაეწია სარეიტინგო 0-200 000 –მდე ქულის მქონე 1724 ორსულს.
- 2015 წელს 1 ივლისიდან C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 603 ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნა მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი და მკურნალობის მონიტორინგისათვის საჭირო კვლევების თანაგადახდით.
- კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული გამოვლენის მიზნით სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 1681–მა ბენეფიციარმა მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტების დონეზე.
- სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის ადრეული გამოვლენის მიზნით პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა -665 ახალშობილს.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2017 წლის განმავლობაში ეპიდზედამხედველობის სისტემაში მოექცევა საპროგნოზოდ ინფექციური და პარაზიტული დაავადების 30 695 შემთხვევა, სასწრაფო შეტყობინებასა და ადექვატურ რეაგირებას დაექვემდებარება 20%, რომელთა 40% –ში განხორციელდება ეპიდკვლევა.

2017 წლის განმავლობაში:

- სამედიცინო სკრინინგული კვლევა ჩაუტარდება საპროგნოზოდ 33 170 მოსწავლეს და 11 030 ბაღის აღსაზრდელს, რაც 2015-2016 სასწავლო წლის 1–8 კლასის მოსწავლეთა კონტინგენტის და საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა 90%-ს შეადგენს. საბავშვო ბაღის 11 030 აღსაზრდელს ჩაუტარდება ჰელმინთებზე ლაბორატორიული გამოკვლევა.
- წინასწარი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით ინსტრუმენტულ–ლაბორატორიული გამოკვლევა და სკრინინგის შემდგომი კონსულტაცია ჩაუტარდება ღონისძიებით მოსარგებლეთა არაუმეტეს 5%-ს.
- ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით რეგიონში უფასო სამედიცინო მომსახურება გაეწევა სარეიტინგო 0-200 000 –მდე ქულის მქონე ორსულს–საპროგნოზო რაოდენობა 2000 ორსული, არანაკლებ 1700–ისა.
- C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამის ბენეფიციარებისთვის განხორციელდება მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი გამოკვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევების თანაგადახდის უზრუნველყოფა. ღონისძიებით ისარგებლებენ ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები – საპროგნოზო რაოდენობა 700 ბენეფიციარი.
- კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული გამოვლენის მიზნით სამედიცინო მომსახურებით ისარგებებს მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობა– არანაკლებ 1600 ბენეფიციარისა.
- სმენის სკრინინგი განხორციელდება ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებათა ახალშობილებში, საპროგნოზო რაოდენობა 700 ახალშობილი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს შენარჩუნება,
მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად,
დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, მოსახლეობის ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს შენარჩუნება, მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად, დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა, მოსახლეობის ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა.	გადამდებ დაავადებათა ეპიდკვლევა და კონტროლი, საშუალოდ 1500 კერა	გადამდებ დაავადებათა ეპიდკვლევა და კონტროლი, საშუალოდ 1500 კერა	გადამდებ დაავადებათა ეპიდკვლევა და კონტროლი, საშუალოდ 1500 კერა	გადამდებ დაავადებათა ეპიდკვლევა და კონტროლი, საშუალოდ 1500 კერა	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რეგიონში რეგისტრირებული ყველა ტიპის სამედიცინო (ფიზიკური/იურიდიული) პირი	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 იანვრის №01-2/5 ბრძანების „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ შესაბამისად
	მოსახლეობის ინფორმაციულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები–258	მოსახლეობის ინფორმაციულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები–258	მოსახლეობის ინფორმაციულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები–258	მოსახლეობის ინფორმაციულობის დონის გაზრდის მიზნით ჩატარებული შეხვედრები–258	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად
	მოსახლეობაში ჩატარებული სამედიცინო-სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა–48 500	მოსახლეობაში ჩატარებული სამედიცინო-სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა–48 500	მოსახლეობაში ჩატარებული სამედიცინო-სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა–48 500	მოსახლეობაში ჩატარებული სამედიცინო-სკრინინგული გამოკვლევების რაოდენობა–48 500	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	დონისძიების შესრულების, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060402

ქვეპროგრამის დასახელება:

დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	658,590
სულ ბიუჯეტი:	658,590

ქვეპროგრამის მიზანი:

რეგიონში გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა რისკების გამოვლენა, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა. შემთხვევის დროული მართვა;

ქვეპროგრამის აღწერა

დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით შერჩეულ სამიზნე ჯგუფში განხორციელდება სამედიცინო სკრინინგული გამოკვლევები; დიაგნოზის დაზუსტების, შემთხვევის დროული და სწორი მართვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში სკრინინგის შემდგომი კონსულტაცია, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევები; გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება - სამედიცინო-პროფილაქტიკური შემოწმება ჩატარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო ბაღებში, ასევე პირველი - მერვე კლასის მოსწავლეების მიმართ, რომლებიც სწავლობენ რეგიონის საჯარო და კერძო სკოლებში, ჰელმინთებზე ლაბორატორიული გამოკვლევა ჩატარდება რეგიონის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს. 2016 წლის მდგომარეობით, აღნიშნული კონტინგენტი შეადგენს ბაღის 12 260 აღსაზრდელს და 36 858 მოსწავლეს 1-8 კლასის მოსწავლეს. ერთი ვიზიტის საშუალო რაოდენობა შეადგენს 90-100 ბავშვის სკრინინგს.

„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებისთვის, ცენტრის ღონისძიების „C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა“ ფარგლებში განხორციელდება:

- მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევების ჩატარების თანაგადახდის უზრუნველყოფა.

თანაგადახდა C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის მხრიდან, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიისათვის შეადგენს 70%-ს, ხოლო ქვეპროგრამის „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ფარგლებში კი 30%-ს. სხვა დანარჩენი ბენეფიციარებისათვის C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის თანაგადახდა 30%-ია, ქვეპროგრამის „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ფარგლებში 60%, აღნიშნულ ბენეფიციართა მხრივ თანაგადახდა შეადგენს 10%-ს.

ღონისძიების „C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა“ მოსარგებლებებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში), გარდა ქალაქ ბათუმისა. ღონისძიებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით, რომელსაც გასცემს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებში წარსადგენად. სამედიცინო ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

0-200 000 მდე სარეიტინგო ქულის მქონე ორსულებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით ჩატარდება: ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევა - ულტრასონოგრაფია, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური (თირეოტროპული ჰორმონი, თავისუფალი თიროქსინი) გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, საჭიროების შემთხვევაში გართულებათა მედიკამენტოზური პროფილაქტიკა. ღონისძიებით მოსარგებლეა საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საპროგნოზო რაოდენობა 2000 ორსული, არანაკლებ 1700-ისა.

მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში (ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები) განხორციელდება კიბოსა და კიბოსწინა დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკა: ულტრაბგერითი გამოკვლევა, ონკოლოგიის კონსულტაცია (არანაკლებ 1600 ბენეფიციარისა), დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტთა კონსულტაცია, ონომარკერებზე ლაბორატორიული გამოკვლევა, ციტოლოგიური გამოკვლევა.

ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ჩატარდება ახალშობილთა სმენის სკრინინგი (ახალშობილთა საპროგნოზო რაოდენობა–700).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში	462 (ვიზიტი)	463.160	213,980
c ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა	700 (ბენეფიციარი)	357.143	250,000
ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში (სამიზნე ჯგუფი)	2000 (ბენეფიციარი)	65.000	130,000
კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში	1600 (ბენეფიციარი)	36.500	58,400
სმენის სკრინინგი ახალშობილებში	700 (ბენეფიციარი)	8.871	6,210
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			658,590

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში	X	X	X	X
c ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა	X	X	X	X
ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში (სამიზნე ჯგუფი)	X	X	X	X
კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში	X	X	X	X
სმენის სკრინინგი ახალშობილებში	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, გართულებების თავიდან აცილება, დაავადებათა ქრონიზაციის შემცირება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება დაავადების პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

ორსულებში გართულებათა თავიდან აცილება და ჯანმრთელი მომავალი თაობის ფორმირება,

კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების დროული დიაგნოსტიკა, ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობისა და მართვის მიზნით.

ახალშობილებში სმენის სკრინინგი სმენის თანდაყოლილი პათოლოგიების ადრეული გამოვლენისა და მართვის მიზნით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
შედეგი 1 - დაავადებებისა და მდგომარეობების ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, გართულებების თავიდან აცილება, დაავადებათა ქრონიზაციის შემცირება, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.	დაგეგმილი და ჩატარებული სამედიცინო-სკრინინგული გამოკვლევები-44 200	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაცია	1 წელი	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	ღონისძიების შესრულების, ანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად
	სასწავლო წლისათვის 1-8 კლასის მოსწავლეთა და საბავშვო ბაღის აღსარდელთა კონტინენტის 90%	%		1 წელი		
	სკრინინგის შემდგომი დამატებითი კონსულტაციის, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების რაოდენობა და სპექტრი, ბენეფიციართა არაუმეტეს 5% -ში.	%		1 წელი		
შედეგი 2 -C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება დაავადების პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.	„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ ბენეფიციარებისთვის მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევების თანაგადახდა – საპროგნოზო რაოდენობა 700 ბენეფიციარი	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაცია	1 წელი	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	ღონისძიების შესრულების, ანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად
	„C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ ბენეფიციარებისთვის მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევების თანაგადახდა – საპროგნოზო რაოდენობა 700 ბენეფიციარი	რაოდენობა		1 წელი		
შედეგი 3 – ორსულებში გართულებათა თავიდან აცილება და ჯანმრთელი მომავალი თაობის ფორმირება	ჩატარებული ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევები და ენდოკრინოლოგის კონულტაცია–საპროგნოზო რაოდენობა 2000 ორსული, არანაკლებ 1700–ისა.	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაცია	1 წელი	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	ღონისძიების შესრულების, ანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად
შედეგი 4 – კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული გამოვლენა, შემთხვევის დროული მკურნალობისა და სწორი მართვის მიზნით	სამედიცინო–პროფილაქტიკური გასინჯვები არანაკლებ 1600 ბენეფიციარისა	რაოდენობა	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაცია	1 წელი	სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	ღონისძიების შესრულების, ანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად
	სხვა დიაგნოსტიკა, არანაკლებ 20–%ისა	%				

<p>შედეგი 5– ახალშობილებში სმენის სკრინინგი</p> <p>თანდაყოლილი სმენის პათოლოგიების ადრეული გამოვლენისა და მართვის მიზნით.</p>	<p>ახალშობილებში პირველადი სკრინინგის რაოდენობა–საპროგნოზო რაოდენობა 700 ახალშობილი</p>	<p>რაოდენობა</p>	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ღონისძიების განმახორციელებელი ორგანიზაცია</p>	<p>1 წელი</p>	<p>სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p>	<p>ღონისძიების შესრულების, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის შესაბამისად</p>
	<p>მეორადი სკრინინგი, ტიმპანომეტრია –საპროგნოზო რაოდენობა 4%</p>	<p>%</p>				
	<p>ობიექტური აუდიომეტრია – ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა 3 ახალშობილი</p>	<p>რაოდენობა</p>				

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამული კოდი	დასახელება	2017 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
0605	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია	1,179,000	1,179,000	1,266,000	1,392,600	1,531,000
0606	მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	283,000	283,000	283,000	313,000	344,000
0607	შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით	180,000	180,000	180,000	200,000	220,000
0608	მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	124,100	124,100	124,100	124,100	124,100
0609	ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა	3,000,000	3,000,000	3,000,000	3,000,000	3,000,000
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		4,766,100	4,766,100	4,853,100	5,029,700	5,219,100

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა					
-----------------------------	--	--	--	--	--

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0605

პროგრამის დასახელება:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	5,368,600	1,179,000	1,266,000	1,392,600	1,531,000
სულ ბიუჯეტი:	5,368,600	1,179,000	1,266,000	1,392,600	1,531,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება, სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია

პროგრამის აღწერა:

<p>ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია - ბავშვთა ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთების სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.</p> <p>სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია - სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.</p> <p>ბავშვთა ადრეული განვითარება - გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.</p> <p>შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.</p>
--

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია	3,387,720	807,720	820,000	860,000	900,000
სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია	650,000	120,000	150,000	180,000	200,000
ბავშვთა ადრეული განვითარება	1,204,880	233,280	260,000	316,600	395,000
შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია	126,000	18,000	36,000	36,000	36,000
სულ პროგრამა	5,368,600	1,179,000	1,266,000	1,392,600	1,531,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2016 წელს სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის კურსები ჩაუტარდა 1200 ბენეფიციარს.
--

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის კურსები ჩაუტარდება 1350 ბენეფიციარს.
--

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სამიზნე ჯგუფის ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სარეაბილიტაციო მომსახურებით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
სამედიცინო და სოციალურ რეაბილიტაციაზე ბენეფიციართა მოთხოვნის დაკმაყოფილება	მოსახლეობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი	85%	88%	92%	95%	%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	5,796	6,300	6500	7000	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის პროცესში მშობლების ან ოჯახის წევრების ჩართულობა	ჩართულობის მაჩვენებელი	90%	90%	90%	90%	%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060501

ქვეპროგრამის დასახელება:

ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	807,720
სულ ბიუჯეტი:	807,720

ქვეპროგრამის მიზანი:

ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთთა სისტემის დაავადებების მქონე ბავშვებისათვის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების მიწოდება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვების სამედიცინო მეთვალყურეობა, ფიზიკური თერაპია, მეტყველების თერაპია, ბავშვისა და მშობლის ფსიქოლოგიური დახმარება. სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება (1 კურსი - 10 დღე) ანაზღაურდება სარეაბილიტაციო ღონისძიებების ტარიფით 233 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით. პაციენტებს რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები ჩაუტარდებათ პაციენტის ინდივიდუალური აბილიტაციის გეგმის შესაბამისად, რომლის ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული სრული კურსის ტარიფს. წელიწადში 1 პაციენტს დაუფინანსდება არაუმეტეს 7 კურსისა. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი მოითხოვს რეაბილიტაციის დაფინანსებას დაწესებულებაში, სადაც მომსახურება მიეწოდება განსხვავებული პირობებით და მისი ღირებულება აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ტარიფს, სამინისტრო უზრუნველყოფს მის დაფინანსებას ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, ხოლო დარჩენილ ნაწილს დაფარავს ბენეფიციარი.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება ბავშვთა ცერებრალური დამბლის, კუნთების პირველადი დაზიანების, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ეპილეფსიის, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების, კუნთების სხვა (მათ შორის დაუზუსტებელი) დაზიანების, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის და ტეტრაპლეგიის მქონე 3 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვაუჩერის გაცემის მომენტში და არ არიან ჩართული ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამაში.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. ბენეფიციარები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;

2. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;

3. მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება;

- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;

- მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში).

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფსიქოსომატური რეაბილიტაციის კურსების ჩატარება		3,462	233.31	807,720
რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები	სარეკომენდაციო რაოდენობა			
ფიზიკური თერაპია (მოტორული უნარ-ჩვევების განვითარება)	10			
მეტყველების და ენის თერაპია (კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება, კვების, სწორი სუნთქვის უნარის განვითარება)	5			
ექიმის მეთვალყურეობა (ნევროლოგის კონსულტაცია, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება)	1			
ბავშვის ფსიქოლოგიური დახმარება (ფსიქოლოგიური ტესტირება, გონებრივი განვითარების შეფასება და კორექცია)	2			
ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ფსიქოლოგიური დახმარება	2			
შესაბამისი სპეციალისტების მიერ ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისათვის ფიზიკური თერაპიის სახლის პირობებში ჩატარების სწავლება	2			
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				807,720

ქვეპროგრამის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებების რაოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება.	ბენეფიციართა დაკმაყოფილების მაჩვენებელი	85%-ზე მეტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060504

ქვეპროგრამის დასახელება:

ბავშვთა ადრეული განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	233,280
სულ ბიუჯეტი:	233,280

ქვეპროგრამის მიზანი:

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა:

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 7 წლამდე ასაკის ბავშვების ადრეული განვითარების დარღვევების იდენტიფიცირება ბავშვის სოციალური, მოტორული, შემეცნებითი, კომუნიკაციური და თვითმოვლითი უნარების განვითარება. მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი) მომსახურების გაწევა (თვეში არანაკლებ 8). ამასთან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მხოლოდ ინდივიდუალურ მომსახურება, ხოლო 3 წლის ასაკის შემთხვევაში ჯგუფურ მომსახურებაც (არაუმეტეს თვეში 4). სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება ანაზღაურდება არაუმეტეს 144 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით. პაციენტებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება პაციენტის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება გონებრივი განვითარების შეფერხების (დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი, განვითარების ზოგადი აშლილობა, მეტყველების განვითარების აშლილობა, გონებრივი ჩამორჩენილობა) მქონე 7 წლამდე ასაკის ბავშვები.

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვაუჩერის გაცემის მომენტში, გარდა ქ. ბათუმი რეგისტრირებული მოქალაქეებისა და არ არიან ჩართული ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. ბენეფიციარები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;

2. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;

3. მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და ადრეული განვითარების საჭიროება;

- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;

- მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
განვითარების სტიმულირების მომსახურების დაფინანსება	135	1,728	233,280
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			233,280

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების სოციალური ინტეგრაციის ამაღლება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების სოციალური ინტეგრაციის ამაღლება	ბენეფიციართა დაკმაყოფილების მაჩვენებელი	90%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060502

ქვეპროგრამის დასახელება:

სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	120,000
სულ ბიუჯეტი:	120,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სქოლიოზით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის რეაბილიტაციის კურსების მიწოდება.

ქვეპროგრამის აღწერა:

სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების მიწოდება. სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება მოიცავს ექიმ-სპეციალისტის კონსულტაციას, სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას (არანაკლებ 15 წუთიანი მასაჟი -10, არანაკლებ 40 წუთიანი სამკურნალო ფიზკულტურა -20), ბავშვისა და მშობლისათვის სამკურნალო ფიზკულტურის სახლის პირობებში ჩატარების სწავლებას. მომსახურების ღირებულება შეადგენს 178 ლარს.

ქვეპროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება სხვადასხვა ხარისხის სქოლიოზის მქონე 18 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით და ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მზრუნველობაში. ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით, ბენეფიციართა ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და რეაბილიტაციის კურსის საჭიროება;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;
- მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
- სახელმწიფო მზრუნველობაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
რეაბილიტაციის კურსების ჩატარება		674	178	120,000
რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები	სარეკომენდაციო რაოდენობა			

ექიმ-სპეციალისტის (ორთოპედის) კონსულტაცია	1			
სამკურნალო ფიზიკულტურა	20			
მასაჟი	10			
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				120,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	674	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060503

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	18,000
სულ ბიუჯეტი:	18,000

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უზრუნველყოფა მათ საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო, პედაგოგიური და სარეაბილიტაციო მომსახურების კურსებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების საჭიროებების კვლევა, რეაბილიტაციის და სამედიცინო მომსახურების ორგანიზება სადღეღამისო ცენტრში, სადაც 15 დღიანი კურსის განმავლობაში განხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, ფიზიკური რეაბილიტაცია, ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება, რისთვისაც გათვალისწინებულია 20 ლარი დღეში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის ოჯახურთან მიახლოებული გარემოს შექმნის მიზნით ბავშვის ჩართვა ქვეპროგრამაში განხორციელდება მშობელთან ან ოჯახის სრულწლოვან წევრთან ერთად.

მომსახურების მიღება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაძლებელია არაუმეტეს 2-ჯერ წელიწადში.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 70 000-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
3. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;
4. სხვა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს ადაპტაციის კურსის საჭიროება;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია.
- მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შშმ ბავშვებისათვის ადაპტაციის კურსების დაფინანსება	20	600	12,000

შშმ ბავშვების მშობლების ან ოჯახის წევრების დაფინანსება	20	300	6,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			18,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა კომისიურად	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალური ადაპტაციის ამაღლება და საზოგადოებაში ინტეგრაციის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალური ადაპტაციის ამაღლება და საზოგადოებაში ინტეგრაციის გაუმჯობესება	რეაბილიტაციის კურსის რაოდენობა	40	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის პროცესში მშობლების ან ოჯახის წევრების ჩართულობა	ჩართულობის მაჩვენებელი	90%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0606

პროგრამის დასახელება:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,223,000	283,000	283,000	313,000	344,000
სულ ბიუჯეტი:	1,223,000	283,000	283,000	313,000	344,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

პროგრამის აღწერა:

- 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება - 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების (1000 ლარი) გაცემა

- ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება - ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ტყუპი - 2 ბავშვი 2000 ლარის, 3 ბავშვი - 3000 ლარის, 4 ბავშვი - 4000 ლარის ოდენობით (ტყუპისცალზე -1000 ლარი) და ა.შ.

- 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარება - 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპული მეომრების ოჯახზე მატერიალური დახმარების გაწევა - დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული მეომრების დედებსა და მეუღლეებს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, ხოლო აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული მეომრების ოჯახებს თითოეულს 3000 ლარის ოდენობით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება	216,000	50,000	50,000	55,000	61,000
ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	675,000	150,000	150,000	175,000	200,000
2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარება	332,000	83,000	83,000	83,000	83,000
სულ პროგრამა	1,223,000	283,000	283,000	313,000	344,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2016 წელს მატერიალური დახმარება გაეწია 230-ზე მეტ მოქალაქეს

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 243 მოქალაქეს

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების სოციალური დახმარება

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
დაღუპულთა ოჯახების სოციალური დახმარება	დაღუპულთა დედებისა და მეუღლეების დახმარება	23	23	23	23	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა
	დაღუპულთა ოჯახების დახმარება	20	20	20	20	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა
მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების სოციალური დახმარება	ბენეფიციართა რაოდენობა	200	200	230	261	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი; სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიცი-პალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060601

ქვეპროგრამის დასახელება:

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	50,000
სულ ბიუჯეტი:	50,000

ქვეპროგრამის მიზანი:

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების დამატებითი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის აღწერა:

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეების ერთჯერადი მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს 2002 წლიდან, რაც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების გაწევას. ქვეპროგრამა აქტუალურია იმიტომ, რომ აღნიშნულ მოქალაქეთა უმრავლესობა განიცდის ეკონომიურ სიდუხჭირეს და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს მათ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან წარმოდგენილი სიების საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 1000 ლარის ოდენობით ბენეფიციარს ჩაერიცხება საბანკო ანგარიშზე.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება	50	1,000	50,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			50,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა სიების გამოთხოვა მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და მერიიდან	X			
წარმოდგენილი სიების გადამოწმება	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება	100 და მეტი წლის მოქალაქეების რაოდენობა	50	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიცი- პალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან გამოთხოვილი მოქალაქეთა სიები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060602

ქვეპროგრამის დასახელება:

ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	150,000
სულ ბიუჯეტი:	150,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალშობილი ტყუპების ოჯახების მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ტყუპი - ტყუპისცალზე გაიცემა დახმარება 1000 ლარის ოდენობით. დახმარების თანხა ჩაირიცხება მშობლის (დედის ან მამის) საბანკო ანგარიშზე. ერთჯერადი დახმარების მისაღებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა წარედგინოს:

1. დაინტერესებული პირის განცხადება;
2. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა;
3. მშობლების პირადობის მოწმობების (ან სხვა დოკუმენტის, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია) ასლები;
4. ახალშობილების დაბადების მოწმობების ასლები;
5. საბანკო რეკვიზიტები.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ახალშობილი ტყუპების ოჯახებისათვის დახმარების გაწევა	150	1,000	150,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			150,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ტყუპების ოჯახების სოციალური დახმარება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ტყუპების ოჯახების სოციალური დახმარება	ბენეფიციართა რაოდენობა	150	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060603

ქვეპროგრამის დასახელება:

2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	83,000
სულ ბიუჯეტი:	83,000

ქვეპროგრამის მიზანი:

2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული საომარი მოქმედებისა და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედების შედეგად დაღუპულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული 17 სამხედრო მოსამსახურის, ასევე, 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ 3 მეომრის ოჯახზე მატერიალური დახმარების გაწევას. დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული მეომრების დედებსა და მეუღლეებს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით, სულ 23 ბენეფიციარს, ხოლო აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 20 მეომრის ოჯახს - თითოეულს 3000 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან წარმოდგენილი უნდა იქნას დაღუპულთა და მათი ოჯახის წევრთაგან მატერიალური დახმარების მიმღებ პირთა სია და საბანკო რეკვიზიტები. შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია ოჯახის დახმარების თანხის წილობრივი გაცემა მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე ან შვილის კანონიერ წარმომადგენელზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დაღუპულთა დედებისა და მეუღლეების დახმარება	23	1,000	23,000
დაღუპულთა ოჯახების დახმარება	20	3,000	60,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			83,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ბენეფიციართა სიების გამოთხოვა მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და მერიიდან	X		X	
თანხის გაცემა	X		X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დაღუპულთა ოჯახების სოციალური დახმარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
დაღუპულთა ოჯახების სოციალური დახმარება	დაღუპულთა დედებისა და მეუღლეების დახმარება	23	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა
	დაღუპულთა ოჯახების დახმარება	20 ოჯახი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0607

პროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	780,000	180,000	180,000	200,000	220,000
სულ ბიუჯეტი:	780,000	180,000	180,000	200,000	220,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზრდილთა, ხანდაზმულ პირთა და უსინათლოთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

პროგრამის აღწერა:

-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა
 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირებზე სავარძელ- ეტლების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება
-სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა - სმენადაქვეითებულ პირებზე სმენის აპარატების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა	510,000	120,000	120,000	130,000	140,000
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა	270,000	60,000	60,000	70,000	80,000
სულ პროგრამა	780,000	180,000	180,000	200,000	220,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2016 წელს დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფილი იქნა 680 ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფილი იქნება 680 ბენეფიციარი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ხანდაზმულთა სოციალური პირობები გაუმჯობესებულია, მათი ცხოვრების ხარისხი ამაღლებულია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ხანდაზმულთა სოციალური პირობები გაუმჯობესებულია, მათი ცხოვრების ხარისხი ამაღლებულია.	მოსახლეობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი	90%	92%	95%	99%	%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060701

ქვეპროგრამის დასახელება:

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	120,000
სულ ბიუჯეტი:	120,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სმენადაქვეითებულ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ამაღლება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ III-IV ხარისხის სმენაჩლუნგობის მქონე მოქალაქეების (18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ნებისმიერი ხარისხის). ქვეპროგრამის ფარგლებში ციფრული სმენის აპარატებით უზრუნველყოფა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ფარგლებში სმენის აპარატების გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს სმენის აპარატის საჭიროება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- სმენის აპარატის ღირებულების წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში)

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სმენადაქვეითებულ პირებზე სმენის აპარატების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება.	480	250	120,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			120,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
--	------------	------------	------------	------------

მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა კომისიაზე	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ამაღლება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ამაღლება სმენის აპარატების საშუალებით	ბენეფიციარების რაოდენობა	480	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელო ბისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060702

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	60,000
სულ ბიუჯეტი:	60,000

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა ცხოვრების ხარისხის და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ გადაადგილების პრობლემის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმული პირები. ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ფარგლებში სავარძელ-ეტლის გაცემისას უპირატესობა ენიჭებათ 18 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მოქალაქეებს.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს სავარძელ-ეტლის საჭიროება;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;

- სავარძელ-ეტლის ღირებულების წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა;

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში)

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირებზე სავარძელ-ეტლების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მოსახურება.	200	300	60,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			60,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა კომისიაზე	X	X	X	X
ვაუჩერების გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა სოციალური პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება, გადაადგილების მოთხოვნის დაკმაყოფილება

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა სოციალური პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება, გადაადგილების მოთხოვნის დაკმაყოფილება სავარძელ-ეტლებით	ბენეფიციარების რაოდენობა	200	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0608

პროგრამის დასახელება:

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	496,400	124,100	124,100	124,100	124,100
სულ ბიუჯეტი:	496,400	124,100	124,100	124,100	124,100

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მიუსაფარი დედებისა და ბავშვების დროებითი 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფა, ბენეფიციარების სადღეღამისო მომსახურება სამჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი (მათ შორის ბავშვის კვების პროდუქტებით მომარაგება), ბენეფიციართა უზრუნველყოფა ტანსაცმელსა და პირადი ჰიგიენის ნივთებით, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება, სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, რისთვისაც გათვალისწინებულია 17 ლარი დღეში.

მომსახურების მიღება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) მეშვეობით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ ეღებულობს შესაბამისი კომისია, რომელიც იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრა არაუმეტეს 6 თვისა, ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაძლებელია არაუმეტეს 2 ჯერ წელიწადში.

პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ:

1. მარტოხელა დედები 10 წლამდე ასაკის ბავშვით (ბავშვებით) ან ორსული ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა), რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 70000- ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. ორსული ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა);
3. მარტოხელა დედები, რომელთაც ჰყავთ 2 და მეტი 10 წლამდე ასაკის ბავშვი;
4. მარტოხელა დედები, რომელთაც ჰყავთ 10 წლამდე ასაკის ბავშვი. ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
 - ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
 - ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
 - საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის სოციალური მუშაკის დასკვნა.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და არ არიან ჩართული ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაში.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	496,400	124,100	124,100	124,100	124,100
სულ პროგრამა	496,400	124,100	124,100	124,100	124,100

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2016 წელს თავშესაფრით უზრუნველყოფილი იქნა 20 ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

თავშესაფრით უზრუნველყოფილი იქნება 20 ბენეფიციარი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებულია, მათი სოციალური ინტეგრაციის ხარისხი ამაღლებულია.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
მიუსაფარ დედათა და ბავშვთა საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებულია, მათი სოციალური ინტეგრაციის ხარისხი ამაღლებულია.	დაკმაყოფილებულ ბენეფიციართა რაოდენობა	20	20	20	20	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის სოციალური დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0609

პროგრამის დასახელება:

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	12,000,000	3,000,000	3,000,000	3,000,000	3,000,000
სულ ბიუჯეტი:	12,000,000	3,000,000	3,000,000	3,000,000	3,000,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2017–2020 წლები

პროგრამის მიზანი:

ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა

პროგრამის აღწერა:

ამ ეტაპისთვის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებულ (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში დაახლოებით 633 - მდე განაცხადია შესული. სახელმწიფოს მიერ ათობით ეკომიგრანტ ოჯახთა დაკმაყოფილების მიუხედავად, სტიქიური კატაკლიზმების გახშირების გამო, მონაცემები მერყეობს და სტატისტიკა არაპროგნოზირებადია. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეკომიგრანტ ოჯახებს ესაჭიროება ფინანსური მხარდაჭერა უსაფრთხო გარემოში ადგილმონაცვლეობისათვის.

პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ეკომიგრანტები, რომლებსაც შუამდგომლობს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულები, როგორც მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს და რომლებიც 2010 წლის 1 იანვრიდან, შუამდგომლობის აღძვრამდე უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (აღნიშნული რეგულაცია არ ვრცელდება ქორწინების შედეგად ოჯახში შემატებული წევრებსა და არასრულწლოვნებზე). მოსარგებლეთა შერჩევის წესი: ბენეფიციართა შერჩევას უზრუნველყოფს უფლებამოსილი კომისია (შემდგომში - კომისია). კომისიის შემადგენლობა, უფლებამოსილება, ბენეფიციართა შერჩევის წესი და კრიტერიუმები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამართლებრივი აქტით (შემდგომში - განკარგულება).

პროგრამაში ჩაერთვებიან პრიორიტეტულობის ქულა მინიჭებული ბენეფიციარნი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ან აღნიშნულზე ინფორმაცია მატერიალური სახით მოწოდებული იქნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ. პროგრამაში ჩართვის საფუძველია თვითმმართველი ერთეულის მიერ აღძრული შუამდგომლობა მოქალაქის განაცხადის საფუძველზე. დაზარალებულ ოჯახებს, კომისიის გადაწყვეტილებით ეძლევათ შეთავაზება არანაკლებ 1 თვისა, საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართის (უძრავი ქონების სახე: ბინა ან კერძო სახლი მიწის ნაკვეთი(ებ)ით ან მის გარეშე) მოძიებისათვის. თუ დაზარალებული ოჯახი, ვერ შეარჩევს შესასყიდად სასურველ საცხოვრისს, პრიორიტეტულობის ქულის გათვალისწინებით კომისია რიგით სხვა დაზარალებულ ოჯახს უგზავნის შეთავაზებას. ოჯახს, რომელმაც მისთვის განკუთვნილ ვადაში ვერ ისარგებლა შეთავაზებით, ფართის შესყიდვის მოთხოვნით შეუძლია მიმართოს კომისიას იმ ეტაპზე როცა შეძლებს საცხოვრისის შერჩევას. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან დაზარალებულ ოჯახს ადრინდელ ეტაპზე მიღებული ჰქონდა შეთავაზება, კომისია წარმოდგენილი ფართის ექსპერტიზაზე გადაგზავნის მიზნით იმსჯელებს ურიოდ.

კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ბენეფიციარის მიერ შესასყიდად შერჩეულ საცხოვრებელ ფართს (ბინა ან სახლი მიწის ნაკვეთით ან მის გარეშე) ვიზუალური დათვალიერებით უტარდება ექსპერტიზა შენობა ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენისა და უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით (გარდა იმ შემთხვევისა თუ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ცხადყოფს, რომ საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია და საცხოვრებლად უვარგისია).

კომისია, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის შესყიდვისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სამინისტროსათვის ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ნასყიდობის ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას ერთ საცხოვრებელ ფართზე განსაზღვრავს საექსპერტო დასკვნით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარისა. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფართის გასაყიდი ღირებულება აღემატება პროგრამით განსაზღვრულ თანხას, სურვილისა და შეთანხმების შემთხვევაში, ბენეფიციარი ფართის შემენის მიზნით თავად ფარავს დარჩენილი სხვაობას. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სახლების შესყიდვის მსურველთა განაცხადების დაკმაყოფილების თაობაზე გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი. კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საცხოვრებელი ფართი რეგისტრირდება დაზარალებული ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანასაკუთრებად. ექსპერტიზის ღირებულება განისაზღვრება მომსახურების მიმწოდებელ მხარესა და სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და მომსახურების ტარიფების შესაბამისად. ექსპერტიზის ხარჯებს ფარავს სამინისტრო.

საექსპერტო დასკვნების მიღების შემდგომ, უფლებამოსილი კომისია იღებს გადაწყვეტილებას ბენეფიციარის დაკმაყოფილების თაობაზე, რაზედაც გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი. კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საცხოვრებელი ფართი რეგისტრირდება დაზარალებული ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანასაკუთრებად. ექსპერტიზის ღირებულება განისაზღვრება მომსახურების მიმწოდებელ მხარესა და სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და მომსახურების ტარიფების შესაბამისად. ბენეფიციარს უფლება აქვს, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში, განმეორებით წარადგინოს სამინისტროში სხვა საცხოვრებელი ფართი, თუ: 1. ჩატარებული შეფასების შედეგად დადგენილი საბაზრო ღირებულება 25 000 ლარზე ნაკლებია და ბენეფიციარი ვერ ფარავს ექსპერტიზით დადგენილ საბაზრო ღირებულებასა და გამყიდველის მიერ დაწესებულ ფასს შორის არსებულ სხვაობას; 2. დადებულ იქნა უარყოფითი საექსპერტო დასკვნა შერჩეული ფართის ტექნიკურ მდგომარეობაზე; 3. წარმოდგენილი ფოტომასალის საფუძველზე საცხოვრებელი ფართის ექსპერტიზაზე გადაგზავნა ჩაითვალოს არამიზანშეწონილად. ზემოთხსენებულ შემთხვევებში, აგრეთვე კომისიის გადაწყვეტილებით სხვა საპატიო შემთხვევის დადგომისას, ბენეფიციარის მიერ დამატებით მცდელობაზე წარმოდგენილი ფართის ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს სამინისტრო. სხვა შემთხვევებში განმეორებით მცდელობაზე წარმოდგენილი საცხოვრებელი ფართის ექსპერტიზის ხარჯებს, სურვილისამებრ იხდის ბენეფიციარი.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ეკომიგრანტი ოჯახების განსახლება	11,500,000	2,875,000	2,875,000	2,875,000	2,875,000
შესასყიდი სახლების ექსპერტიზა	500,000	125,000	125,000	125,000	125,000
სულ პროგრამა	12,000,000	3,000,000	3,000,000	3,000,000	3,000,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავების დასრულებისთანავე, 2016 ივნისის თვითან დაიწყო პროგრამით გათვალისწინებული პროცესების განხორციელება, შედეგად 2016 წელს დაახლოებით 90 ბენეფიციარი იქნება საცხოვრებელით უზრუნველყოფილი

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

115 ეკომიგრანტი ოჯახი იქნება საცხოვრებელით უზრუნველყოფილი

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ეკომიგრანტები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო საცხოვრებელით

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
ეკომიგრანტები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო საცხორებელით	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	115	115	115	115	ბენეფიციართა რაოდენობა	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება

დასაქმების ხელშეწყობა

პროგრამული კოდი	დასახელება	2017 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
0610	დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	801,700	801,700	782,700	782,700	782,700
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		801,700	801,700	782,700	782,700	782,700

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0610

პროგრამის დასახელება:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3,149,800	801,700	782,700	782,700	782,700
სულ ბიუჯეტი:	3,149,800	801,700	782,700	782,700	782,700

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში დასაქმების ხელშეწყობის მართვის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მდგრადი გაუმჯობესება, მათი შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარება შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და არაფორმალური სწავლების უზრუნველყოფით, შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის. სააგენტოს პოპულარიზაციის ხარისხის ამაღლება, რათა სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების ინფორმირებულობის ხარისხი გაიზარდოს და აჭარის მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა მოიცვას.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს: 1) აჭარის რეგიონში მცხოვრები პროფესიული უნარების შეძენის სურვილის მქონე მოქალაქეების პროფესიული უნარების ზრდას. პროფესიული უნარების ზრდასთან ერთად მოხდება პროგრამის ბენეფიციართა ცოდნის შეძენა/ამაღლება უცხო ენებში (ინგლისური; რუსული; თურქული), ამასთანავე ბენეფიციარები გაივლიან საწარმოო პრაქტიკის ერთთვიან კურსს კონკრეტულ სპეციალობებში პრაქტიკული უნარების გაზრდისა და მუშაობის გამოცდილების შეძენისათვის. პროგრამის ფარგლებში სულ გადამზადდება 100 ბენეფიციარი.

2) აჭარის რეგიონში მცხოვრები პროფესიული უნარების შეძენის სურვილის მქონე შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მათი პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება, მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროფესიული სასწავლო კურსის შეთავაზებით; შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით სუბსიდირებადი სტაჟირება ან/და სამუშაოს მიწოდება. პროგრამის ფარგლებში სულ გადამზადდება 10 ბენეფიციარი.

3) აჭარის რეგიონში ოპერარირებად ორგანიზაციებში მათთან დასაქმებული პირების პროფესიული უნარების ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი სამუშაოზე მდგრადობის უზრუნველსაყოფად. პროგრამის ფარგლებში სულ გადამზადდება 300 ბენეფიციარი.

4) სააგენტოს საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდას.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
დასაქმების ხელშეწყობის მართვა	1,608,600	416,400	397,400	397,400	397,400
პროფესიული გადამზადება	560,000	140,000	140,000	140,000	140,000
შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა	64,000	16,000	16,000	16,000	16,000
კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით	720,000	180,000	180,000	180,000	180,000
სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია	197,200	49,300	49,300	49,300	49,300
სულ პროგრამა	3,149,800	801,700	782,700	782,700	782,700

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დასაქმების სააგენტოს 2016 წლის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში „პროფესიული გადამზადება“ სწავლებას გადის 120 ბენეფიციარი.

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორი	გაზომვის ერთული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ჩატარებული კვლევები და შსაბამისი რეკომენდაციები	4	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	ერთჯერადად	აჭარის ა.რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	შესაბამისი დოკუმენტის მიღება-ჩაბარება
შემუშავებული სტრატეგია	1	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	ერთჯერადად	აჭარის ა.რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	შესაბამისი დოკუმენტის მიღება-ჩაბარება

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:					
სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება					

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0706	
-------------------------------	------	--

პროგრამის დასახელება:

სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით
--

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“
--

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	26,535,505	6,585,505	6,650,000	6,650,000	6,650,000
სულ ბიუჯეტი:	26,535,505	6,585,505	6,650,000	6,650,000	6,650,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2017 – 2020 წლები

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს მაღალშემოსავლიანი ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების, სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის, რეგიონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ფუნქციის მინიჭების, რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის შექმნისა და აღჭურვის, დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების, მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების დანერგვისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის გზით, მოსახლეობის საქმიანობიდან მაღალი შემოსავლების მიღება, იმპორტის ჩანაცვლება და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლება, მაღალეფექტური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების დანერგვით დახურულ გრუნტში სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარება, წარმოებული პროდუქციის შეფუთვის, შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების გაძლიერების გზით დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობის ეფექტურობის ამაღლება, რისთვისაც საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ქვეპროგრამები:

1) ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობა; 2) სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა; 3) მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა 4) მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: ა) ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობა ფარგლებში განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების აღჭურვა შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით, ტექნოლოგიური ხაზებითა და სამაცივრე მეურნეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრანსპორტირების, შეფუთვის, დასაწყობების, შენახვისა და რეალიზაციის საკითხების კომპლექსურ გადაწყვეტას; ბ) 2.5 ჰა სასათბურე მეურნეობების მოწყობა; გ) ჯიშგანახლების ხელშეწყობისა და ალტერნატიული მაღალმოსავლიანი კულტურების დანერგვის მიზნით მაღალპროდუქტიული ჯიშის ნიორისა კულტურის და ასევე მაღალპროდუქტიული ჯიშის კარტოფილის კულტურის დათესვა; დ) კაკლის ბაღების გაშენების ხელშეწყობა

ქვეპროგრამებს განახორციელებს ა(ა)იპ "აგროპროექტების მართვის ცენტრი", რომელიც ქვეპროგრამებით გათვალისწინებული მომსახურეობისა და საქონლის შესყიდვას განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე იგი უზრუნველყოფს შესყიდული საქონლის ბენეფიციარებზე განაწილების წესის შემუშავებას, ბენეფიციართა შერჩევას და ქვეპროგრამით გათვალისწინებული საქონლის ბენეფიციარებზე გადაცემას.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ქვეპროგრამა 1. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობა	4,444,540	2,644,540	600,000	600,000	600,000

ქვეპროგრამა 2.სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა	16,509,957	2,559,957	4,650,000	4,650,000	4,650,000
ქვეპროგრამა 3. მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა	3,830,160	950,160	960,000	960,000	960,000
ქვეპროგრამა 4. მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა	1,750,848	430,848	440,000	440,000	440,000
სულ პროგრამა	26,535,505	6,585,505	6,650,000	6,650,000	6,650,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

2016 წელს სამინისტროს პროგრამის "სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა" ფარგლებში განხორციელებული იქნა ქვეპროგრამები: 1) "სოფლის მეურნეობის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა", რომლის ფარგლებშიც რეგიონის ფერმერებსა და აგრომეწარმეებს თანაგადახდის პრინციპით გადაეცათ 292 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი და 79 ერთეული მოტობლოკის მისაბმელი ურიკა; 2) "ზადის მობილური შემასხურებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა", რომლის ფარგლებშიც ფერმერებსა და აგრომეწარმეებს გადაეცათ 100 ერთეული მობილური შემასხურებელი აპარატი; 3) "თხილის შესაგროვებელი აპარატებითა და გამრჩევი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა", რომლის ფარგლებშიც ფერმერებსა და აგრომეწარმეებს გადაეცათ 22 ერთეული თხილის შესაგროვებელი აპარატი და 10 ერთეული თხილის გამრჩევი დანადგარი. აღნიშნული ტექნოლოგიებით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესდა ფერმერთა შემოსავლები.

სამინისტროს 2016 წლის პროგრამის "მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში განხორციელდა სამი ქვეპროგრამა. 1) "მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა ფერმერულ მეურნეობებში," რომლის ფარგლებშიც რეგიონის ფერმერებთან და აგრომეწარმეებთან გაშენდა 95 ჰა ბაღი. მათ შორის: თხილის - 82 ჰა, ლურჯი მოცვის - 6 ჰა და საადრეო მანდარინის - 7 ჰა; 2) "წვეთოვანი სარწყავი სისტემებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა", რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია 201 სარწყავი სისტემის გაცემა; 3) "სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა", რომლის ფარგლებშიც ფერმერებსა და აგრომეწარმეებს გადაეცათ 84 ერთეული 50 კვ/მ-იანი და 15 ერთეული 104 კვ/მ-იანი სასათბურე კონსტრუქცია.

სამინისტროს 2016 წელს პროგრამის "მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში განხორციელდა 2 ქვეპროგრამა: 1) "თაფლის საწური აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა", რომლის ფარგლებშიც რეგიონის ფერმერებსა და აგრომეწარმეებს გადაეცათ 120 ერთეული თაფლის საწური აპარატი; 2) "რძის გადამამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა", რომლის ფარგლებშიც რეგიონის ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული იქნა 1645 ერთეული რძის მექანიკური სეპარატორი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

2017 წლის გამოწვევების გათვალისწინებით შემუშავდა პროგრამა „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ოთხი ქვეპროგრამით. კერძოდ: 1) „ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობა“; 2) „სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ 3) „მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“ და 4) „მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

1. 2017 – 2020 წლის საშუალოვადიან პერიოდში გაძლიერდება სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების მზარდაჭერა, რომელთაც გადაცემით სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებები - აღჭურვილი პროდუქციის პირველადი გადამამუშავებელი და დამზარისხებელი ხაზებით, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი პროდუქციის შესაფუთი დანადგარებით, სამაცივრე მეურნეობებით, სატრანსპორტო და წარმოების სხვა საშუალებებით, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ფერმერთა კონსოლიდაციას, სამომხმარებლო ბაზარზე ფერმერთა თავისუფალ წვდომას, საოჯახო და კომერციული მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის მარკეტინგულ უზრუნველყოფას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, ფერმერის ნამეტი პროდუქციის უდანაკარგოდ რეალიზაციასა და ფინანსურ შემოსავლების ზრდას, ექსპორტის დივერსიფიცირების დონის ამაღლებას, შესაბამისად, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობის ზრდას. ფერმერებსა და აგრომეწარმეებს მაღალპროდუქტიული ჯიშის ნიორის და კარტოფილის კულტურის გაშენების შესაძლებლობა მიეცემა, შედეგად წარმოებული იქნება 2380 ტონა კარტოფილი და 864 ტონა ნიორი. სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის, რეგიონის დაბლობი ზონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ფუნქციის მიწები, მოსახლეობის საქმიანობიდან მაღალი შემოსავლების მიღების, ასევე იმპორტის ჩანაცვლებისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მოეწყობა 2.5 ჰა სასათბურე მეურნეობები. 76.8 ჰა-ზე კაკლის ბაღების გაშენებისათვის ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული იქნება ნამყენი კაკლის ნერგები.

სასათბურე მეურნეობებში დაინერგება მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს ბოსტნეულის წარმოების გაზრდას და უწყვეტ რეჟიმში ბაზრის მომარაგების შესაძლებლობას. შეიქმნება სასათბურე მეურნეობის ერთიანი სივრცე და საწარმოო რესურსი. შედეგად, შეიქმნება შესაძლებლობა ფართო მასშტაბით დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიური და აგროტექნიკური სიახლეები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
მაღალპროდუქტიული სარგავი მასალით გაშენებული ნიორის ა და კარტოფილის კულტურა	წარმოებული ნიორი		288.0	288.0	288.0	ტონა	ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი	ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები
	წარმოებული კარტოფილი	580.0	600.0	600.0	600.0	ტონა			
დახურული გრუნტის მეზოსტნეობა და წარმოებული პროდუქცია	მოწყობილი სასათბურე მეურნეობა	2.5	4.5	4.5	4.5	ჰა	ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი	ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები
საწარმოო საშუალებებით აღჭურვილი ფუნქციონირებადი სასოფლო- სამეურნეო გაერთიანებები	თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დახარისხებული და შეფუთული პროდუქციის წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით შექმნილი მომსახურების ცენტრები	5.0	5.0	5.0	5.0	მომსახურე ბის ცენტრი	ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი	ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები
მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურის ბაღების გაშენება	გაშენებული კაკალი	76.8	80.0	80.0	80.0	ჰა	ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი	ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070601

ქვეპროგრამის დასახელება:

ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2,644,540
სულ ბიუჯეტი:	2,644,540

ქვეპროგრამის მიზანი:

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების კონსოლიდაციის ხელშეწყობის გზით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

წერილი ფერმერული მეურნეობები აჭარის სოფლის მეურნეობის სექტორის ძირითად ნაწილს შეადგენს, რომლისთვისაც სამომხმარებლო ბაზარზე ადგილობრივი წარმოების პროდუქციის რეალიზაციის თემა სხვა მრავალ პრობლემურ საკითხთან ერთად - საკმაოდ აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონს გააჩნია რეალური შესაძლებლობა მთელი წლის მანძილზე აწარმოოს და დააკმაყოფილოს ადგილობრივი ბაზარი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, როგორც ახალი (ნედლი), ისე გადამამუშავებული პროდუქციით, თუმცა ჩამოყალიბებული სისტემა ფერმერებისათვის ბაზარზე წვდომის გადაუღალავი ბარიერია, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ მიერ გაწეული შრომისა და დანახარჯების შესაბამის ანაზღაურებას.

სამინისტროსთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა სწორედ ფერმერების მიერ წარმოებული ნამეტი პროდუქციის ფულად ქცევა და საოჯახო მეურნეობების შემოსავლების ზრდაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების გაძლიერების გზით, სადაც შესაძლებელი იქნება ერთიან სივრცეში მოქცეული იქნეს წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირების, შეფუთვის, დასაწყობების, შენახვისა და რეალიზაციის საკითხები.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენს აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტის ფერმერები და აგრომეწარმეები, რომლებიც რეალიზაციის მიზნით აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ქვეპროგრამის ფარგლებში შეირჩევა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები, რომელსაც ა(ა)იპ "აგროპროექტების მართვის ცენტრი"-ს მიერ განსაზღვრული პირობებით გადაეცემა დანადგარების კომპლექტი აღჭურვილი ბოსტნეულის დამხარისხებელი და შემფუთავი ტექნოლოგიური ხაზებით და წარმოების სხვა საშუალებები, რომლებიც განთავსდება საწარმოში. პროდუქციის მიწოდების უწყვეტი სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რაც ბაზარზე სტაბილური ფუნქციონირების წინაპირობას წარმოადგენს, მნიშვნელოვანია სამაცივრე სისტემის მოწყობა, რის საფუძველზეც შეიქმნება სასურსათო პროდუქციის შემნახველი სამაცივრე მეურნეობა. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს დანადგარების ექსპლუატაციის თაობაზე სწავლება-კონსულტირება გაეწევა მიმწოდებელი მხარის მიერ, რაც გათვალისწინებული იქნება საქონლის შესყიდვის დროს, როგორც თანმდევით მომსახურება.

ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვას, რომელთა გამოყენებით მოხდება პროდუქციის ტრანსპორტირება ფერმერული მეურნეობიდან - სარეალიზაციო პუნქტამდე საჭირო ყველა მიმართულებით. საწარმოს გამართული ფუნქციონირების მიზნით სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები აღჭურვილი იქნება თანამედროვე საწარმოო საშუალებებით. კერძოდ: ელექტრო სასწორით, პნევმატური ურიკითა და ელექტრო ტვირთამწეთი. რეგიონის ფერმერთა და მეწარმეთათვის წარმოებული პროდუქციის განთავსებისა და ტრანსპორტირებისათვის მეტად პრაქტიკულია პლასტმასის 12 კგ იანი და 25 კგ-იანი ყუთების გამოყენება, რომელიც ხის ყუთისაგან განსხვავებით ნაკლებად განიცდის მექანიკურ დაზიანებას და ექვემდებარება მრავალჯერად გასუფთავებას და მიზანშეწონილია ფიტოსანიტარული თვალსაზრისით.

მეცხოველეობის დარგის საკვები ბაზით უზრუნველსაყოფად საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით წარმოებული ექსტრუდირებული საკვების დამზადება. აღნიშნულის გათვალისწინებით დაიგეგმა ექსტრუდორებისა და სათიბელათი აღჭურვილი მოტობლოკების შესყიდვა.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული საქონლის, მომსახურების/სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შესყიდული საქონლის ბენეფიციარებზე გადაცემის დასრულებამდე, დასაწყობების ხარჯები უნდა გაიღოს მომწოდებელმა მხარემ. ქვეპროგრამით გათვალისწინებული საქონელი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებს სარგებლობაში გადაეცემათ უსასყიდლოდ, ბენეფიციართა შერჩევას და საქონლის გადაცემას განხორციელებს ა(ა)იპ "აგროპროექტების მართვის ცენტრი"-ს მიერ შექმნილი შესაბამისი კომისია.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
პროდუქციის შემფუთავ - დამხარისხებელი დანადგარების კომპლექტი და ტექნიკური დახმარება (ტრენინგი)	2	77,000.00	154,000
პროდუქციის ვაკუუმ-შესაფუთი დანადგარი	3	90,000.00	270,000
საწარმოს შენობა-ნაგებობის პროექტი	1	2,600.00	2,600
სამაცივრე მეურნეობისა და ლოჯისტიკური ცენტრის შენობა-ნაგებობის პროექტი	1	4,500.00	4,500.00
საწარმოს შენობა-ნაგებობა	4	190,000.00	760,000
სამაცივრე მეურნეობისა და ლოჯისტიკური ცენტრის შენობა-ნაგებობა	1	500,740.00	500,740
სამაცივრე კამერების მოწყობა (ლოჯისტიკურ ცენტრში)	1	125,000.00	125,000
სამაცივრე კამერის მოწყობა	5	60,000.00	300,000
ექსტრუდორი	2	25,000.00	50,000
სატრანსპორტო საშუალება	6	30,000.00	180,000
სატრანსპორტო საშუალება (რეფრეჟერატორით აღჭურვილი)	1	41,800.00	41,800
მოტობლოკი სათიბელათი	20	3,200.00	64,000
ელექტრო სასწორი	6	1,800.00	10,800
ელექტრო ტვირთამწე	6	8,400.00	50,400
პნევმატური ურიკა	6	2,400.00	14,400
25 კგ-იანი პლასტმასის ყუთი	3,000	6.50	19,500
12 კგ-იანი პლასტმასის ყუთი	2,000	1.60	3,200
საწარმოების უზრუნველყოფა ელექტროენერგიით	5	4,800.00	24,000
ქვეში	2,550	20.00	51,000
პალეტების შესაკრავი მასალა (1 ტონის კომპლექტი)	3,000	6.00	18,000
პროდუქციის ეტიკეტირება	20,000	0.03	600
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			2,644,540

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

ლონისძიებები	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X	X	X
შესყიდული საქონლის/მომსახურების/სამუშაოების მოწოდება და საქონლის ბენეფიციარებზე გადაცემა	X	X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

1. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებზე გადაცემული საოფისე შენობა-ნაგებობები, პროდუქციის შემფუთავი საწარმოები (აღჭურვილი პროდუქციის დამხარისხებელ/შემფუთავი ხაზებით), სამაცივრე მეურნეობები, ექსტრუდორები, მოტობლოკები, ელექტრო სასწორები, ელექტრო ტვირთამწეები, პნევმატური ურიკები, პლასტმასის ყუთები, სატვირთო ავტომანქანები და ინვენტარი;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საწარმოო საშუალებებით აღჭურვილი ფუნქციონირებადი სასოფლო- სამეურნეო გაერთიანებები	თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დახარისხებული და შეფუთული პროდუქციის წარმოების, შენახვისა და რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით შექმნილი მომსახურების ცენტრები	5	ა(ა)იპ „აგროპროექტებ ის მართვის ცენტრი“	წლის /განმავლობაში ორჯერ	ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრი	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებუ ლი კვლევები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070602

სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2,559,957
სულ ბიუჯეტი:	2,559,957

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების გამოყენებით სასათბურე სექტორის განვითარება და რეგიონის დაბლობი ზონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ფუნქციის მინიჭება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის რეგიონის მცირე მიწიანობის პირობებში რესურსების რაციონალური გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. რეგიონის დაბლობ ზონაში სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგებს მეჩაიეობა და მეციტრუსეობა წარმოადგენდა. აქედან მეჩაიეობის ინფრასტრუქტურა ძირითადად მოშლილია და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილის საოჯახო მეურნეობები ორიენტირებულია არარენტაბელური, პირადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი პროდუქციის წარმოებაზე. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის მიზნით, გეგმავს რეგიონის დაბლობი ზონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ფუნქციის მინიჭებას. ამ მიმართულებით აჭარის რეგიონის დაბლობ ზონაში სასათბურე მეურნეობების განვითარება, როგორც მოსახლეობის საქმიანობიდან მაღალი შემოსავლების მიღების, ასევე იმპორტის ჩანაცვლებისა და სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით, რეალურ პერსპექტივად განიხილება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია რეგიონში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. სწორედ ამიტომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის პროგრამების ფარგლებში ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“ განახორციელებს „სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას.

ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდება სასათბურე მეურნეობის ერთიანი სივრცის და საწარმოო რესურსის შექმნა, სადაც განვითარდება მსხვილ სათბურებში ზოსტნეული კულტურების წარმოება. სათბურები აღჭურვილი იქნება ადგილის ლოკალურ პირობებზე მორგებული ეფექტური ტექნოლოგიებით, რომლებიც მოეწყობა აგროპარკ(ებ)ის სახით.

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2017 წელს, რეგიონში მოეწყობა 2.5 ჰა სასათბურე მეურნეობები. დახურულ გრუნტში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების (მათ შორის ინოვაციური) დანერგვისათვის, უშუალოდ სათბურების მშენებლობის პროცესში გათვალისწინებული იქნება სპეციფიკური კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენება. ქვეპროგრამას განმახორციელებს - ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“. შესყიდვა განხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს მიერ. შესყიდული იქნება სასათბურე კონსტრუქციები და მათი მონტაჟი გრუნტის სამუშაოების, სადრენაჟე არხების მოწყობისა და ტერიტორიის მომანდაკების გათვალისწინებით. აღნიშნული მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება ელექტრო ენერგიითა და სარწყავი წყლით.

2.50 ჰა ფართობზე მოწყობილი 50 ერთეული 500 კვ.მ-იანი სათბურები, კონკურენტულ გარემოში, განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, იჯარით - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სახელშეკრულებო ღირებულების 5% გადახდის პირობით სარგებლობაში გადაეცემა ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს მიერ შექმნილი ბენეფიციარათა შესარჩევი კომისიის მიერ შერჩეულ ფერმერებსა და აგრომეწარმეებს. გაცემას განახორციელებს ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს შესაბამისი კომისია.

დასახელება	პროდუქტები			
	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
2.5 ჰა-ზე 500 კვ.მ-იანი სასათბურე მეურნეობ(ებ)ის მოწყობა (თაღვანი სათბური, ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი, სარწყავი სისტემა, სათბურის მონტაჟი, მიწის სამუშაოები: ტერიტორიის დაკვალვა, გრუნტის სამუშაოები, სადრენაჟე არხები მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის მომანდაკება)	კვ.მ	25,000	95.5	2,387,500

სასათბურე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფისათვის სამუშაოები - ჭაბურღილის მოწყობა	ცალი	1	25,000.0	25,000
სასათბურე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფისათვის ორი ერთეული 242 ტონიანი რეზერვუარის მოწყობა	ცალი	2	23,728.5	47,457
სასათბურე მეურნეობების ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფისათვის 1 მეგავატის ტრანსფორმატორის მონტაჟი	ცალი	1	100,000	100,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				2,559,957

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ (ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X	X	X
2.5 ჰა-ზე 500 კვ.მ-იანი სასათბურე მეურნეობ(ებ)ის მოწყობა (თაღვანი სათბური, ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი, სარწყავი სისტემა, სათბურის მონტაჟი, მიწის სამუშაოები: ტერიტორიის დაკვალვა, გრუნტის სამუშაოები, სადრენაჟე არხები მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის მოშანდაკება)	X	X	X	X
სასათბურე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფისათვის სამუშაოები - ჭაბურღილის მოწყობა	X	X	X	X
სასათბურე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფისათვის - ორი ერთეული 242 ტონიანი რეზერვუარის მოწყობა	X	X	X	X
სასათბურე მეურნეობების ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფა	X	X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

<p>1.ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე სარგებლობაში გადაცემული სათბურები</p> <p>2. რეგიონში მოწყობილი ბოსტნეული კულტურების სასათბურე მეურნეობები.</p>

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოწყობილი სასათბურე მეურნეობ(ებ)ი	2.5	ჰა	ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“	წლის განმავლობაში ორჯერ	ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებულ ი კვლევები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალტექნოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვის გზით		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	070603	

ქვეპროგრამის დასახელება:

მაღალტექნოლოგიური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	950,160
სულ ბიუჯეტი:	950,160

ქვეპროგრამის მიზანი:

მაღალპროდუქტიული კარტოფილისა და ნიორის სარგავი მასალის, სასუქებისა და ჰერბიციდების აგრომეწარმეებზე და ფერმერებზე მიწოდების გზით რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

<p>აჭარის რეგიონში ერთწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების, კერძოდ კარტოფილისა და ნიორის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დღეის მდგომარეობით ორივე კულტურა მეტად მნიშვნელოვანია რეგიონის მოსახლეობისათვის, თუმცა ისინი დაბალი საპექტრო მოსავლიანობით ხასიათდებიან, რაც განპირობებულია მოძველებული ტექნოლოგიებისა და დაბალპროდუქტიული სარგავი მასალის გამოყენებით. სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2015 წლის ოქტომბერში განხორციელებული კვლევების შედეგად ხულოს მუნიციპალიტეტში გამოვლინდა კარტოფილის კიბოს გავრცელების კერები. შესაბამისად, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა დაავადების გამომწვევი პათოგენისადმი გამძლე ჯიშთა გამოცდა. ჯიშთა გამოცდით ჩარატებული კვლევების შედეგად გამოვლინდა კიბოსადმი გამძლე 6 ჯიშში: ჰოლანდიური კომპანია HZPC-ის ჯიშები ფარიდა, სილვანა, პანამერა, კანადური კომპანია Solanum International-ის ჯიშები ბარსელონა, ქართული ჯიშები ჯავახეთური და მესხური წითელი. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის რეკომენდაციით აუცილებელია ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების ცართულობა კიბოსადმი რეზისტენტული კარტოფილის სატესლე მასალის შეძენის, ადგილზე დამატებით ფერმერთა შერჩევის და ჯიშთა გამოცდის ნაკვეთების მოწყობის ორგანიზების უზრუნველსაყოფად გამოვლინილი კიბოსადმი გამძლე ჯიშების ფერმერებისათვის ხელმისაწვდომობის გზების მოსაძებნად.</p> <p>ქვეპროგრამის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია რეგიონში მაღალპროდუქტიული ჯიშის ნიორის, როგორც ალტერნატიული და საექსპორტო კულტურის და საქართველოს სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის მიერ რეკომენდირებული დაავადებებისადმი მედეგი ჯიშების კარტოფილის წარმოება, რაც სპეციფიკური მიკრო ზონების გათვალისწინებით (კლიმატი, ნიადაგი, მავნებლები, დაავადებები) და ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ წარმოებული პროდუქციის, როგორც მოსავლიანობა, ასევე ხარისხი.</p>

ქვეპროგრამით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ა(ა)იპ "აგროპროექტების მართვის ცენტრი" -ს მიერ. შესყიდული საქონლის დასაწყობების ხარჯები გაიწევა მიმწოდებლის მიერ, ამასთან არაუგვიანეს 2017 წლის 1 დეკემბრისა. ბენეფიციარის შერჩევას, მათი განცხადებების საფუძველზე, განხორციელებს ა(ა)იპ "აგროპროექტების მართვის ცენტრი"-ს მიერ შექმნილი შესაბამისი კომისია. შესყიდული საქონელი ბენეფიციარებზე გაიცემა თანაგადახდის პრინციპით, ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული საქონლის სახელშეკრულებო ღირებულების 30 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის პირობით. საქონლის მოწოდება განხორციელდება ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის მიერ მითითებულ მისამართ(ებ)ზე.

დასახელება	პროდუქტები			
	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კარტოფილის მაღალპროდუქტიული სარგავი მასალა	კგ	101,500	2,8	284,200
ნიორის მაღალპროდუქტიული სარგავი მასალა	კგ	48,000	10	480,000
მინერალური სასუქი N	კგ	15,250	1	15,250
კომბინირებული მინერალური სასუქი NPK	კგ	18,300	1.5	27,450
ორგანული სასუქი	ტონა	197.5	680	134,300
ჰერბიციდი	ლიტრი	256	35	8,960
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				950,160

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა:

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ (ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X	X	X
ქვეპროგრამით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება და ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გადაცემა		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი:

1. წარმოებული ნიორის კულტურა; 2. წარმოებული კარტოფილის კულტურა;
2. ნიორის და კარტოფილის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
წარმოებული ნიორი	288	ტონა	ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“	წლის განმავლობაში ორჯერ	ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები
წარმოებული კარტოფილი	580	ტონა				

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070604

ქვეპროგრამის დასახელება:

მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	430,848
სულ ბიუჯეტი:	430,848

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კაკლის კულტურის ბაღების გაშენება, ამ მიმართულებით ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და კაკლის კულტურის წარმოების განვითარება

ქვეპროგრამის აღწერა:

გასულ წლებში ფერმერებთან და აგრომეწარმეებთან მაღალშემოსავლიანი, მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენებამ ცხადყო, რომ მოსახლეობაში გაჩნდა ინტერესი ინტენსიური ტექნოლოგიებით გაშენებული კაკლის ბაღების მიმართულებით. სამინისტროს 2016 წლის ქვეპროგრამის "მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენება ფერმერულ მეურნეობებში" ფარგლებში რეგიონის მასშტაბით შერჩეულ 264 ბენეფიციარს გადაეცა 76.8 ჰა-ზე კაკლის ბაღების გაშენებისათვის მინერალური და ორგანული სასუქები, წვეთოვანი მორწყვის საშუალებები, ხოლო კაკლის ნერგების გადაცემა აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მომწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო ვერ განხორციელდა. კაკლის კულტურა ხასიათდება კარგი სარეალიზაციო და საექსპორტო პოტენციალით, მაგრამ მიუხედავად შიდა და საექსპორტო მოთხოვნილებისა კაკლის კულტურის წარმოება საკმაოდ ნელა ვითარდება და საჭიროებს მაქსიმალურ ხელშეწყობას.

მიუხედავად სამინისტროს მხრიდან გაწეული დარგის პოპულარიზაციისა, აუცილებელია ამ კულტურის მიმართ უფრო მეტი ფერმერისა და აგრომეწარმის ხელშეწყობა, ვინაიდან კაკლის მიმართ მოთხოვნები მსოფლიო ბაზარზე იზრდება, ხოლო აღნიშნულ ფონზე რეგიონში კაკლის წარმოების მაჩვენებლები მცირდება, რაც გამოწვეულია კაკლის გადამამუშავებელი და ამორტიზირებული ნარგავებით, ამიტომ საჭიროა მათი განახლება და ჩანაცვლება მაღალპროდუქტიული, თანამედროვე ტექნოლოგიებით გაშენებული კაკლის ბაღებით, აუცილებელია კაკლის წარმოებაში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარება, ვინაიდან ამჟამად მსოფლიოში კაკლის მოყვანის ინტენსიფიკაცია ხდება წარმოებაში ნამყენი ლატერალური, კომპაქტური ჯიშების („ჩანდლერი“, „ლარა“, „სერი“, „ფერნორი“, „ფრანქუეტე“, „იდეალი“, „პედრო“) ჩართვით.

2016 წელს სამინისტროს შესაბამისი კომისიის მიერ შერჩეული ბენეფიციარების მიერ კაკლის ბაღების გაშენების მიზნით უკვე შესრულებულია მთელი რიგი სამუშაოებისა. კერძოდ: ნაკვეთის გაწმენდა და ნიადაგის მომზადება, ნაკვეთის შემოღობვა, სარწყავი წყლით უზრუნველყოფა და კაკლის ნერგების დარგვისათვის აგროწესებით გათვალისწინებული სტანდარტებით ორმოს ამოღება. 76.8 ჰა-ზე კაკლის ბაღების წარმატებით გაშენებისათვის საჭიროა 25 344 ძირი კაკლის ნერგის შესყიდვა.

კაკლის ნერგის შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ა(ა)იპ "აგროპროექტების მართვის ცენტრი"-ს მიერ. შესყიდული საქონელი სამინისტროს 2016 წლის ქვეპროგრამის "მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენება ფერმერულ მეურნეობებში" ფარგლებში რეგიონის მასშტაბით შერჩეულ 264 ბენეფიციარებზე გაიცემა თანაგადახდის პრინციპით, ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული საქონლის სახელშეკრულებო ღირებულების 20 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის პირობით. იმ შემთხვევაში თუ სამინისტროს 2016 წლის ქვეპროგრამის "მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენება ფერმერულ მეურნეობებში" ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარი უარს განაცხადებს ქვეპროგრამის ფარგლებში კაკლის ნერგის შესყიდვაზე ა(ა)იპ "აგროპროექტების მართვის ცენტრი"-ს ბენეფიციართა შესარჩევი კომისიის მიერ ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული იქნება სხვა ბენეფიციარი სამინისტროს 2016 წლის ქვეპროგრამის "მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენება ფერმერულ მეურნეობებში" ფარგლებში სამინისტროში არსებული სარეზერვო სიიდან და/ან შემოსული განცხადებების საფუძველზე. საქონლის მოწოდება განხორციელდება ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“-ს მიერ მითითებულ მისამართ(ებ)ზე.

დასახელება	ზომის ერთეული	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კაკლის ნერგი	ცალი	25,344	17.0	430,848
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				430,848

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

ღონისძიებები	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ (ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X	X	X
კაკლის ნერგის მოწოდება და ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემა	X	X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

1. ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული კაკლის ნერგები, 2. ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებით გაშენებული კაკლის ბაღები
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ფერმერულ მეურნეობებში თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიებით გაშენებული კაკლის ბაღი	76.8	ჰა	ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“	წლის განმავლობაში ორჯერ	ა(ა)იპ „აგროპროექტების მართვის ცენტრი“	მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული კვლევები

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0707

პროგრამის დასახელება:

აგროსერვისის განვითარება რეგიონში

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	7,467,414	1,866,414	1,867,000	1,867,000	1,867,000
სულ ბიუჯეტი:	7,467,414	1,866,414	1,867,000	1,867,000	1,867,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2017-2020 წლები

პროგრამის მიზანი:

– ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს ადმინისტრაციული აპარატის მოქნილი, მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა; სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შრომის ნაყოფიერების ამაღლება და ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

– მაღალტექნოლოგიური სადემონსტრაციო ბაღების მოწყობა, ტექნოლოგიურად აღჭურვილი სანერგე-სასათბურე მეურნეობების ჩამოყალიბება, მაღალპროდუქტიული მეცხოველეობა, აგრარულ ინოვაციებს დაუფლებული ფერმერები და აგროსპეციალისტები.

პროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს საქმიანობასა და მმართველობის სფეროში შედის ციტრუსოვანთა, ვაზის, ხეხილ-კენკროვანთა სადემონსტრაციო-საკოლექციო, სანერგე და სასათბურე მეურნეობები, ასევე რეგიონში მეცხოველეობის ხელოვნური განაყოფიერების სადგურები და ექსტენციური მომსახურების უზრუნველყოფა. კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს დარგობრივი პოლიტიკის განვითარებაში, ტექნოლოგიური სიახლეების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ხელს უწყობს აგროსასურსათო სექტორში პროდუქციის წარმოების ზრდას, სუბტროპიკული და კონტინენტალური, ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებას, სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვით ტრენინგების, გამოფენების, ფესტივალებისა და ფორუმების მოწყობას. მაღალპროდუქტიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნას, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებას. ფერმერთა და აგრომეწარმეთა ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სადემონსტრაციო და სანერგე მეურნეობების ფართობები წარმოდგენილია 42,3 ჰა ფართობზე, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში - ჩაქვში ციტრუსოვანთა კულტურებით დაკავებულია 21 ჰა, ხოლო გვარა-ხუცუბანში ვაზისა და ხეხილკენკროვნებით 18,6 ჰა, ასევე ამავე ფართობებზე განთავსებულია სასათბურე მეურნეობები, კერძოდ ჩაქვში 2000 კვ.მ -ზე 2 ერთეული 1000 კვ.მ-იანი ციტრუსოვანთა ნერგის სამყნობ-გამოსაზრდელი სათბური და 2 სამეურნეო ადმინისტრაციული შენობა; გვარა-ხუცუბანში 1500 კვ.მ-ზე 3 ერთეული 500 კვ.მ-იანი სათბური, მათ შორის ერთი ვაზის ნერგის მყნობა გამოზრდისათვის, მეორე მარწყვის სადემონსტრაციო და მესამე კენკროვანი ხილის ჟოლოს სადემონსტრაციო სათბური. სამეურნეო ადმინისტრაციული შენობა -საკონფერენციო დარბაზით, სამუშაო კაბინეტებით, სასადილო ოთახით, აგროქიმიური და ფიტო-ენტომოლოგიური მინი ლაბორატორიით. ქართული სახლი (ღვინის მარანი) და 1000 კვ.მ ზე კაპიტალური ტიპის დახურული ანგარი. ხილის საშრობი და სამაცივრე საკნები. სანაშენე მეცხოველეობის განვითარების მიმართულებით ხულოს მუნიციპალიტეტში (დიდაჭარა, ხიხადირი) მოწყობილია 2 ერთეული ხელოვნური განაყოფიერების სადგური. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში (ახალსოფელი) 2.7 ჰა ასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი
ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვა	1,411,360	352,360	353,000	353,000	353,000
სანერგე მეურნეობების განვითარება	4,231,994	1,057,994	1,058,000	1,058,000	1,058,000
აგრაღური ექსტენციის მიწოდება	723,960	180,960	181,000	181,000	181,000
სოფლის მეურნეობის პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით მარკეტინგული ღონისძიებების ორგანიზება	776,000	194,000	194,000	194,000	194,000
საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა	124,100	31,100	31,000	31,000	31,000
სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება	200,000	50,000	50,000	50,000	50,000
სულ პროგრამა	7,467,414	1,866,414	1,867,000	1,867,000	1,867,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

<p>– ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგეში დაიმყნო 8300 ძირი მანდარინის ნერგი და განთავსდა 1000 კვ.მ სათბურში. ასევე რეალიზებული იქნა 2447 ძირი ციტრუსის სტანდარტული ნერგი. რეგიონში დიდი მოთხოვნილებაა საადრეო მანდარინისა და ლიმონის ნერგებზე დეფიციტი სავარაუდოდ შეადგენს მილიონ ცალ ციტრუსის ნერგს, თუმცა ციტრუსის სადედე ნაკვეთებში ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე აღნიშნული რაოდენობის ნერგის წარმოება 9-10 წელიწადში მიიღწევა.</p> <p>– გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვნების 2015 წელში შემოერთებული 5 ჰა ფართობი გაიწმინდა ბუჩქნარისაგან, განხორციელდა მოშანდაკება, დაპლანტაჟდა, დამუშავდა ფრეზით და მოეწყო სადრენაჟო ქსელი. გასაშენებელია ვაზისა და ხეხილის სადემონსტრაციო-სამრეწველო ნაკვეთი. რეალიზებული იქნა ვაზის მწვანე ნერგი 556 ძირი.</p> <p>– მოეწყო ხელოვნური განაყოფიერების სადგურები (დიდაჭარა, ხიხაძირი).</p> <p>– გვარა - ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სანერგეში განხორციელდა ღვინის სახლის მშენებლობა.</p> <p>– ციტრუსისა და ხილის დამხარისხებელი დანადგარებისა და სამაცივრე საკანისათვის მოეწყო ანგარი.</p> <p>– გვარა - ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სანერგეში მოშადდა 480 კვ.მ ფართობის სათბური პომიდორის ჩითილების დასარგავად. ასევე საჭიროა სხვა ბოსტნეულის (წიწაკა) დემონსტრირება სათბურში.</p> <p>– ჩაქვისა და გვარა - ხუცუბნის სანერგე მეურნეობებში ჩატარდა აგროტექნიკური ღონისძიებები, კერძოდ: ნიადაგის დამუშავება-კულტივაცია, გასხვლა-ფორმირება, მორწყვა, კვება, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარება, მოსავლის აღება, გამოსაზამთრებელი სამუშაოები. საჭიროა ახალ ათვისებულ ფართობებზე შესაბამისი აგროღონისძიებების გატარება.</p> <p>– ინფორმირებული და კონსულტირებული იქნა 6000-ზე მეტი ფერმერი;</p>

ჩაქვის ციტრუსების სანერგეში წარმოებული იქნა და სარეალიზაციოდ მომზადდა 7900 ძირი მანდარინის სტანდარტული ნერგი. მიმდინარე წლის მცნობისათვის მომზადდა 13000 ძირი ტრიფოლიატის საძირე. გვარა-ხუცუბნის ვაზის სანერგეში დაიყენა 19800 ცალი ვაზის საღვინე და სასუფრე ჯიშები, მისგან წარმოებული იქნა 16236 ძირი ვაზის მწვანე ნერგი, რომელთაგან გვარაში 2,5 ჰა-ზე გაშენდა საღვინე მიმართულების სამრეწველო ვენახი. 1 ჰა-ზე გაშენდა თხილის სხვადასხვა ჯიშების სადემონსტრაციო-სადედე ნაკვეთი, 1 ჰა-ზე გაშენდა თესლოვანი ხილის სადემონსტრაციო-სადედე ნაკვეთი, 0,15 ჰა-ზე გაშენდა ვაზის საძირის სადედე ნაკვეთი. 0,5 ჰა-ზე მოეწყო ბელორუსიდან ინტროდუქცირებული კენკროვანი კულტურების 10 სახეობისა და 49 ჯიშის სადემონსტრაციო ნაკვეთი. 480 კვ.მ-ზე მოეწყო ტკბილი წიწაკის სადემონსტრაციო სათბური, 480 კვ.მ-ზე განახლდა მარწყვის სადემონსტრაციო სათბური, 2017 წლისათვის წიწაკის ნამყოფი სათბური გადაიარაღდა რემონტატული ჟოლოს კულტურისათვის. ხელოვნური განაყოფიერება ჩატარდა 1660 სული მსხ. რქოსანი პირუტყვზე. 50 ფერმერულ მეურნეობაში ჩატარდა ნიადაგის აგროქიმიური ანალიზი. გვარაში ღვინის სახლში საგამოფენო, ენოთეკისა და სადეგუსტაციო სივრცეში განთავსდა შესაბამისი ავეჯი. 2017 წლის პროგრამით გათვალისწინებულია ჩაქვის ციტრუსების სანერგეში და გვარას ვაზისა და ხეხილის სანერგეში ვაზის, ხეხილისა და ციტრუსის სხვადასხვა სახეობებისა და ჯიშების ნერგის წარმოება. 2,5 ჰა სადემონსტრაციო ვენახში მოეწყობა საყრდენი და შპალერი. ასევე გვარას ახალ ათვისებულ ვაზისა და ხეხილის სადემონსტრაციო ნაკვეთების 5 ჰა ფართობზე მოსაწყობია წვეთოვანი სარწყავი სისტემა. 2017 წლისათვის ფერმერთა და სასოფლო სამეურნეო მეწარმეთა დარგში ცნობიერების ამაღლების, ასევე აგრო ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, სემინარების, ტრენინგების, ფესტივალებისა და ფორუმების მოწყობის ორგანიზება. გაგრძელდება აგროქიმიური კვლევები ნიადაგის ანალიზზე. მუნიციპალიტეტებში მოეწყობა მრავალწლიან სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სადემონსტრაციო ბაღები.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

ფერმერთა საერთაშორისო გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა, ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციის და ცნობიერების ამაღლება. თანამედროვე ტექნიკური სიახლეების პრაქტიკაში დანერგვა. ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიით მიღებული პერსპექტიული, ჯიშთგანახლებული სარგავი მასალებით, რაც ფერმერთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდის საფუძველი იქნება.

ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"-ს სადემონსტრაციო და სანერგე მეურნეობებში გატარებული აგროტექნიკური ღონისძიებები; კერძოდ 3 ჰა ვაზისა და ხეხილის ახალშენში მოწყობილი შპალერი და სარწყავი სისტემა, ჩატარებული მცენარეთა დაცვისა და კულტტექნიკური სამუშაოები. წარმოებული ნერგი: ვაზის 20 000 ძირი, ციტრუსის 13 000 ძირი, ხეხილის 1000 ძირი. ჩაქვისა და ქობულეთის სანერგე სათბურებში მოწყობილი სტელაჟები და სარწყავი სისტემები, სტაჟირებული 10 სტუდენტ-კურსდამთავრებული, ორგანიზებული 5 აგროტური, ჩატარებული ყველის თაფლის, ღვინისა და ციტრუსის ფესტივალი, მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და ჩატარებული ციტრუსის ფორუმი. შესაბამისად ფერმერებში დაინერგა ახალი ტექნოლოგიები და ამაღლდა ცნობიერება ფერმერთა ეკონომიკური შემოსავლების გაუმჯობესების კუთხით. პოპულარიზაცია გაეწია ქართულ პროდუქციას (ღვინო, თაფლი, ჩაი, ჯემი, ჩურჩხელა) და ხელი შეეწყო საქართველოში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას და რეგიონში აგროტურიზმისა და ღვინის ტურიზმის განვითარებას.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		ნიმუშის/სინჯის რაოდენობა							
		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი				
სანერგე მეურნეობების განვითარება	წარმოებული ნერგი ტექნოლოგიურად აღჭურვილი სამი სათბური	35000 3	100000 1	100000 1	100000 1	ორჯერ	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	მონაცემთა შეგროვება ხდება „ აგროსერვის ცენტრის“ საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით, სატელეფონო და წერილობითი მიმართვებით
აგრარული ექსტენციის მიწოდება	განაყოფიერებული ფურები, ჩატარებული ტრენინგები, ჩატარებული ფესტივალები სადემონსტრაციო ბაღები	1800 39 5 5	2000 45 5 5	2000 45 5 5	2000 45 5 5	ორჯერ	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი		
სოფლის მეურნეობის პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით მარკეტინგული ღონისძიებების ორგანიზება	ჩატარებული ფესტივალები, და ფორუმები	5.00	5.00	5.00	5.00	ორჯერ	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი		
საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა	სტაჟირებული სტუდენტები აგროტურები ტრენირებული ფერმერები ტრენირებული სპეციალისტები	10 5 780 90	10 5 780 90	10 5 780 90	10 5 780 90	ორჯერ	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი		
სადემონსტრაციო პროექტების განხორციელება	განხორციელებული სადემონსტრაციო პროექტები	4.00	5.00	5.00	5.00	ორჯერ	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი		

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

აგროსერვისის განვითარება რეგიონში		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	070702	

ქვეპროგრამის დასახელება:

სანერგე მეურნეობების განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,057,994
სულ ბიუჯეტი:	1,057,994

ქვეპროგრამის მიზანი:

მაღალტექნოლოგიური სდემონსტრაციო ბაღების მოწყობა, უვირუსო სანერგე მეურნეობების ჩამოყალიბება და ტექნოლოგიურად გამართული სასათბურე მეურნეობები.

ქვეპროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრი"ს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სადემონსტრაციო და სანერგე მეურნეობების ფართობები წარმოდგენილია 42,3 ჰა ფართობზე, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში - ჩაქვში ციტრუსოვანთა კულტურებით დაკავებულია 21 ჰა, ხოლო გვარა-ხუცუბანში ვაზისა და ხეხილკენკროვნებით 18,6 ჰა, ასევე ამავე ფართობებზე განთავსებულია სასათბურე მეურნეობები, კერძოდ ჩაქვში 2000 კვ.მ -ზე 2 ერთეული 1000 კვ.მ-იანი ციტრუსოვანთა ნერგის სამცნობ-გამოსაზრდელი სათბური და 2 სამეურნეო ადმინისტრაციული შენობა; გვარა ხუცუბანში 1500 კვ.მ-ზე 3 ერთეული 500 კვ.მ-იანი სათბური, მათშორის ერთი ვაზის ნერგის მცნობა გამოზრდისათვის, მეორე მარწყვის სადემონსტრაციო და მესამე კენკროვანი ხილის ჟოლოს სადემონსტრაციო სათბური. სამეურნეო ადმინისტრაციული შენობა, ქართული სახლი (ღვინის მარანი) და 1000 კვ.მ ზე კაპიტალური ტიპის დახურული ანგარი. ხილის საშრობი და სამაცივრე საკნები. 2017 წელს პროგრამით დაგეგმილია გვარაში ახალი ვაზისა და ხეხილის ნაკვეთში სადრენაჟო და სარწყავი სისტემების მოწყობა, ჩაქვის ციტრუსებისა და გვარაში ვაზის სანერგის სათბურებში სტელაჟებისა და კაპილარული სარწყავი სისტემების მოწყობა, ციტრუსისა და ვაზის ნერგის წარმოებისათვის მიწის სუბსტრატის შესყიდვა, ვაზისა და ხეხილის მცნობისათვის პარაფინისა და ასახვევი მასალის შესყიდვა, სათბურებისათვის საჩრდილობელი ბადის შესყიდვა, ნამყენი ნერგებისათვის პოლიეთილენის პარკებისა და კასეტების (ქოთან უჯრები) შესყიდვა და ღია გრუნტის ჟოლოსათვის გადასახური კონსტრუქციის მოწყობა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ჩაქვისა და გვარა-ხუცუბანის სანერგე მეურნეობის შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (47 კაცი)	12 თვე	33,149.00	397,788
ოფისის ხარჯები	12 თვე	7,929.33	95,152
ტრანსპორტის ხარჯი	12 თვე	3,818.33	45,820
აგროქიმიკატები (მინ.სასუქები)	12.5 ტ	800.00	10,000
ორგანული სასუქები	14,5ტ	690.00	10,005

ჩაქვისა და გვარა ხუცუბნის სადემონსტრაციო და სანერგე მეურნეობების განვითარება	მცენარეთა დაცვის საშუალებები	120 კგ/ლ	100.00	12,000
	სუბსტრატის შესყიდვა	585 ტ	180.00	105,300
	ციტრუსების, ვაზისა და ხეხილის მცნობა	153 600 ცალი	0.25	38,400
	ვაზისა მცნობისათვის ცვილი	60.00	20.00	1,200
